მნათობი

1871

თებერვალი.

წელიწადი მესამე.

თბილისი.
დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა
1871.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდება თხზულებათა:

1. ბედნიერი ქორწილი, კომედია . . . . . . ა. ცხვედაძისა.
2. რუმბები (ლექსი) . . . . წყალტუბელისა.
3. საქართველოს ისტორიის პირველ დაწყება. დ. ბაქრაძისა.
4. ჩაილდ-ჰაროლდის სიმღერა (ლექსი) . . . ი. ბაქრაძისა.
5. დიდი-მოურავი, ტრაგედია (გაგრძელება) . . ან. ფურცელაძისა.
6. ჩემს ვარსკვლავს (ლექსი) . . . . ნ. ლომაურისა.
7. თამარ მეფის პირველ მეუღლეზედ . . წყალტუბელისა.
8. შინაური მიმოხილვა . . . . კუხელისა.
9. ლამანჩელი აზნაური დონკისოტი (თხზულ. ხურვანტესისა), თარგმნილი . . . . . . ნ. ავალიშვილისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობი

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

1871

თებერვალი.

ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი.—
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

***

არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა
არგოს...

ნ. ბარათაშვილი.

თფილისი
დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა.
1871.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 февраля, 1871 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

«მნათობის» რედაქციისაგან

ჟურნალი «მნათობი» გამოვა ამ წელს შემდეგი პირების რედაქციაში უმთავრესის მონაწილეობით: დიმიტრი ბაქრაძისა, გიორგი იოსელიანისა და ანტონ ფურცელაძისა. მუდამი თანამშრომლები იქნებიან, მოხსენებულთ პირთ გარდა: გ. თარხან-მოურავი, მოსე ქიქოძე, ინგილო-ჯანაშვილი, აკაკი წერეთელი, ფაზელი, ჭალადიდელი, სვიმონ მგალობელი და სხვა.

ამასთანავე «მნათობის» რედაქცია აცხადებს, 1), რომ ამ ჟურნალის რედაქცია გადავიდა სემინარიის მასწავლებლის გიორგი იოსელიანის ბინაზედ, ანჩისხატის ქუჩაზედ, ვასილიევის სახლში. 2) ხელის-მომწერლებს ან სხვათ, ვისაც საქმე ქნებათ «მნათობის» რედაქციასთან, მიჰმართონ ამ ადრესით: Учителю Тифлисской Духовной Семинаріи Георгію Іосселіани, въ Тифлисъ, въ Духовную Семинарію, ან: въ книжный магазинъ Аладатова და ფულიც ამავე ადრესებით წარმოადგინონ. და 3), შარშანდელს ხელის-მომწერთ რამდენი ნომერიც დააკლდათ შარშან — წელს შეუსრულდებათ, და ვისაც ჰსურს დანაშთენი უკანასკნელი წლის ოთხი ნომერიც მიიღოს, უნდა წარმოადგინოს კიდევ ორი მანეთი.

ამასთან «მნათობის» რედაქცია უმორჩილესად სთხოვს, ვისაც შარშანდელი ან წლევანდელი ფული არ შემოუტანია, ან სრულად არ შემოუტანიათ, წარმოადგინონ საჩქაროდ.

რედ. ნ. ავალიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

«მნათობის» რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის ხელის-მომწერლებს ვისაც ფული ჯერ არ წარმოუდგენია, წარმოადგინოს რაც შეიძლება მალე, – იმ ადრესით, რომელიც არის აღნიშნული ყდაზედ.

«მნათობის» რედაქციისაგან.

ჩვენზედ დამოუკიდებელის მიზეზის გამო უფ. ხკანდელს არ ეძლევა პასუხი.

განცხადება

დუბელირის (გ. წერეთლის ძ ამხ) სტამბაში, ამ წლიდგან დაწყებული, გამოიცემა

ახალი სალიტერატურო ჟურნალი ქართულ ენაზე

«კ რ ე ბ უ ლ ი»

ამ ჟურნალის დანიშნულება ის იქნება, რომ მკითხველს მისცეს საიამოვნო და სასარგებლო საკითხავი, და ცოტ-ცოტათ გააცნოს საზოგადოება როგორც თავის საკუთარ ცხოვრებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხასიათს, იმათ წარსულს და ახლანდელს მდგომარეობას. ამას გარდა «კრებული» თავის ყურადღებას განსაკუთრებით მიაქცევს კრიტიკულს ნაწილს, რომლითაც ეცდება თანადროული აზრის მოძრაობა დაანახოს მკითხველს საზოგადოებას.

«კრებულის» რედაქციაში ნამდვილ მონაწილეობას მიიღებს ნ. ცხვანდელი. იმას გარდა «კრებულს» თანამშრომლობა აღუთქვა ილ. ჭავჭავაძემ, კირ. ლორთქიფანიძემ, გ. ჩიქოანმა, რაფ. ერისთავმა, ს. მესხმა და სხვ.—«კრებულს» იმედი აქვს დაბეჭდოს, ამ მწერლების თხზულებების გარდა, სხვა ახალგაზდა პირების ნაშრომიც.

«კრებული» გამოვა ყოველ თვე, სივრცით თოთხმეტ პატარა თაბახიდგან მოკიდებული ოცამდი.—პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა ამ წლის დამდეგს. ეხლა, რაკი მთავრობის ნება-რთვა მივიღეთ «კრებულის» ჟურნალად გამოცემაზე, მესამე და მეოთხე წიგნს გამოვცემთ აპრილში, და მეხუთეს—მაისის ნახევრამდი. დანარჩენი წიგნები გამოვლენ უთუოდ ყოველი თვის დასაწყისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«კრებულის» ფასი

«კრებული» ეღირება: წლობით: თფილისში, გაუგზავნელად ხუთი მანეთი, გაგზავნით ყოველგან—ექვსი მანეთი.
თითო წიგნი ... ... ათი შაური.

შენიშვნა: ვინც «დროებაზე» და «კრებულზე» ერთად ხელს მოაწერს, იმათთვის ეს ორი ჟურნალი ეღირება ე რ თ ი თ უ მ ა ნ ი. ესლანდელ «დროების» ხელის მომწერლებს შეუძლიანთ თვითონ «დროების» რედაქციას გამოუგზავნონ სამი მანეთი და ამ ფასად იმათ წლევანდელი «კრებული» გაეგზავნებათ, პირველ წიგნს გარდა, რომელიც იმათ უფასოთ აქვთ მიღებული.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: «კრებულის» კანტორაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.

ქუთაისში: გერასიმე კალანდარიშვილთან, სასულიერო სასწავლებელში, ან ივანე მესხთან, სილაზე.

ქალაქს გარეთ მცხოვრებმა ამ ადრესით უნდა მოიწეროს: *Въ Тифлисъ, въ контору грузинскаго журнала «СБОРПИКЪ»* («კრებული»)*, при типографіи Дубелира (Г. Церетели и К).*

რედაქტორი და გამომცემი გ. წერეთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბედნიერი ქორწილი

კომედია ოთხ მოქმედებად

თხზულება ა. ცხვედაძისა.

ვუძღვნი თ. გ. მაღალოვისას.

მოქმედნი პირნი:

ნენე—ქალის დედა,
სალომე—ნენეს მაზლის ცოლი,
მართა—ნენეს უმცროსი მაზლის-ცოლი,
ბაბედა—ნენეს ქალი,
ნინია – სალომეს ქმარი,
თედუა—მართას ქმარი,
სოსიკა—სამეფოს ძმა,
ზაქარა—სამეფო,
ბებე—სოსიკას ცოლი,
მარინე, ქვრივი, – ბებეს მეზობელი,
ნატალია და ხორეშანი—მეხანულენი,
სვიმონა—სოსიკას სახლის-კაცი,
მერუე,
მისაილ ბრძენაძე—სამსახურიდგან გამოსული აფიცერი,
აზნაური,
რუსეთიდგან ახალი მოსული სტუდენტი, მიმართულობით ოპტიმისტი, და
მაყრები.

მოქმედება პირველი.

(სცენა წარმოადგენს დარბაზს; მარჯვნივ სდგას ფიცრის პატა-რა ტახტი, მარცხნივ აგია თეთრი ნაბადი, ზედ ზის ნენე, წინ უდგას საჩეჩელი და მატყლს სჩეჩავს).

გამოსვლა 1.

ნენე. (წუწუნით).

ჩემისთანა უბედური დედაკაცი ქვეყანაზე და იქნება ვინმე? ორი ვაჟი შვილი მყავდა, ისიც ღმერთმა წამართვა, იმათ ბადლად მომცა ერთი მახინჯი ქალი, რომლის გათხოვებაც არ შეიძლება და ასე უნდა გამოვწყდე ამ სოფელში უწილ კერძოთ.

გამოსვლა 2.

იგივე და სალომე.

სალომე. (შემოვა, იღლიაში უჭი-რავს ღაზლის გორგალი, ხელში წინდა და ჰქსოვს — წყენით).

რა გაწუწუნებს, ადამიანო? ღმერთმა აგრე ინება და, ჩვენ რა ვქნათ; ღმერთმა როგორც გააჩინა, ისე დაარჩენს.

ნენე. (ოხვრით).

აკი არაფერს ვამბობ. (დაიწყებს ცდას როგორმე სალომეს

დაავიწყებინოს ის უკმაყოფილებას, რომელიც თითონ წარმოსთქვა). მართლა, რაჰქნა იმ დედაკაცმა, პური სულ გამოაცხოო?

სალომე.

ჰარა, ცოტა კიდევ დარჩა ჩასაკვრელი.

ნენე.

მაშ გაჰხედე, თონეში არა დაუმართოსრა ი დედაკაცს.

სალომე.

ჯერ დრო არ არის პურის ჩაკვრისა, როცა დრო იქნება, მე თითონ წავალ.

ნენე.

რა ჰქენი? ვერ გაათავე ეგ წინდა?

სალომე.

ყელს ეხლა ვადგამ.

ნენე.

პირველ წინდას კი თავი გადააქენი?

სალომე.

წუხელისვე მოვრჩი.

ნენე.

ეს მუდრეგა მატყლი ძრიელ ჭუჭყიანია და ბევრი კვირტი ასდის.

გამოსვლა 3.

იგინივე და მართა.

მართა (შემოვა ფქვილში ამოგანგლული, წინ აკრავს თეთრი წინ-საფარებელი. სიცილით და აჩქარებით). ჩემო რძლებო! ჩემო რძლებო! რა გახაროთ! რა გახაროთ! (ნენე უყ-რებს სცქერეტს და სალომე პირში მიჰკვარდება.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომე.

რა, ქა! რა!

მართა. (ჩუმად.)

ჩვენი ბაბედას მთხოვნელი მოგვივიდა.

ნენე.

თუ მოგივიდათ, ბიძები თავს გამოიდებენ და გაათხოვებენ.

სალომე. (წყენით.)

რათ იცი, ადამიანო, აგრეთი სიტყვები? გულს კი გაჰხვრეტავ ხოლმე და. წელანდელი არ იყვეს, არ დაიცდიით, იქნება იმათ უფრო ჰსურთ იმის გათხოვება, მანამ შენა; თუ არა და, ძალათი ხო არავის მისცემენ, რაც უნდა თავს გამოიდონ, თვალები სად ექნება იმის გამშინჯველს? ვსთქვათ იმან ვერ შეატყოს, ჩვენი სახლის-კაცები ერთი ორათ ჩაუკვენწამენ.

მართა. (სალომეს ჩუმად).

რა ქნას, გული ეწვის, ძრიელ უბედურია. (მაღლა). ბიძები რატომ არ გამოიდებენ თავსა, ეგ ერთი ცოდვის შვილი ჰყავთ სახლში, მაგაზედაც რო თავი არ გამოიდონ, მაშ ვიღაზე უნდა გამოიდონ თავი.

ნენე.

რა ვიცი, რამდენიც მთხოვნელი მოვიდა, ერთხელ ბეჯითად კი არ მოეკიდნენ და.

მართა.

აბა ეხლა მე შეუდგები ამ საქმესა და მაშ დედაკაციც აღარ ვყოფილვარ, თუ შენი ბაბედას გათხოვებას არ მოვასწრო.

გამოსვლა 4.

იგინივე და ნინია.

ნინია. (ტკეპნით).

რა გალაპარაკებთ, დედაკაცებო? რა ჩურჩული გაქვთ? (მართა

დაუპირდაპირდება ნინიას და ხალომე განცვიფრებით უცქერის მართას, ნენე კი დაიწყებს მატყლის ჩეჩვას.)

მართა.

ჩვენი ბაბედას მთხოვნელი მოგვივიდა.

ნინია.

მერე რომ მოგივიდათ?

მართა.

ჩვენ იმას გავათხოვებთ.

ნინია.

ისემც აგიშენდება ოჯახი, რაც თქვენ ის ვერ გაათხოვოთ. არა, როგორ გინდათ გაათხოვოთ?

ნენე (წუწუნით).

აბა რა, რათ მოინდომებს ჩემი ქალის გათხოვებას, ხულ იმის ჯავრი არა აქვს.

მართა.

მართა, მე ერთი რამ ვიფიქრე, რომლითაც შეგვიძლიან ადვილათ გავათხოვოთ ბაბედა.

ნინია.

აბა რაა?

მართა.

ჩვენ ქსლა მაგას სხვა გაჩვენოთ, ეგ იმას მოიწონებს — წავა და ჭმას ეტყვის კარგი ქალი გიშოვნეო, იმას ამ ქალის სიყვარული ჩაუ-ვარდება, მერე ორი თვალითაც რო დაბრმავდეს, მაინც თავს ვერ დაა-ნებებს. მე რომ დამნიშნეთ ნოთურას როდის ვიყავი, მერე არ დავ-ნოთურავდი, რატომ ხელი არ აიღეთ? ჩემ კაცს რამდენჯერ უთქვამს, ორივ თვალებითაც რო დაბრმავებულიყავი, მაინც თავს არ დაგანებებდიო.

ნინია.

აიჰე! აიჰეე! ტყუილათ კი არ არის ნათქვამი: ზოგიერთი დედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცები კუდიანები არიანო. არა, რამ მოგაგონა, დედაკაცო?

მართა.

დედაკაცებს მაგის მეტი რა საქმე გვაქვს, რომ უწინდელივით ვერ მოვიგონოთ.

ნინია.

მგ კარგი, მაგრამ ისეთი საქმე კი არ გვიყო მე და შენ ქმარსა, რო ივარაჯები არ ჩაგვაცვან და ციმბირში არ გვიგრან თავები.

ნენე.

რაში მოინდომებს ჩემი ქალის გათხოვებას, პატრონი არავინა ჰყავს, მამა უნდა ჰყოლოდა ცოცხალი, რო ბედნიერი მაშინ იქნებოდა.

ნინია.

დედაკაცო! რატო აგრე იცი როსვა, არ დაგვაცდი მოვილაპარაკოთ, იქნება მე უფრო შემტკივდეს გული ჩემი ძმისწულისთვინა, მინამ შენა.

ნენე.

რაში გეტყობა, შენ სუ გულები დაუსვეთქე ჩემ რძლებსა, ციმბირი რო ახსენე.

სალომე.

ჭოო-და, ხუმრობა საქმე ხომ არ არის ამისთანა მოტყუება.

ნენე.

ვითომ კვერს არ დაუკრამ თუ.

მართა.

რისა გეშინიათ, განა მარტო ჩვენ თავზე სდება ეს საქმე, რამდენი სხვის თავზე მომხდარა.

ნინია.

აბა ერთი წავალ ვნახავ ვინა თხოულობს ჩვენ ქალსა. (იქით). რას გაუგიჟებია ის ოხერი ვიღაცა არის. სად არის, ვის ელაპარაკება?

მართა.

ბოსელშია, თქვენ ძმას ელაპარაკება. (ნინია გავა).

მართა.

უი ქა! ცოტა დამიმჟავდებოდა, სუ ფიქრს ველარ მოვკვდი. (გავა მართა).

ნენე. (სალომეს).

ჩემო რძალო, შენ ხომ იცი რა უბედურათ გადავეგე, ეგ ერთი ცოდვის შვილი დამრჩა, ეგეც არის გავათხოვო მაინცა. თუ როგორმე არ ვეცადეთ, ვინ ითხოვს. ურჩიე ჩემს მაზლებსა—ბეჯითად მოეკიდონ ამ საქმესა.

სალომე.

ხო იცით, თქვენი უფროსი მაზლი ძრიელ საწყალია, პირუტყვით არაფერი გაეგება, რასაც ჩასძახებენ, იმას ამოიძახებს. მაგ საქმესა ჩემი რძლის და მაზლის მეტი ვერავინ მოასერხებს, ისინი გამოცდილები არიან მაგისთანა საქმეში.

ნენე.

ვინც უნდა მოასერხოს, ოღონდ კი მოსერხდეს და, აღთქმას ვადებ ღმერთთანა, რო ყოველ ორ-შაბათობით ორი წელიწადი ფეს-შველა ვიარო და სამი წელიწადი ხორცი არა ვჭამო.

სალომე.

ვიშ! ნეტავი აგრე, რო გათხოვდეს—და, მე თითონ შეუთქვამ ღმერთსა, რო ერთი წელიწადი ღვინო არ დავლიო და ყოველ ორ-შაბათობით ორი წელიწადი ჩვენი წმინდა გიორგის ეკკლესიას ჩოქით შემოუარო.

ნენე.

ახლა კი ვიცი, რო შენც ძრიელ გინდა იმისი გათხოვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 5.

იგინივე, თედუა და ნინია.

თედუა.

სწორეთ რო კარგი ბედი მოგვადგა კარზე; აბა უნდა ზაბელა მივცეთ, თქვენ რადას იტყვით? მართა სადღაა? იმასაც დაუძახეთ.

სალომე (კარებიდგან უყვირის.)

ჩემო რძალო! მართა! მართა!

გამოსვლა 6.

იგინივე და მართა, (ისევ ისე ამოგანგლული ფქვილში).

მართა.

რა გინდათ?

თედუა.

რა არის ეგ შენ თავსა? ფქვილის გოდორში ხომ არ იჯექი?

მართა.

ფქვილის გოდორში რა მინდოდა.

თედუა.

მაშ ეგ რა არის?

მართა.

პურს ვაცხობ.

თედუა.

მაგ სუმრობას თავი დავანებოთ, აბა უნდა მოვიგონოთ რამე ზაბელას გათხოვებაზე, მე ვერა მომიფიქრებია-რა.

მართა.

როგორ ვერა მოგიფიქრებია-რა, მე დედაკაცი ვარ, მეკი მოვიფიქრებ-და, შენ კი ვერ მოიფიქრებ? რამდენ მაგისთანა საქმეს დასწრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზისარ, აგი კაცებმა იცით—ჩვენ გონივრები ვართო. დედაკაცებზედაო, მოიგონე რაღა.

თედუა.

რა დროს ეგ არის, თქვი ჩქარა, რას მოიგონებ?

მართა.

მე იმას მოვიგონებ, რო ჩვენ მაგას ეხლა სხვა გაჩვენოთ, ეგ იმას მოიწონებს, წავა და ამას ეტყვის, კარგი ქალი გიშოვნეო. ის მაგის სიტყვებს დაიჯერებს და სიყვარული ჩაუვარდება ამ ქალისა, მერე რო ორივ თვალებითაც დაბრმავდეს, ხელს ველარ აიღებს,—გასხოომს, რეებს მეტყოდი ხოლმე?

თედუა.

დასწყევლოს ღმერთმა, რამ მოგაგონა, დედაკაცო?

მართა.

მე სულ ასე მახვილი გონებისა ვარ.

თედუა.

მერე ვინ უნდა გაჩვენოთ?

მართა.

მე თითონ ვეჩვენებოდი, მაგრამ დამიწუნებს, ჩოფურა ვარ.

თედუა.

სხვა არ შეიძლება რო ვაჩვენოთ. (მართა მივა და ყურში უჩურჩულებს იავის ქმარს სალომე გაჩვენოთო).

თედუა (ნინიას).

მოდი და ჩემი რძალი ვაჩვენოთ—ნინია.

ნინია (ტკეპნით).

როგორ იქნება, ჩემი ცოლი უცხო კაცსა გვერდით უნდა მოუსვაა? არა, ძმაო, არა.

თედუა (ღიმილით).

რა იქნება, ხომარ აკოცებს, ეგ მაზლია,—ეს მისცემს და დაარიგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინია.

რო აკოცოს, მერე რაღა ვქნა?

თედუა (სიცილით).

რა არის რო აკოცოს, ლოყას ხომ არ მოაგლეჯს, თუ არა-და, რათ აკოცებს, მაგას რა ხელი აქვს საკოცნელათ, ქმარი ხომ არ არის.

ნინია.

მე არა ვიცი რა—ეგ თქვენა და ეგ ჩემი ცოლი.

თედუა (სალომეს).

ჩემო რძალო, შენ რას იტყვი?

სალომე (ყვითლდება და წითლდება).

რა ვიცი, თქვენი ნებაა.

თედუა.

მაშ შენ კარგა მოირთე შენებურათ, სახლიც მორთეთ, მე და ნინია წავალთ და შემოვიყვანთ იმ კაცსა. (მართა სალომეს გარეთ გაიყვანს მოსართველად, ნენე ადგება, სანჩელს გარეთ გაიტანს, ტახტზე დააგებს ხალიჩას, ზედ დასდებს ერთ მუთაქას).

გამოსვლა 7.

შემოვლენ: თედუა, ნინია და სოსიკა.

თედუა.

მობძანდი! მობძანდი! თქვენი ფეხი კეთილი იყოს ჩვენ ოჯახში.

სოსიკა.

ამინ.

თედუა (უშვერს ხელს ტახტზე).

დაბძანდით, აი ამ ტახტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსიკა.

გიახლებით. (მივა და ჩამოჯდება ტახტზე, დაიწყებს აქეთ იქით ცქერას.)

თედუა (უჩვენებს ნენეს).

ეს ადამიანი იმ ქალის დედაა. (სოსიკა თავს დაუკრავს.) ამასთანაც უნდა მოვილაპარაკოთ.

ნინია.

თქვენი ძმაა ის ვაჟი?

სოსიკა.

დიახ, ჩემი ძმაა.

ნენე.

ხომ კარგი ყმაწვილია?

სოსიკა.

მომცეს ღმერთმა კარგი, რო კარგი ის არის, რასა ბძანებ, ბატონთან არის გაზდილი.

თედუა (შუბლიკისკენ).

ბატონთან მე კი არა ვარ გაზდილი, ბატონთან თუა გაზდილი, თვალებს ვერ აგიხვევთ შენცა და იმასაცა.

ნენე.

ნეტავი აგრე რო კარგი ქმარი შეხვდეს ჩემ ქალსა. საწყალმა, რამდენი მწუხარება გამოიარა. (თედუა იქიდგან შუბლს უკრავს, ჭკოხია, იტყვის ჩემი ქალი ყიყვიანი და კოჭლიაო) მამის სიკვდილზე.

გამოსვლა 8

იგინივე და მართა.

(შემოვა მართა სხვა ტანისამოსით, თავს დაუკრამს სოსიკას, მივა და ქმარს გვერდით მოუჯდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედუა.

ეს არის ჩემი ცოლი.

სოსიკა.

კეთილი.

თედუა.

მართა, შენ რაღას იტყვი, ეს კაცი ბმანდება ჩვენი ქალის გასა-შინჯათ.

მართა.

მე რა უნდა ვსთქვა, ჯერ მზითევზე მორიგდით, მერე ქალსაც შემოვიყვან და ვაჩვენებ.

სოსიკა.

ჯერ ქალი ვნახო, იქნება არ მომეწონოს.

მართა.

თუ არ მოგეწონოს, ნუ დანიშნამ, შენც მშვიდობით და ჩვენცა.

სოსიკა.

ეგ სო აგრე იქნება.

მართა.

თქვენ რას ითხოვთ, ჩვენ ქალს ვაძლევთ ოთხ თუმან ჯიბის ფულსა, ორ ხელ ლოგინსა, ფარდაგსა, ხალიჩასა, სამ კაბასა, სკივრსა, ნახევარ დუჟინ კოვზსა, ერთ თუნგსა, ერთ ტაშტსა, ერთ ქვაბსა და სხვა წვრიმალებსა.

სოსიკა.

არა, მე მაგ ფასათ ჩემ ძმას ცოლს არ შევრთამ, ჯიბის ფული უნდა იყოს რვა თუმანი, ამასთანავე ეგ ბეჯი, რაც ჩამოთვალე.

ნინია.

ჩემ ოჯახს ხომ თან არ გამოვატან?

სოსიკა.

ნება ყოფლობაზეა, ჩემო ძმაო, ქალას ვინ გატანთ; მე ქალს იქ ვითხოვ ჩემი ძმისათვის, სადაც ბევრს მომცემენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართა (პუბლიკისკენ).

სწორეთ რო პირუტყვია ეს კაცი, ნამწყვი არა გაგებმარა, ის ქალი რო აქ უჯდეს, მანამ ცოცხალი იქნება, რვა თუმნის კაბას არ გასცვეთაამს? ახლა თქვენ პური იანგარიშეთ.

თედუა (ხოსიკას).

ეგ რო მოგცეთ, შენ რაღას მოგვიტან?

ხოსიკა.

მეე, ძმაო, (შეფიქრდება) მოგიტანთ, თუ ღმერთმა მოგვცა მოსავალი, სამ კოკა ღვინოსა და ორ კარგ ჭედილასაც მოგიყვანთ.

ყველანი (ერთად).

აშენოს!

თედუა (მართას).

აბა ერთი ჩვენი ბაზედა შემოიყვანე. (ჩუმად) მართლა ბაზედა კი არ შემოიყვანო და არ გაგიწყრეს ღმერთი. (ხმამაღლა) ჩქარა ბაზედა. (მართა გავა).

ხოსიკა.

ლამაზია თქვენი ქალი? მე ხუდ გული მიკანკალებს, მინამ შემოიყვანდეთ.

თედუა.

ისეთი ლამაზი და წითელი ლოყები აქვს, როგორც ბროწეული. (იქით: როგორც კომში), ისეთი ყელი აქვს; როგორც ყარყარა მტრედს—(იქით: როგორც ინდოურს); ისეთი სიარული იცის, როგორც მწყერმა—(იქით: როგორც ფრთებ დამტვრეულმა ბატმა.)

ხოსიკა.

გამოჩნდება.

გამოსვლა 9.

(გამოვა მართა, გამოიყვანს მორთულ სალომეს, ყველანი ფეხზე აუდგებიან, მართა და სალომე ტახტზე ავლენ და ფეხზე დადგებიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი (ერთად).

დაბმანდი, ელისაბედ. (ზოგი წამოიძახებს—სალომე).

(სალომე გაწითლდება და გაყვითლდება. დასხდებიან ყველანი, სალომეც დაჯდება და თავს ჩაჰღუნავს, სოსიკა პირდაპირ დაუჯდება).

სოსიკა.

რისა გრცხვენიან, ქალო, თავი რათ ჩაღუნე? უცხონი ხომ არავინა გართ, სულ შენი ბიძები არიან, გათხოვება აუცილებელია ყველა ქალისთვინა, ქმარი რო წაგიყვანს, მერე იქნება აღარც კი გინდოდეს აქეთ წამოსვლა.

ნინია (პუბლიკისკენ).

რას მუდრეგობს ეს ოხერი, ისემც უცხონდება კვდარი, რაც ჩემი ცოლი ამან ვერ წაიყვანოს, აცა—ერთი ცოლი მომიკვდა, მეორე ძლივს მოვიყვანე, ამასაც ეს ეპატიჟება თავიანთკენ. (სოსიკას ძრიელ მოეწონება, სიხარულით ვეღარაფერს გაიგებს და აღარ განაგრძელებს ლაპარაკს.)

სოსიკა.

მე კი მამწონს—და. გონი, ჩემს ძმასაც უნდა მოეწონოს.

თედუა (პუბლიკისკენ).

რასაკვირველია მოეწონება, ქალს თეთრ-წითლათ გააქვს სახსახი. აი თუ მოეწონება სოსიკას სალომე!

სოსიკა (ამოიღებს ხუთ მანეთს და კალთაში ჩაუდებს თავის სარძლოს.) უკაცრავათ, ეს ბე არის, ნამდვილი ნიშნობა და ქორწილიც მალე იქნება.

თედუა (მართას).

აბა, დედაკაცო, პურიც მოგვშივდა, ვახშამი შემოიტანე. (მართა გავა, ნენეც თან გაჰყვება)

ნინია.

კარგი რამ არის ჩვენი ქალი.

ხოხიკა.

კარგი, კარგი! ბედნიერი ვიქნები მეც და ჩემი ძმაცა, თუ გულიც კარგი აქვს.

თედუა.

რა ვიცი, მე მაგის გული არ მინახამს—და, კარგი აქვს, თუ წამხდარი.

ხოხიკა.

არა, მე ხომ მაგას არ მოგახსენებ, ყოფა-ქცევა კარგი ჰქონდეს მეთქი.

თედუა.

პენციოში კი არ არის გაზდილი ჩვენი ბატონის ქალივითა, დაბმანდი, გიახლები, მიირთვი—ესენი კი კარგათ იცის.

ხოხიკა.

მეც ეგ მინდა, მაგაზე მეტს არასა ვთხოულობ.

გამოსვლა 10.

იგინივე, მართა და ნენე.

(მართა შემოიტანს ხონჩით ვახშამს, ლურჯი სუფრა ზემოდამ აფარია, უკან მოსდევს ნენე, ხელში უჭირავს დიდი დოქით ღვინო და ყანწი. მართა მივა და გაჰშლის სუფრას).

თედუა (ნენეს).

ახლა ხო გიხარიან, ჩემო ძალო, სიმხიარულე გმართებს.

ნენე.

რატომ არ გამეხარდება, მაგის მეტი ვინღა მყავს. (იქით წუწუ-

ნით). სიხარული მაშინ იქნება, როცა საქმე სულ გათავდება — უნდა ისევ წელები მეწვის.

მართა. (ნენეს).

ჩუმათ იყავ, შენ ჯავრი ნუ გაქვს, მაშინაც ასე მოვიგონებ რასმე, რო ადვილათ გავათაოთ.

ნენე.

შენი ჭირიმე, შენი, შენი იმედი მაქვს.

თედუა (აიღებს ყანწს, დაასხამს ღვინოს და დაილოცება).

ღმერთმა შეაბეროთ სამეფო და საპატარძლო. (ერთადე ამინ. ალავერდი, ნინიავ, შენთან.

ნინია.

იახშიოლ. (თედუა მიაწოდებს სავსე ყანწს).

ნინია (ჩამოართმევს ყანწს და დაილოცება).

ღმერთმა შეაბეროთ ზაქარა და სალო . . . ბაბედა. (ყანწს გადაჰკრავს და გადუგდებს თედუას. იქით) ეს ოხერი, წინადამ ბაბედას მაგიერათ სალომე არ წამოვიძახე, ადრეული მამალივით. (თედუა დაასხამს ყანწზე ღვინოს და მიაწოდებს სოსიკას).

სოსიკა (ჩამოართმევს და დაილოცება).

ქალო, ღმერთმა შეგაბეროთ შენდა ჩემი ძმა ზაქარა, ბედნიერი ქალი გამყოფოს.

ნინია (იქით).

ამან მართლა დაიჯერა ეს, ჩემი ცოლი რძალი ჰგონია.

(ჰსვამენ ერთი ერთმანეთის სადღეგრძელოებს, მოეკიდებათ ღვინო, ნინია შემოსძახებს სიმთვრალის ხმით სიმღერას:

ქალი რო ავათ გახდება წაიყვანენ არბოსა, ერთ მაინც გაიკუნტრუშებს რაგინდ რო არა არგოს-რა.

სოსიკა.

ახლა კი მიდის დრო, დილაზე ადრე უნდა ავდგე და წავიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედუა (ნენეს).

შენ წადი ლოგინი დააგე ბოსელში, ჩვენც ესლავ გამოვალთ. (ნენე გავა).

ხოსიკა (ადგება, აჭყვებიან ყველანი თან; წავა ხოსიკა ნელ-ნელა ტორტმანით კარებისკენ, ნინია უკან მისდევს). კარგი ქალია ჩემი რძალი.

ნინია.

ჭო, კარგი ქალია ჩვენი ხალომე. (მობრუნდება ბუხლისკენ). ვაიმე! კიდევ არ წამომცდა ეს ოხერი ენა, ეს მუდრეკა ენა თუ მახათით არ დავიჩხვლიტე, კიდევ შემარცხვენს როდისმე. (წაივლებს ენაზე ხელს, იჩქმეტს და დაიყვირებს—ვაიმე, დედავ, ენა! ფარდა დაეშვება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება 2.

გამოსვლა 1.

(აისდება ფარდა და სცენა წარმოადგენს ოთახს, ტახტზე ზის ჭეჭე, ხელში უჭირავს მაზლის პერანგი და ჭკერავს).

ჭეჭე·

ვიშ! ნეტა ვიცოდე რათ დაიგვიანა? ის გასახარჭელი ოთხი დღეა, რაც წავიდა, ხო იცის რო იმისი დიდი მოლოდინი გვექნება; ან იმ ცხენს რატომ არ მოჭკვრის პატრონსა, რით ვერ გაიგო თავის სახლი-კაცის ხასიათი, ამ დღივ ლამას თავ-პირი მომაჭამოს.

გამოსვლა 2.

იგივე და სვიმონა.

სვიმონა.

კიდევ არ მოვიდაა?

ჭეჭე·

მეც ეხლა იმას არა ვლაპარაკობდი, სად არის ის გასახარჭელი, თუ მოვა.

სვიმონა.

ახ, ის ტიალა, მე კი აღარას გამომადგება-და, ეხლანდელ დრო-ში მოდი და ათხოვე ვისმე რამე, ღმერთმანი, იმ ტიელს... ან მოვკლამ, ან გავყიდი, რო აღარ მეყოლება, მერე რაღას მთხოვენ..... თუ იცი, დღესაც დაიგვიანებს?

ჭეჭე·

რა მოგახსენოთ, მე გუშინაც მოველოდი, მაგრამ დღესაც კი არსადა ჭსჩანს.

(სვიმონა გაჯავრებული გავა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 3.

(შემოვა ზაქარა აგარწახებული, სარწყავში ნამყოფი).

ზაქარა.

რა ქენი, ძალო, ვერ გაათავე ჩემი პერანგი? (ხელს სცემს მხარზე პეპეს; ეს ნაფიქრებული ზის) მე კი ორი დღის მიწა მოვრწყე-და, შენ კი ჯერ არ გაგითავებია პერანგი.

პეპე (ფიქრებიდამ გამოერკვევა).

მალე გავათავებ, ერთი სახელიდა მაკლია... მაგრამ რას სჩადის შენი ძმა, რო არ მოდის, ჩვენი ჭიჭინა სვიმონა იყო აქა, ცხენს გითხულობდა.

ზაქარა.

მერე რა იქნა?

პეპე.

მრიელ გაჯავრებული წავიდა.

ზაქარა.

გაჯავრდეს-და, ცივი წყალი დალიოს. არა, იმ მუდრეკას, რა ნალები ასცვივა, თუ არა — შარშან ჩვენი ლურჯა ცხენი მთაზე ექვსი დღე არა ჰყავდაათ? კაცს რომ არ უნდოდეს სათქმელათ, ძალათი ათქმევინებენ. აბა ერთი მითხრას რამე! (გავა).

(შემოვა მარინე და პეპეს გვერდით მოუჯდება).

მარინე.

კიდევ არ მობძანდა ნათლია?

პეპე.

სად არის, თუ მოვიდა.

მარინე.

უთუოთ ქალი იშოვნა და ქეიფებს გაერთო.

ბებე.

იშოვნა და რაღას უდგია, წამოვიდეს, რა დროს ქეიფია. ხვიმონამ ღამის დამასრჩოს.

მარინე.

ბანქოები არა გააქვს? მე ქასალდის გაშლა ვიცი, შევიტყობ ან როგორი ქალი იშოვა და ან როდის მობძანდება.

ბებე (ადგება და მოუტანს ქაღალდებს).

მალე გაშალე, თუ ღმერთი გწამს, ღამის ჯვარით გაგვიჭდე.

მარინე (გამოართმევს სათამაშო ქაღალდს, აარჩევს ნაზუქის სალდათს და ძირს დასდებს, დაჰხუჭავს თვალებს, გამოაძრობს ერთ ქაღალდს და სალდათს დააფარებს; აგრეთვე შვიდ ქაღალდს კიდევ გამოაძრობს და დაჰყრის ძირს, მერე აიღებს სალდათზე რომ ქაღალდი დააფარა და ჰნახავს ჯვრის ექვსიანს). ეს ჰნიშნავს გზასა და ამ ცოტა ხანში უნდა მოვიდეს. (მერე აურევს იმ ქაღალდებს და სამ-სამს დააწყობს პირქვე, აიღებს პირველ სამს და ჰნახავს ნაზუქის სალდათს, ჯვრის ექვსიანს და აგურის ქალს და წამოიძახებს) აი ნათლია გზაზე მოდის, ეს აგურის ქალი არის დანიშნული, ნათლიას იმის სახელი თან მოაქვს. (მერე აიღებს სამს და ჰნახავს ჯვრის ტუზს, აგურის სუთიანს და ყვავის ქალს). ტუზი ნიშნავს ფულს, სუთიანი აგურისა ნიშნავს სიმხიარულეს, ეს ქვრივი ქალი არის დედა იმ ქალისა. უჰ, ქა! ობოლი ყოფილა. (მერე აიღებს მესამე სამს და ჰნახავს სულ წითელ ქაღალდებს) ესენი აჩვენებენ, რომ ისინიც და ნათლიაც ძრიელ მხიარულათ არიან.

ზაქარა (ამ დროს შემოვარდება).

მალო! მალო! სოსიკა მოდის. (მარინე წამოვარდება, გავა გარეთ და შემოიძახებს) აგი გითხარ, რო მალე მოვა მეთქი. (ბებეც ადგება და კარებში მიეგებება სოსიკას. სოსიკა წამოვა და ტახტზე ჩამოჯდება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეპე.

რათ დაიგვიანე, თვალები გზისკენ დაგვაწყდა.

ხოხიკა.

დამაცადეთ, სულ დაწვრილებით გეტყვით. ზაქარია, ცხენს გასხედე, უნაგირი მოხადე და თივაც დაუყარე.

პეპე.

რა ქნა, ჩვენ ქაღალდი გავშალეთ და გავიგეთ რომ ქალი დაგინიშნავს, აბა გვითხარი როგორია.

ხოხიკა.

მკითხავები ხომ არ იყავით, როგორ გაიგეთ? უნდა გითხრათ, რო ძრიელ კარგი ქალი დავნიშნე.

(ზაქარია გარეთ მიდიოდა, ეს რო გაიგონა, ისევ უკან დაბრუნდა ყურის დასაგდებლად).

ხოხიკა.

რას დაბრუნდი, წადი ცხენს მოუარე, მერე შემოდი და სულ დაწვრილებით ვიტყვი, ეხლა აღარაფერს ვიტყვი, მინამ შენ არ შემოხვალ.

(ზაქარია სისარულით და ფაციფუცით გარბის გარეთ, მოხსნის უნაგირს ცხენს, შემოიტანს შინ და სად ადგილს დააგდებს, სად თაქალთოს — აღარა გაეგება-რა, მივა და ხოხიკას გვერდით მოუჯდება).

ხოხიკა (დაიწყებს).

მივედი ერთ სოფელში და ერთი ოჯახის შვილის სახლში ჩამოვხტი. ისინი კარგათ მომეგებნენ, მერე მე ვკითხე: ამ სოფელში კარგი ქალი ხომ არავინ იცით მეთქი? იმათ ერთი ერთმანეთს შეხედეს და სიცილით მითხრეს: ვისთვის გინდაო. მე უთხარი: ერთი კარგი ბატონთან გაზდილი ძმა მყავს მეთქი. იმათ მითხრეს: რადგან ბედმა აქ მოგიყვანა, ჩვენ გვყავს ერთი კარგი ლამაზი ქალი, თუ მზითევს

ძრიელ არ აგვიგიდებო. მეც სიცილი შევქენი და უთხარი: სწორედ რო ბედმა აქ მომიყვანა, ოღონდ ჩვენში მოყვრობა მოხდეს — და მზი-თევი რა საჭიროა მეთქი. მერე ქალი გავშინჯე და ძრიელ მომეწონა, მგონი ზაქარიასაც უნდა მოეწონოს, ხუთი მანათი ბე მივეცი.

ბებე

ის ქალი სწორედ მკითხავათ გამოდგება, სულ აგრე ილაპარაკა იმანაც.

ზაქარია.

ვინა ძალო!

ბებე.

მარინემ ქაღალდი გაშალა და მითხრა, რო სოსიკას ქალი დაუნიშნავსო და მხიარულად არისო.

ზაქარია.

სწორედ მკითხავი ყოფილა.

ბებე (სოსიკას).

მერე ქალი როგორია?

სოსიკა.

კარგი! კარგი! (ზაქარია წითლდება და ყვითლდება, სანამ იტყვი იმის ქებას). ასეთი ლამაზი და წითელი ლოყები აქვს, როგორც თუ რაშაულ ვაშლს, ისეთი ტანი აქვს, როგორც ლერწამი. (ზაქარია ეშხით დაიწყებს მხიარულის სახით ცქერას აქეთ-იქით).

ბებე.

მე სილამაზეს არა გკითხავ, ჭკუა, გერვა, ყოფა ქცევა როგორი აქვს? სილამაზე ჩემმა მაზლმა გკითხოს.

სოსიკა.

ისეთი ჩუმათ შედიოდა და გადიოდა, რო უთუოთ კარგი ყოფაქცევისა უნდა იყვეს; ჭკუა და გერვისა კი არა ვიცი... ნუ ეცოდინება რა, შენ აქ არა ხარ, ვერ ასწავლი?! (ზაქარია კევს დაუწყებს ჩურ-

ჩულს. კიდევ ჰკითხე რამე).

ქეთე·

მაინც ამ სოფელში ვისა სჯობია.

სოსიკა.

ამ სოფლის თვალი იქნება, იმას აქ არავინა სჯობიან.

ქეთე·

ანდრიანთ ტასიკასა სჯობია?

სოსიკა.

თუნდ ოცს სჯობიან.

ქეთე·

გიორგაანთ ანიკასა?

სოსიკა.

ჰო, ბევრს ადარას ჩამოუვლენ ერთი ერთმანეთს; ჩვენიკი უფრო უნდა ჰსჯობდეს.

(ზაქარას პირ – ღიმილი მოსდის, ამდროს დაინახებს სვიმონაც).

სვიმონა.

კიდევ არ მოიყვანაა ის მუდრეგა ცხენი?

სოსიკა (ზაქარას).

ადე მიეცი.

(ზაქარა გავა ცხენს მისცემს, სოსიკა და ქეთეც თან გაჰყვებიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 2.

(ზაქარა ისევ შემობრუნდება).

ზაქარა.

ნეტავი ისეთი ლამაზია, როგორც ჩემი ძმა ამობს? ნეტავი ტანიკოსთანა იქნეს, არ მინდა რო ანიკოსთანა იქნეს. ის ძრიელ ლამაზია და სილამაზეზე დაიწყებს ცქერას, მერე მოდებსაც მოინდომებს. (ამ დროს მერუეს ხმა ისმის გარედამ. ზაქარო! ჰოი ზაქარო, ზაქარო!)

ზაქარა.

შემოდი, რაგინდა?

მერუე (შემოვა ბარით).

ამ წინაზე რო მიწა მოვწყე, ახლა შენი რიგის პურის ჭამევა.

ზაქარა.

კარგი, დაჯექი; წავალ ღვინოს შემოვიტან და ორიოდ მჭადსაც. (გავა).

მერუე (ბარს კედელზე მიაყუდებს და ტახტზედ ჩამოჯდება).

ეს კარგია, რო ღვინო ახსენა, ეტყობა ნასდივ ჰქონია; მე მაშ კარგათ გამოვიბრუჟული ღვინით, საწყლები ჩემი ამხანაგები კი ისე დარჩებიან. (დაიკრავს მუცელზე ხელს). ამ ოხერში თორმეტი სტაქნის მეტი კი არ ჩადის-და, ნეტა მამგონებოდა მაინცა, ჩვენ რო პატარა ტიქჭორა გვაქვს, ჯიბეში ჩავიდებდი და ხან-დის-ხან იმაშიაც ჩავასხამდი, მერე გამოვიზოგებდი ცოტცოტაობით.

(ზაქარა შემოიტანს ჩაფით ღვინოს, ხონჩით მჭადებს და დაუდგამს მერუეს წინ):

ზაქარა.

მიირთვი, ძმაო. (დაასხამს სტაქანზე ღვინოს და მიაწოდებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერუე.

კარგ სელს უჭირავს.

ზაქარა (დაილოცება).

აგვაშსოს, აგვაშენოს, ღმერთო ნუ მოგვაკლებ შენ მოწყალებას (გადაჰკრავს, დაასხამს და მიაწოდებს მერუეს).

მერუე (გამოართმევს და დაილოცება).

ღმერთო, შენს მოწყალებას ნუ მოაკლებ ამ ოჯახში სოსიკას და იმის ძმას ზაქარას. (დასცლის სტაქანს და მიაწოდებს ზაქარას). მართლა, ვერ მოგილოცე, მე მითხრეს ზაქარა დაუნიშნავთო, ღმერთმა გაგაბედნიეროს, როგორც შენი გული სთხოვდეს, დასხნი უნდა ვადღეგრძელო.

ზაქარა.

ვინა! ჩემი ზორბაა?

მერუე.

ჰო, შენი ზორბა. (ზაქარა აიღებს ჯამს, მოსწმინდავს და ლიცლიც გასდის ღვინით).

ზაქარა (მიაწოდებს).

თუ გიყვარდე უნდა დასცალო.

მერუე.

მიმწარეს რო იყვეს მაინც დავცლი. ღმერთმა გიცოცხლოს ზორბა, შეგაბეროთ იქამდინ, მანამ პურანგის ტარებას შეგეძლებათ. (ჯამს დასცლის და მოაპირქვავებს). ესე მტერი დაგიცარიელდეს.

ზაქარა (აავსებს და დაილოცება).

ღმერთმა მაცოცხლოს ჩემი ნუგეში, ჩემი სიცოცხლე და ჩემი ზორბა. (გადაუხვამს).

მერუე.

მართლა, როგორი ქალია?

ზაქარა.

ჩემი ძმა ამბობს, ძრიელ ლამაზიაო, ერთი სიტყვით ძრიელ ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რზაათ და მე კი არ მინახავს, მაგრამ ვიცი რომ კარგი რამ იქნება, განა ხასიათ მოტყუვდება რამიმე?

მერუე.

ვიცი რო შენი ძმა არ მოტყუვდებოდა, მაინც ვისა ჰგავსო?

ზაქარა.

გიორგასთ ტასიკას თუნდ ოცს სჯობიანო.

მერუე.

თუ ისეთია, სწორეთ ბედნიერი ყოფილხარ.

ზაქარა.

მაშ შენ არ იცი, თუ რანაირი ბედნიერი ვარ პატარაობითვე? ჩემ ქალბატონს ისე უყვარდი, რო ჩემთვის გიჟდებოდა, რამდენჯერ უტირნია, როცა შინ წამოვსულვარ. მართალა, თქვენ რაღას აზირებთ, რატომ არა ნიშნავთ ტატიკას, ის ჩემზე ორიწლით დიდია.

მერუე.

რავიცი, როგორღაც კი იბუტება-და, ჩვენებს აღარც არეცხინებს და აღარც აკერებინებს. იმ დღეს გაქცეულიყო, სოფლის ბოლოდგან ძლივს მოვაბრუნე.

ზაქარა (სიცილით).

და რაღა ყური წაგიგდიათ, ეტყობა ცოლი ნდომებია.

მერუე.

რა ვიცი, რატო არას ამბობს, თუ ცოლი უნდა.

ზაქარა.

გაბუტება და გაქცევა იმის ნიშანია, რო ცოლი ნდომებია, მე რო ცოლი მინდოდა, ჩვენებს კი არ უთხარი: თუ ცოლი მინდაო; ერთი რამწამ გავებუტე, მაშინვე დამნიშნა ჩემა ძმამ.

მერუე.

მაშ ამ შემოდგომაზე უთუოთ და უთუოთ უნდა ვეცადო და უშოვნო ლამაზი გოგო. (სვამენ ერთი ერთმანეთის სადღეგრძელოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივენი დაითრობიან და ბარბაცით გავლენ გარეთ).

გამოსვლა 3.

სოსიკა და ქექე.

სოსიკა.

ხვალ ნეფე უნდა გავისტუმროთ და უნდა მოვემზადნეთ, დედაკაცებს დაუძახე და ლავაშები აცხობინე, მე წავალ მაყრებ შევატყობინებ, რო ისინიც მოემზადნენ. ზაქარა სადაა?

ქექე.

წეღან მერეუს პური აჭამა და დაიძინა.

სოსიკა.

რა დროს ძილია, ისიც გააღვიძე და უთხარი ურემი დაჩარდახოს. (ორივენი გავლენ).

გამოსვლა 4.

(შემოვა ქერივი ნატალია და დაიწყებს სიარულს და მასთანავე წუწუნს).

ნატალია.

ვიშ! რათ დაიგვიანა იმ დასაქცევმა, ჩემა მესანულემა, ღამის რძე დამიმყავდეს.

ხორეშანი (გარედგან ყვირის)

ნატალია! ნატალია! ქა!

ნატალია.

შემოდი, არავინ არის.

გამოსვლა 5.

იგივე და ხორეშანი.

ხორეშანი (შემოვა, შემოიტანს საწველელით რძეს).

ხომ დაიგვიანა და იმიტომ დავიგვიანე ასე. (ორივენი მოვლენ შუა სცენაზე და ჩაჩურჩულებიან, საწველელს შუაში ჩაიდგმენ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატალია.

რა ცოტა მოგიტანია.

ხორეშანი.

ჩემა ძროხამ იმაკა და იმიტომ აკლო.

ნატალია.

მაინც ამ კვირაში რაც რძე გაგროვე, სულ ასე უმარაქოთ გაიარა.

ხორეშანი.

მე რავქნა, აქამდინ ხო სრულათ გიზიდამდი.

ნატალია.

შენ ხომ საყვედურს არ გამლევ.

ხორეშანი.

ახალი ამბავი არა გაგიგია-რა?

ნატალია (განცვიფრებით).

არა, მე არა გამიგია, რა ქა?

ხორეშანი.

ჩვენებიანთ ხოსიკასა თავისი ძმა დაუნიშნამს, ქალს ძრიელ აქებენ, გიორგიანთ ანიკასა ჰგავსო.

ნატალია.

გინა საქმე, ტყუილი იქნება.

ხორეშანი.

ხოსიკას უთქვამს, ქორწილსაც ამ ცოტა ხანში აპირებენ.

ნატალია.

ხოსიკას გაშინჯული—იმისთანა იქნება, ის ქალს როგორ შეატყობს, იქნება სხვაც აჩვენეს, მერე რო ნახოს, ველარც კი იცნობს, თუ რომელი ქალი გაშინჯა, თუ არა-და ისეთ ლამაზ ქალსა იმ ცინგლიან ბიჭსა ვინ მისცემდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორეშანი.

ხოსიკა თვალთ-მაქცია, ის ყველაფერს მოასერხებდა.

ნატალია.

აფსუს, ქალო, თუ ისეთი ლამაზი ხარ, როგორ უნდა გასძლო ამათ ოჯახში.

ხორეშანი (ჩუწუნით).

უი, დედასა, შვილო.....მალე გაგისეთქამს გულსა შენი რძალი ჰმმმ·····

ნატალია.

მართლა, შენ კი არა გაგიგონია—რა მამხდარა?

ხორეშანი (აღტაცებით).

რაა! აარა.

ნატალია.

ჯავახიანთ ანდრიას ცოლს ოქრუა იმერელი შეუყვარებია.

ხორეშანი.

მეც გავიგონე. მართლა, ჩსკვაიანთ გიორგასთვის ჩამზიანთ მელა-ნას ჯადო უქნია, საწყალი სამი დღეა ცოლსა სცემს, მითხარი ვინა გყვარობსო.

ნატალია.

უი, საწყალი, რა ბიჭი იყო; მაგრამ ღმერთს კი მოუკლებია. მე ერთი კიდევ საკვირველი რამ გავიგე. ჩვენ მღვდელსა და დიაკვანსა ერთ ცხვრის ბეჭზე ჩხუბი მოსვლიათ.

ხორეშანი

ეს რა მაგის პასუხია და ფსავიანთ შიოს რძალი შეუყვარებია. ოხ! ღმერთო შეგცოდე.

ნატალია.

ტყუილი უთქვამთ, ეგ პირიდგან როგორ ამოუშვი, მეც თითონ გავიგონე, მაგრამ ცილს სწამებენ.

ხორეშანი (ჩუმათ).

არა, ქა! მართალია, მე თითონ შევნიშნე, რომ რძალი ეთამაშე-ბოდა შიოს.

ნატალია (გაანჩხლებით).

მაგას როგორ ამბობ, რძალი რომ შიოს ეხუმრებოდეს, საკვირვე-ლია? ეგ ხომ შენი მოგონილია, შე კუდიანო, შენ თითონ ხარ მა-გისთანა და გინდა შენი ჭკუა სხვას გადასცე. ისხომ ჩემინათესავია, თუ მე არა შევნიშნე-რა, შენ როგორ შენიშნე.

ხორეშანი (წამოდგება და ნელნელა კა-რებისკენ წავა).

აი, თავს ლაფი კი დამესხას, თუ მე შენზე ცუდი ვიყვე, კუდია-ნო, ჯადოიანო, რა ცოდვები გადმოყარე? ქვეყანა იმასვე ლაპარაკობს და მე რა ვქნა?

ნატალია (გაანჩხლებით).

ხომ შენი ბრალია, შე ქოფაკო, წადი დაიკარგე, ჩემ სახლში აღარ გაიარო, თორე კეტით წელს მოგწყვეტავ. (ნატალია წა-მოხტება, აიღებს საწველელს და გამოუდგება).

გამოსვლა 6

ზაქარა, სოსიკა, კეკე და მაყრები.

სოსიკა.

ხომ მზათ არიის? ურემი ხომ კარგათ გამართე?.

ზაქარა.

ხომ მზათ არის, ურემიც კარგა გავმართე, მაგრამ ღვინო კი არ ამოგვილია ტიკში, ჩვენი ტიკი მჭიდე პეტრეას და ჩვენებიანთ უნდა ვისესხოთ, იმათი ტიკი უფრო მოზრდილია. (მიუბრუნდება კეკეს). წადი, ქალო, გამოართვი. (კეკე გავა).

(ამ დროს ისმის მეურმის ხმა).

მეურმე.

ასე მოაგოროთ ე ურემი, რო ადვილათ დავაბრგოთ.

სოსიკა.

აგრა, ურემიც მოაგორეს, მე წავალ დავაბარგამ, შენ ამ მაყრებს ჯერგათ პური აჭამე, ღვინოც ბლომათ დაალევინე, მეც ეხლავ შემოვალ. (სოსიკა გავა).

ზაქარა (გავა, შემოიტანს ლავაშებს თაბა-სით, ერთ ტიკ ღვინოს და მიუბრუნდება მაყრებს).

მობძანდით! ტიკი მოხსნათლია და მოკნათლოთ.

მაყრები (ერთად).

გვიცოცხლოს ღმერთმა შენი თავი. (მივლენ ტ ტახტზედ დასხდებიან, მოხსნიან ტიკს პირს, დაიწყებენ ჯამებით სმას და ერთი ერთმანეთს ადღეგრძელებენ).

გამოსვლა 7.

იგინივე და სოსიკა.

სოსიკა.

აბა ისე უნდა დალიოთ, რო აქაური სიმთვრალე აქვე მოგშვეთ, რო მოურავმა არ დაგვაყვედროს: თქვენმა მწყურვალმა მაყრებმა ბევრი ღვინო დაგვილიესო.

ყველანი (ერთად).

აცოცხლოს მასპინძელი, აცოცხლოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 8.

იგინვე და ბებე.

ბებე (შემოიტანს ტიკს, მისცემს ზაქარას, ზაქარა გავა და ბებე პუბლიკისკენ იტყვის):

და-და-და-და, რა ნაირი სოფელი გვაქვს.—სიშურისა და სიბოროტის მეტი არა ტრიალებს რა; შავი მიწის მეტი კი არა მოგვაშლევინებს რა ბოროტებას. სანუფრო გზაზე სდგას, ესლა მეუბნებიან —ის ქალი ქაჩალი ყოფილაო, რაზე იდებთ მაგ შენი მაზლის ცოდოსაო, უნდათ რომ როგორმე ჩემი მაზლის ყურში ჩააგდონ, რო ის აღარ წავიდეს და ეს ამოდოლა სარჯი წაგვისდეს და ისიც დააცდინონ თავის პირველ ბედსა.

სოსიკა (ყურს უგდებდა აქამდინ).

დედაკაცო! ჭორ-ჭურებს რა ყურს უგდებ, ქართული ანდაზა არ გაგიგონია? «ვინც რა უნდა სთქვასო, წისქვილმა კი ფქვასო». მე რო ჭორ-ჭურებისთვის ყური მეგდო, აქამდისინ კლდიდგან გადმომაგდებდენ.

ბებე.

რაიც, მე კი გული გამისეთქეს მაგ წყეულებმა-და (ამ დროს მაყრები შემოსძახებენ სიმღერას).

წასვლა სჯობია წამავალისა
არ დასანება ხანისა,
კორკოტი გვჭამოთ ასლისა.

გამოსვლა 9.

იგინივე და ზაქარა.

(ზაქარა სამეფოთ მორთული, შემოვა, მაყრები დაინახამენ, დადგებენ ამის სადღეგრძელოს დაი ტყვიან):

ჩვენ სანუფოს გაუმარჯოს. (რამდენსაც დალევენ, იმდენი დაიყვირე-

ბენ ჩვენსამეფოს გაუმარჯოს. აიშლებიან, ბოლოს შემოსძახებენ სიმღერას):
წავალთ და მოვიყვანთ დედალ ხოხობსა ჩვენი ხოსიკას ძმისთვისა. (გავლენ და ფარდა დაეშვება).

მოქმედება 3.

(ფარდა აიხდება, სცენა წარმოადგენს დარბაზს, მარჯვნივ სდგას ფიცრის ტახტი, ზედ აგია ხალიჩა და დევს მუთაქა).

გამოსვლა 1.

სალომე და მართა.

სალომე (ნაზის ხმით).

აბა ჩემო რძალო, ჩვენი ბაბედას მაზლმა რო გვითხრა, მარიამობის მესამე დღეს ქორწილი უნდა იყვესო, ესეც მარიამობა, ზეგ უეჭველათ მოვლენ; რა ღონის ძიება უნდა ვიხმაროთ, რო იმოდენა ხალხს ბაბედა შევატყუოთ? იმათმა მთვრალმა მაყრებმა, თუ გაიგეს, უეჭველათ ჩვენებს ერთ სისხლს მისცემენ. (შეიხედავს მაღლა) ოხ! ღმერთო ჩემო, შენ გაათავე ეს ქორწილი მშვიდობით.

მართა.

რასა სწუხარ, მოვიდნენ და ალბათ მაშინ ღმერთი გვაფიქრებინებს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, მაშინ ადვილია მოიფიქრება; ქართული ანდაზა არ გაგიგია: გაჭირება მიჩვენეო, მე გაქცევას გიჩვენებო.

გამოსვლა 2.

იგინივე და ნინია.

ნინია (შემოვა და დაიწყებს ტკაპნით):

რას იტყვი მართა, ვეღარა მოიგონერა ერთი იმისთანა გუდიანური?

მართა.

ძალიან ღვთისათა მოვიგონებ, განა ღმერთი თავის გაჩენილს უნუგეშოდ გაუშვებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 3.

თედუა (შემოვა).

მე თოფიარალი კარგათ დავწმინდე, ვინიცობაა უარზედ დადგნენ, თოფიარალს უნდა მიყუოთ სალი, ჩვენებიანთ ბესიკასაც შევატყობინეთ, არსად წავიდეს, თუ ეს ქალი დაგვიწისლეს, მერე იმის ქალსაც ადვილათ დასწოხლამენ და პატრონი კი არავინ ყოლიება, იმასაც უნდა თავი გამოიდოს. რამდენჯერ შევწრებივარ ამისთანა საქმესა, ჩვენმა ბატონმა რო თავისი და გაათხოვა, ხო იცით რანაირი გუზიანი იყო, წინათ სანეფოს სხვა აჩვენეს, ჯვარის წერის დროს კი მიიყვანეს და გუზიანი გვერდით მოუყენეს. სანეფო და მაყრები დიდ უარზე დადგნენ, გაჩნდა საშინელი ხანჯლის ტრიალი, მეც თითონ იქ ვერიე, ჩვენ დავაძლიეთ და ძალათი ჯვარი გადავსწერეთ. თუ ჩვენც უარი გვითხრეს, უნდა ძალა მოვიხმაროთ.

სალომე (ტირილით).

რას ბძანებ, ჩემო მაზლო, მე რო მაგ ჩხუბში გნახოთ, თავსაც მოვიკლავ, — თუ არა — და, ღვდელი რათ დასწერს ჯვარს?!

თედუა.

რას ამობ ქალო, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს.

ნინია (ტკეპნით).

მერე ჩხუბში რო მომკლან, რაღა ვქნა? არა ძმავ, არა, თუ მე არ ვიქნები ცოცხალი, სულამც გაწყვეტილან, ამ ჩემ სალომეს უნდა მოვშორდეე? მე კი წავალ დავიმალები სადმე და თქვენ რაც გინდოდეთ, ისა ჰქენით.

მართა.

რას სწუხართ, ან ხმალი რათ გინდათ და ან ხანჯალი, ჩერსს რომელი ხანჯალი სჯობიან? ჩემმა კაცმა რო თავისი ქალბატონის გათხოვება სთქვა, ერთი რამ მომაგონდა მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ერთათ)

რა! რა!

მართა.

ისა რო, ეხლა ბაბედა გამოვიყვანოთ და ტასტზედ დავაწვინოთ ნეფიანი რო მოვლენ, ჩვენ უთხრათ—ქალი ამ ორი კვირის წინათ ძრიელ ავათ იყო, ეხლაკი, ღვთის მადლით, კარგათ არის, მაგრამ ცოტა დიდხან ფეხზე დგომა არ შეუძლიან. აბა თქვენგან არ მიკვირს, სამეფო თავს რათ დაანებებს და იმოდენა ხარჯს ფუ-ჭათ რათ ჩაატარებს? ისინი ძალას დაგვატანენ, ქორწილი ეხლა უნდა იყვესო, ჩვენ განგებ უარზე დავდგეთ, მაშინ ისინი ხრუილებით ფიქრს ვერ მოვლენ, თუ რა არის მიზეზი ქალის ავათმყოფობისა. მერე მივ-ცეთ ნება რომ ეკლესიაშიაც და სახლშიაც შეხვეული წაიყვანონ. ჩვენ აქვე ბაბედას შალები მოვახვიოთ ყელზე და წელზე, მერე შეუხსდეთ მხრებში და ისე წავიყვანოთ ეკლესიაში.

სალომე.

ეგ კარგი, მაგრამ მაზლმა რო იცნოს?

ზარითა.

იმას აქ რა უნდა, ორნი ძმანი არიან, ის სახლში დარჩებოდა სახლის მოსამზადებლათ.

თედუა (აქამდინ გამტერებული უცქერო-და; ეხლა მივარდება, უნდა აკოცოს).

შენი ჭირიმე, შენი, რო აგრეთი ჭკვიანი ხარ, ბევრ კაცს მოუ-ბილდება შენთანა.

მართა.

დროც არის პაპაჩემისა, ათი წელიწადია რაც ჯვარი დაგვიწერია, ეხლა გინდა სიყვარულის სურვილი მოიკლაა?

თედუა.

მაგისთანა უცნაურს რასმე რო მოიგონეფ ხოლმე, მაშინვე ყმაწვი-ლური სიყვარული მომაგონდება ხოლმე.

სალომე.

რა დროს ეგ არის, საცაა ნეფიანი მოვლენ, მაშ ქალი ეხლავ შემოვიყვანოთ, თუ შემოვიყვანოთ.

მართა (სალომეს).

წადი შენ ქალი შემოიყვანე, მე სუბუქ ლოგინს დავაგებ. (სალომე გავა, მართა ლოგინს დაუწყებს შლას).

გამოსვლა 4.

(სალომე შემოიყვანს ქალს, ორივე თეთრით კოშკლსა და უი-ყვასნსა, მიიყვანს და დააწვენს ლოგინში. ამ დროს დაიძახებენ მახარობელი მოვიდაო, შეუდგებათ ალიაქოთი, სუყველანი კარებში მიგროვდებიან, მართა კი მივა და ბაბედას შეუკრავს ყელსა და წელსა შალით, მახარობელი მოვა კარებში.

მახარობელი.

მე ვარ მახარობელი
სახლის გამხარებელი,
ხმისვიეთ მხარი,
მტერს დაუდგეს თვალი.

(თედუა ერთ ჯამ ღვინოს დაალევინებს კარებშივე და მხარს აუ-სვევს შალით. ამ დროს გარედგან ისმის მაყრების სიმღერა). მოვიდ-ვართ მოგვიხარიან, მოგვყავს მამალი ხოხობი (მაყრები სიმღერით შემოვლენ შუა სცენაზე, სანეფოს წინ მიეგებება მართა).

მართა (სანეფოს).

არ ვიცი, თქვენა ხართ უიღბლონი, თუ ჩვენა?

სანეფე (შეკრთომით).

როგორა?

მართა.

რას შეშინდი, ნუ გეშინიან, მხოლოდ ამ ორიკვირის წინათ ქა-ლი მრიელ (სანეფოს წაუა ფერი და მოუა) ავათ გეყვანდა, ესლა, ღვ-თის მადლით, კარგათ არის, მაგრამ სისუსტით ცოტა დიდხანს ფეხზე დგომას ვერა სძლებს, თუ მხარში არ შეუჯექით სოლმე.

ხამეფო.

მაშ რა ვქნათ, უკან ხომ ვეღარ დავბრუნდებით?

მართა.

რა არის რო დაბრუნდეთ? რა გაჭირვება გადგიათ? ამ ერთ კვირის შემდეგ, ქალი მოსუქდება, მოხვალ და ჯვარს მაშინ დაიწერ.

ხამეფო.

რა უშავს, აგათ ხომ აღარა ყოფილა, წავიყვან შინა და იქ გავასუქებ.

მართა.

ვაი თუ გზაში გაცივდეს და მერე შეიქციოს.

ხამეფო.

რათ გაცივდება, აქვე თბილათ შალები მოვახვიოთ, შეუხსნელთ მუფებში და ისე ეკლესიაში წავიყვანოთ, მერე ურემშიაც ისე ჩავაწვინოთ, გზაში რა გაუჭირდება.

მართა.

განა კი გაუჭირდება რამე, მაგრამ რა ვიცი; აბა ჰკითხე მაყრებსაც, ეგენი რაღას გირჩევენ.

ხამეფო (მიუბრუნდება ერთ მახლობელ მაყარს).

რას იტყვი ჩემო ნათლიავ? ქალი აგათ ყოფილა, მე მინდა ჯვარი დავიწერო, შენ რაღას მირჩევ?

მაყარი (სიმთვრალით არა გაეგება რა, აქეთ-იქით მიდის და მოდის ტანით).

რას ამბობს, სასტაქოს ბევრსა გთხოვენ? ორი მანანთული და ოსტატის ჯანი.

ხამეფო.

მე ხომ მაგას არა ვჩივი?

მაყარი.

მაშ ღვდელი გთხოვს ბევრსა? ხუთი მანანთულის მეტს ნუ მისცემ, მაგას სულ აგრე იცის.

სამეფო.

არა, ქალი აგათ, არის, იმაზე უნდა ჯვარი დავიწერო, შენ რას მირჩევ?

მაყარი.

წყეროანი დიაკვანი კარის გასაღებსა გთხოვს? ნურა ფერს ნუ მისცემ, მაგის შარშანდელი ჯავრიცა მჭირს.

სამეფო (ოხვრით).

ოხ! რა ცეცხლში ვარ (მიუბრუნდება სხვა მაყრებს) თქვენ რაღას იტყვით? ქალი აგათ ყოფილა, ესლა კარგათ არის, ჯვარი დავიწერო, თუ არა?

მაყრები.

დაიწერე, გზაში სულ ვერ მოარჩენ? ცარიელები როგორღა უნდა წავიდეთ.

სამეფო.

მერე რო გზაში გაცივდეს და შეიქციოს, რაღა ვქნა?

მაყრები.

თბილათ ჩაისუტე-და, რა გაცივებს.

სამეფო (მართას).

აბა ერთი გნახო ქალი, შეეძლება თუ არა. (მიიწევს ქალისაკენ, დაინახავს ქალს ლოგინში და შესძახებს): ვაიმე ქალო? სიწითლის მაგიერათ შენ ლოყებს დასდებია სიყვითლის ფერი. აბა უნდა წაგიყვანო შინა და იქ გაგასუქო.

თედუა.

ორ დღეს იქით, რაკი წაიყვან, ისე გასუქდება, როგორც ნეზვი ღორი.

სამეფო.

აბა მაშ წამოაყენეთ, კარგათ შეასვიეთ და წავიდეთ ეკლესიაში, (მართა წამოაყენებს ქალს, მოასხვევენ დიდ შალებს და ამ დროს ნენე შემოვა).

თედუა (აჩვენებს მეფეს და ქუხნებას): ესე არის ამ ქა-ლის დედა.

(სამეფო თავს დაუკრავს).

ნენე (ქალს ხელს გამოართმევს და მის-ცემს სიძეს).

შვილო, მომიცია ქალი სალი, უტკივარი, არ არის ბრმა, არ არის ქაჩალი, ღმერთმა გაგაბედნიეროთ, მოგცეთ სამი ვაჟი, ერთი ქალი და ასი წელიწადი გაცოცხლოთ. (მარცხნივ შეუჯდება მართა, მარჯვნივ მეფე ჩაავლებს ხელს, მაყრები გაუძღვებიან წინ და შემოს-ძახებენ სიმღერას): «ნეფეო, ღმერთმა შენ მოგცეს ბედი და ბედნი-ერება; ნეფეო, შენსა გვირგვინსა ჯვარი სწერია ღვთისაო, ნეფემა ბძანა დაკმაზეთ ცხენები დაღისტნისაო.

(ფარდა დაეშვება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება 1.

გამოსვლა 1.

(ფარდა აიხდება, სცენა წარმოადგენს ოთახს, მარჯვნივ დგას ტახტი, რომელზედაც აგია ხალიჩეები, სცენაზე სდგას სოსია, აზნაურ-შვილი და სტუდენტი).

სოსია.

ბატონო, დიდათ მადლობელი ვარ, რო მიკადრეთ და მობძანდით, მადლობელი ვარ კიდევ ამისთვისა, რომ ჩემ უღირს სახლსა აწვიე ნასწავლი კაცი, თქვენი ცოლის ძმა. ოო! როდის გადავიხდი თქვენს სიკეთეს.

აზნაურშვილი (თავს გამოიდებს).

ჩემო სოსიკო, მე დღეს დიდი საქმე მქონდა და არ მინდოდა წამოსვლა, მაგრამ ეს ჩემი ცოლის ძმა ამიტყდა, არ იქნება უნდა წავიდეთო, რამდენი ხანია ჩვენი გლეხების ქორწილი არ მინახამსო. ხათრი შეუნახე და მეც წამოვყევ.

სოსია.

ვენაცვალე მაგის გამჩენსა; მაინც სწავლულებს გლეხ-კაცები ძრიელ უყვართ.

აზნაურშვილი.

საკვირველია, ესეც სულ თქვენ ხსენებაშია, რამდენჯერ ამოუოხრია და უთქვამს: ოხ! ღმერთო, როდის იქნება ჩვენმა გლეხებმა სწავლა მიიღონო.

სოსია.

აცოცხლოს ღმერთმა დიდ-ხანს, რო აგრეთი შებრალება ჰქონია ჩვენი.

სტუდენტი (სიამოვნებით მივა და ხელს დაადებს მხარზე).

ჩემო ძმაო, მაშ ვიდაზედ უნდა ვიფიქროთ, თუ თქვენზედაც არ ვიფიქრებთ, რომლებსაც თქვენის ოფლით ვცხოვრობთ.

ხოსიკა.

მართალსა ბძანებ, შენი ჭირიმე.

გამოსვლა 2.

იგინივე და ქექე.

ქექე (ხოსიკას).

მიხეილ ბრძენაძე მობძანდა.

ხოსიკა (კარებთან მივა და მოიპატიჟებს).

მობძანდით! მობძანდით! ერთი თქვენისთანა ნასწავლი აქაც ბრძანდება.

მიხეილ ბრძენაძე (შემოვა თეთრი ღილებიანი სერთუკით, წელზე არტყამს ხმალი და ქუდზედ აქვს თეთრი კოკარდა, მივა და მიულოცავს ხოსიკას). მომილოცნია თქვენი ძმის ბედნიერება, ღმერთმა დიდ-ხანს აცოცხლოს ორივენი, როგორც შენი და თავიანთ გული სთხოვდეს. (ხოსიკა ქუდს მოუხდის და თავს დაუკრავს- მიხეილ ბრძენაძე წამოვა ზლაზვნით ყმაწვილებისკენ).

ხოსიკა (კარებიდგან უყვირის ქექეს).

ანდრიაანი არ მოსულაან? იქნება მოპატიჟე არავინ გაგზავნეთ!?, ან გიგუაანი სადღა არიან?

ქექე (კარედგან)

მოპატიჟე როგორ არ გავგზავნეთ, სულ დაიარა, ყველანი მოვლენ, მაგრამ დიმიტრიაანი კი შინ არა ყოფილიყვნენ.

ხოსიკა.

წავალ, გავგზავნი ბიჭსა, იქნება ეხლა შინ იყვნენ. (გავა)

მიხეილ ბრძენაძე (მივა ხელს ჩამოართმევს აზნაურშვილს და რიხიანის ხმით ჰკითხავს): ეს ყმაწვილი ვინღა ბრძანდება?

აზნაურშვილი.

ეს ყმაწვილი ჩემი ცოლის ძმა გახლავთ, რომელიც პეტერბურღის უმაღლეს სასწავლებელში იყო და მოვიდა დროებით.

მიხეილ ბრძენაძე (ხელს ჩამოართმევს სტუდენტს).

კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, მე გახლავართ მიხეილ ბრძენაძე, სამსახურმა ძრიელ თავი მომაწყინა და ვისურვე თავისუფალი ცხოვრება სოფლათ, აგრეთვე კაკლის ჩრდილების ქვეშ გორაობა.

სტუდენტი (გაიგებს ამ ჩინოვნიკის სიხუსტეს და შუბლს შეიკრავს). ჰო, კარგია თავისუფლება, მაგრამ ცუდათ გორაობა კი სასიკეთო არ არის.

მიხეილ ბრძენაძე.

რათ მოიწყინე ყმაწვილო, იქნება არ მოგწონთ ამათი ქორწილი?

სტუდენტი

არა, მე ვრაცხ ჩემ თავს ბედნიერათ, რო ამ ქორწილში დავესწარ, თორმეტი წელიწადია რაც ჩვენ იქა რთველების ქორწილი არ მინახავს.

მიხეილ ბრძენაძე.

რა ბედნიერებაა ამათი ქორწილის ნახვა, ან რა დროება უნდა გაატაროთ ამათ ქორწილში, ეი ბიძო, არა ღირს ამათთან ვესელიტსია, ჟივუტ კაკ ღორები. ყმაწვილო, მოგართმევენ ქონიანი ჯამებით ღვინოდა მანამ არ დაგაცლევინებენ. არ მოგეშვებიან; ტოლი დელო თავადის შვილი: ვერცხლით შეჭედილი კულით მოგართმევენ ღვინოს, რომ არ გინდოდეს, ძალათ მიირთმევ; მაგრამ თუ აქაც არა მივაწოდეთ რა მუცელს, არ იქნება.

სტუდენტი (წყენით).

მე რათ მინდა მაგათი სადილი და მაგათი ქეიფი, მხოლოდ მე მაგათი ცქერით უნდა დავსტკბე, ეგენი არიან ცხოვრების ბურჯნი.

მიხეილ ბძენაძე.

კაკოი ტამ ბურჯნი, ეგენი არიან ვოტ მე უცქერი მაგათ, კაკ ღორებს.

სტუდენტი.

რას ამბობთ მაგას? ჩვენა ვართ ცუდა სალხნი; ვსვამთ, ვჭამთ — გამაძღარი გადავგორდებით და გადმოვგორდებით, ეგენიკი შრომობენ, რამდენიც კი შეუძლიანთ, ინახამენ თავიანთ თავს და ჩვენისთანა ზარმაც კაცებს.

მიხეილ ბრძენაძე.

პაჟალუისტა, მაგათ, ჩვენთან როგორ ადარებ? იმდენი მოფიქრებ არა აქვთ, რო გამოიანგარიშონ თავიანთ მუშაობა და ხარჯი, რო შეიტყონ სწორეთ, შემოსავალი ბევრი აქვსთ, თუ ხარჯი ხვნასა და თესვაზე; დაუღუნამთ თავები და ვირებივით მუშაობენ, ყმაწვილო, მე რო წინათ მოველი ამ სოფელში, მაგათ მივბაძე, ვიყიდე ორ უღელი ხარი და დავიწყე ხვნა და თესვა. ბოლოს გამოვიანგარიშე მოხვნა, დათესვა, მომკა, გალეწვა და სხვა წვრიმალა ხარჯი. რჯი ძრიელ ბევრი მქონდა, მინამ შემოსავა-ლი, ავდექ და გაჯავრებულმა ხელ თავი დავანებე.

სტუდენტი.

მაშ აღარ ხნამთ და აღარ სთესამთ?

მისეილ ბრძენაძე.

ნეტ, კაკოი ჩორტ მოხანი, კაკოი ჩორტ გალეწე, ყმაწვილო, ერთი ორათ ზარალის; მიკვირს ღმერთს გეფიცები — ეს გლეხი კაცები რათ მისდევენ ამ ხელობას, ისევ იყიდონ სოლმე არა სჯობიან? ხრულოობით ნეპონიმაიუტ ეკონომიე.

სტუდენტი (ჩაიცინებს და პუბლიკისკენ იცქირება:)

ესლა მოდი და ელაპარაკე ამას. (ამ დროს დაიძახებენ, მასხარობელი მოვიდაო; ერთი კარებიდგან შემოვა ხალხი და მეორე კარებში მიგროვდება სტუდენტი შორი ახლო მივა და სიამოვნებით დაუწყებს ცქერას ხალხის ჩვეულებას).

გამოსვლა 3.

იგინივე და ჰეჰე.

ჰეჰე.

უი ქა! ბალიშები არ დაუწყვიათ. (გავა, თეთრ ბალიშებს შემოარბენინებს და დააწყობს ტახტზე; ერთი პატარა ბიჭი მივა და ზედ დაწვება პირქვე, მეორე პატარა ბიჭი ამას ხან ნახშირს უდებს ხელში, ხან აფურთხებს).

გამოსვლა 4.

იგინივე და მასხარობელი.

მასხარობელი.

მე ვარ მასხარობელი,
ხალხის გამხარებელი,
ამიხვიეთ მხარი,
მტერს დაუდგეს თვალი...

(ხოსიკა თიხის ჯამით ღვინოს მიუტანს და დაალევინებს, მასხარობელი ჯამს დაასხეთქებს, ჰეჰე მივა და მხარს აუხვევს შალით. ამ დროს ისმის სიმღერის ხმა.

მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს დედალი ხოხობი . . . .

(სიმღერის შემდეგ ისმის მეურმის ხმა): დააყე ბიჭო, ოოჭოო, ოოჭოო მაამო ნიშავ! საგორავი მიეცი, ბიჭო, არ დაგორდეს. ნეფე დედოფალი კარებში მოვლენ, მეფეს ჯამს კარებში დაუდგმენ და ფეხით გაატეხინებენ და ყველანი შეჰყვირებენ: ნეფემ ისაროს! მერე ხოსიკა მივა, პირზე აკოცებს ძმას და ერთ ნატეხს შაქარს პირში ჩაუდებს).

ხოსიკა.

ქალსაც მოხსენით, უნდა მიულოცო.

მეფე.

არა, არა, ნუ მოხდით, გაცივდება.

ხოსიკა.

რა გააციებს, თბილა, თუ არა და პირი მაინც უჩვენეთ. (დადე დაუწყებს ნელა შალის ხსნას, ხოსიკა რო დაინახავს ქალს, ძლიერ შეკრთება და უკან დაიწევს, ბოლოს ეტყვის ძმას: ბიჭო! იმაზე აღარ დაიწერე ჯვარი? ჩხუბი ხომ არ გიყვავს?

მეფე.

რას ამბობ! თვალები სადა გაქვს? (დადე შალს ხუ რო მოაშორებს, ხოსიკა დაუნახავს რძალს დიდ ყიყვს, მაშინ სულ გადირევა, არ იცის რა ქნას, ენა ჩაუვარდება, ქალები ჩუმად ორ თითს ტუჩზე იდებენ). უი! უი! ქა! (სტუდენტი რო შეუნიშნავს, შემოტრიალდება პუბლიკისკენ).

სტუდენტი.

ვაიმე, ჩემო ფიქრებო! ეს რა უბედურებაა, თავ-ზარი მეცემა, გულს ცეცხლი მეკიდება ამ მოულოდნელი საქმისაგან ხალხის კეთილდღეობის მსურველნო! გაახილეთ თვალები, ჩააცქერდით ხალხის ცხოვრების მიმდინარეობას, შეუდექით და შეუყენეთ ახალგაზდა უმაწვილები ხალხის სენის გაქრობას, ხალხის გამოყვანას დამთეთქველი და გონების დამბნელებელი ღრმა ძილიდგან

მიხეილ ზრმენაძე (რო დაინახავს ამდენ ხალხის ჩოჩქოლს, კუნჭულიდამ წამოვა სტუდენტის სამძებნელად და დაიწყებს ზოდვას).

ხად არის სტუდენტი, ნუკა პასმოტრიტ, კაკოი ღლუპი ნაროდ. რამდენი ხანია მეფე-დედოფალი მოვიდა, არ უშვებენ, რომ სახლში შემოვიდნენ, მანამდის თავიანთ ჩვეულებას არ აასრულებენ, რაღაც ხანჯლების დარტყმა იციან კარებში.

მეფე (ხოხიავს).

რა დაგემართათ კაცო? (ხალხს). რა ჩოჩქოლი გაქვთ, გაგვიშვით, მალე ბალიშებზე დავსხდეთ.

(დაეშვება ფარდა).

1871 23 მარტსა.

თბილისი.

რუმბები.

«რუმბები» ჩვენში ორ ნაირია:
ზოგი ცოცხალი, ზოგი მკვდარია
პირველ მათგანი თუმც არ არიან,
მაგრამ რუმბებად თავს მალათ ჰხდიან.

თავის ნებითა ყელს გაალებენ
და ზარბსა პირზე რაკი მიიდგმენ,
მინამ ისხამენ კახურ ღვინოსა,
სანამ გაბერავს მათ როგორც რუმბსა.

მერმეთ, როცა რომ დაჰკარგვენ ცნობას
და მასთანავე — თავიანთ გრძნობას,
ერთი სიტყვითა — გარუმბდებიან,
დედამიწაზე გაგორდებიან

ღვინო ყელს გარდა არ სად არ გასდით,
ვით ნამდვილ რუმბებს, თუ არ მოხსენით
და ყელიდგან კი წამოდინდებათ
რუმბივით ღვინო იმათ უგრძნობლად.

მაგრამ კახური ცოცხალ რუმბებში
ისე ფუჭდება, რომ არ ისმება,
ამიტომა, რომ ერევა მასში
სხვა რამეები, რაც არ ითქმება.

მაშ ღვინისათვის სჩანს, რომ ცოცხლებსა
მკვდარი რუმბები ბევრათ სჯობენ.
მაშ მოდით ვკითხოთ ცოცხალ რუმბებსა.
«თუ ეს ასეა, რადათ რუმბობენ»?

გ. წყალტუბელი.

1870 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიის პირველ-და-წყება.

ქართველთ სჯე და იმათ მოსაზღვრე ტომთ ცხოვრება უძველესის დროდამ აღწერილია ქართულს მატიანეში, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ქართლის-ცხოვრებად. რა, შთამომავლობა აქვთ იმათ, პირველად სად ჰქონიათ ცხოვრება, რა გზით უმგზავრნიათ ვიდრე იგინი დაემკვიდრებოდნენ იქ, სადაც შემდეგ იმათ ვპოვულობთ, ვისთან რა ბრძოლა ჰქონიათ, რა გვარად და რა საზღვრებში დაფუძნებულან, როგორ გავრცელებულან, ერთმანეთში და უცხო ტომებთან რა დამოკიდებულება ჰქონიათ, ყოველსავე ამას ისეთის დაწვრილებით მოგვითხრობს ქართლის-ცხოვრება, რომ გგონიათ, ვისაც ეს ამბები უწერია, ის ან თვითონ ყოფილა იმათი მნახველი, ან ჰქონია იმას მხედველობაში ყოველივე საქმის გარემოება. ქართლის-ცხოვრების გამოკვლევით, სომეხნი, ქართველნი, რანელნი და მოვაკანელნი, ჰერეთნი და ლეკნი, მეგრელნი და კავკასიელნი არიან ერთის მტოდამ წარმომდგარნი. იმათ წინა-პირად ქართლის-ცხოვრება უჩვენებს თარგამოსს. თარგამოსი ყოფილა შვილი თარშისა; ის შეადგენდა მეოთხე თაობას იაფეტისას და მეხუთეს ნოესას. თარგამოსის ვაჟი-შვილებში განსაკუთრებით სახელ-განთქმულან: ჰაოსი ანუ ჰაიკი, სომხების წინა-პარი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასი და ეგროსი. მოსეს თქმულებით, იაფეტს უშობნია გომერი, მაგოგი, მადაი, იოვანი, თუბალი, მესხი და თირასი; ამათში გომერს უშობნია ასკენაზი, რიფატი და თოგორმა ანუ ჩვენი თარგამოსი 1). პირველი ადგილ-სადგომი თარგამოსისა

1) დაბადება, თავი X, მუხ. 2 და 3.

ყოფილა ბაბილონი. შემდეგ გოდოლის აშენებისა ბაბილონში, ნებროთის დროს, და შემდეგ ენების შერევისა, თარგამოსი თავისის შთამომავლობით დასახლებულა არარატსა და მასის შუა, აქ იმისი სახლობა ვერ მოთავსებულა, და ამისთვის გავრცელებულა იმ ადგილებში, რომელთაც საზღვრებად ჰქონიათ: «აღმოსავლეთით ზღვა გურგანისა, აწ გილანისა, დასავლეთით—პონტის ზღვა, ჩვენის დროის შავი-ზღვა, სამხრეთით—მთა ორეთისა, ქურთების ქვეყანაში, რომელიც მიდიას უმზერს, ჩრდილოეთით—მთა კავკასიისა, ილბუზისპარსეთისა». უფროსი თარგამოსის შვილებში ყოფილა ჰაოსი და როდესაც ესენი მამას გაუყრია, ჰაოსისთვის საუფროსოში თავისი ადგილ-სადგომი მიუცია, უკეთესი ყველა მხარეებში, ესე იგი არარატსა და მასის შუა. დანაშთენის ძმების საზღვრები ქართლის-ცხოვრებაში დაწვრილებით არის აღწერილი. თარგამოსელთ მთავარი ყოფილა ჰაოსი. ყველა რვა ძმას ბძანებლობდა გმირი ნებროთი, რომელიც მოსეს სიტყვით იყო ხამის შთამომავალი, ალდეველთ მატიანის გამოკვლევი თ ბელი ანუ ბელუსი, ასსირიის სამეფოს დამფუძნებელი 1), ქართლის-ცხოვრების თქმულებით წინა-პარი სპარსთა 2) და პირველი მეფე ყოვლისა ქვეყნისა. თავდაპირველად თარგამოსელნი მსახურობდნენ და ჰმონებდნენ ნებროთს. შემდეგ როდესაც იგინი გამრავლდნენ და გაძლიერდნენ, ჰაოსის რჩევით, იმათ ნებროთის ბრძოლა აუტეხეს და სძლიეს. ამით ასრულებს ქართლის-ცხოვრება რვა ძმათ ამბავს და შემდეგ მიჰყობს ხელს თვით ქართველთ ცხოვრებას. როგორათაც ქართლის-ცხოვრებიდამ სჩანს თარგამოსი თავის შთამომავლობით გადმოსახლებულა სამხრეთით; ჰაიკანელნი ანუ სომეხნი დამყარებულან სამხრეთად, ქართლოსიანნი—ჩრდილო მხარეში. იმათის ადგილ-სადგომის საზღვრები შეიცავდა მთელს სივრცეს კავკასიით არარატამდე, შავის ზღვით კასპიის ზღვამდე. ჩრდილო მხარე კავკაზიის კაისანი უდაბური ყოფილა. გაყრის დროს თარგამოსს ეს მხარე დაუმკვიდრებია კავკასისთვის და ლეკოსისთვის; ამათი შვილები

1) დაბადება X, 6 – 8. *Dubois de Montpeyreuz, Voyage autour du Caucase t. II, p. 15, n. 1.*

2) *Hist. de la Géor. t. I p. 26.*

შემდეგ დასახლებულან უმაღლეს ადგილებში, რომელთაც დაერქმევათ ძურძუკეთი და ხოზანიქეთი. ჯერ ოსები და ჩერქეზები არა ჩანან. ამ მხრით საქართველოს გზად ყოფილა ზღვის-კარი ანუ დარუბანდი და არაგვისა ანუ დარიალის-კარი. საქართველო თავისის ნაწილებით ამ დროს შეიცავდა: კახეთს, ჭერეთს, ჯავახეთს, ქართლს, რომელიც არაგვიდამ და არმაზიდამ მოყოლებული ვიდრე ტაშის-კარამდე იწოდებოდა ზედა-სოფელად, «ჩვენ დროს კი, ამბობს მატიანე ის იწოდება შიდა-ქართლად.» უმთავრესს მდინარეებზე და მაგარს ადგილებში იმ დროსვე აშენებულა ქალაქები და სიმაგრეები, ესე იგი: არმაზი, მცხეთა უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი, ჭერეთი, ხორანთა, არზის-ციხე, ბოსტან-ქალაქი, წუნდა, ქაჯთა-ქალაქი.—ქართლსა და ეგრისს შუა საზღვრად ყოფილა მთა, რომელსაც ქართლის-ცხოვრება უწოდებს «მცირე-მთად; შემდეგ ლიხად.» ეგრისი ენგურ-მდინარეს ქვემოდ მკელადვე სპერიათ ბერძნებს, ასე რომ თვით ფარნაოზ მეფის დროს ადგილობრივთ მცხოვრებთ უარ-ყოფა გამოუცხადებიათ ბერძნების წინააღმდეგობაზე. თარგამოსის შთამომავალნი ყოფილან გმირნი და მრავალ-ჟამ თურმე ცოცხლობდნენ. თვით თარგამოსს უცოცხლია 600 წელი. უფროსი ქართლოსიდებში დანაშთენთ ბმანებლობდა, იჯდა მცხეთის ქალაქში და იწოდებოდა მამა-სახლისად. მამა-სახლისის ხელ-ქვეითნი გამოჩენილნი პირნი იწოდებოდნენ თავადებად. მამასახლისი განაგებდა ყოველსავე საქმეს, უპირველესობდა ბრძოლაში, შუა-მდგომელობდა და ამშვიდებდა ქართლოსიდებს ურთიერთს განხეთქილობაში. ამ დროს, როგორათაც ჩანს, ქართველები ცხოვრობდნენ კლდეებში, მიწურს სახლებში და ქვით ნაშენს სიმაგრეებში; კაი-ხანი იმათ ქვითკირის ხმარება არა სცოდნიათ: ეს ხელოვნება უსწავლიათ სპარსელის ერისთავის არდამისაგან. ამ დროს ქართველები ზნეობით დაბლა მდგარან: ქართლის-ცხოვრების თქმით, ალექსანდრე-მაკედონელმა მე III საუკ. ქრისტეს წინ, ქართლში შეხვედრა დიად საზიზღარს ჩვეულებას: ისინი ნათესაობას თურმე არ მისდევდნენ, იყვნენ გარყვნილნი, საჭმლად ხმარობდნენ ყოველსავე სულდგმულსა, თვით ადამიანის ხორცსა; თაყვანს სცემდნენ მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა და ნავთიერთა და პირუტყვთა. «თავდა-პირველად ქართველების ენა ყოფილა სომხური, შემდეგ, როდესაც მრავალი უცხო ტო-

ში შემოსულა საქართველოში, იმათ დაუტოვებიათ სომხური და ამ უცხო ტომთ ენებიდამ წარმომდგარა ქართული ენა; სახელდობრ ქართული ენა შემდგარა სომხურიდამ, ხაზარულიდამ, სირიულიდამ, ქალდეველიდამ, ებრაულიდამ და ბერძნულიდამ.» ქართლის-ცხოვრება მოგვითხრობს ზოგიერთ უცხო-ტომთ დასახლებას საქართველოში, მაგალ. ებრაელებისას ნაბუქოდონოსორის ტყვეობის შემდეგ, თურქებისას სპარსეთის მეფის კიროსის დროს და სხ. თარგამოსით ტომთ, ესე იგი, ჯაოსიანთ, ქართლოსიანთ და კავკასიელთ კაი-ხანი ურთიერთი კავშირი არ შეუწყვეტიათ. ისინი ერთი მეორეს თურმე შემწეობას აძლევდნენ და ერთად ებრძოდნენ მტერს. იმათნი საზოგადო მტერნი ყოფილან ხაზარნი, რომელნიც კავკასიის ჩრდილო-მხარეს ბინადრობდნენ, და ნებროთიდნი ანუ სპარსნი. განსაკუთრებით იმათთვის საშიშნი ყოფილან ნებროთიდნი. ბრძოლა ამათთან თითქმის შეუწყვეტელი იყო: ისინი არა თუ ცდილობდნენ თარგამოსით დამონავებას; თვით საკუთარი სარწმუნოებაც ნდომებიათ გავრცელებინათ იმათში, ესე იგი ცეცხლის თაყვანისცემა, და საკუთარი სახელმწიფო წესი. სამსავე ამ საგანში იმათ, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, წარმატება აღმოუჩენიათ.

აი ქართლის-ცხოვრების თქმულება შემოკლებით საქართველოს დასაწყისზე. ეს დასაწყისი ჩვენს მატიანეში იმ-გვარივეა როგორისაც უცხო ტომთ თქმულებანი წარმოგვიდგენენ. ევროპის განვითარებულთ მეცნიერთ შეუნიშნავთ, რომ არც ერთმა ტომმა არ იცის თავისი შთამომავლობა და ყველა მოთხრობა პირველ-საუკუნეებზე ზღაპარია 1). ეს ასეც უნდა იყოს. ყოველივე ამ-გვარი თქმულება დაფუძნებულია ზეპირ-სიტყვაობაზე. ამ თქმულებას ერთი შთამომავლობა გადასცემს მეორეს, მეორე—მესამეს და სხ. დროს განმავლობაში ის იცვლება, ბნელის ფარდით იმოსება. პირველ-დასკვნილი საზოგადოება გონებით და ცოდნით დაბალ ხარისხზე დგას. უძველესი მდგომარეობა ამ საზოგადოების სწორედ ადამიანის სიყმაწვილეს წარმოგვიდგენს. ჩვენი სიყმაწვილე ჩვენ ან სრულებით არ გვახსოვს, ან სიზმარივით მოგვა-

1) *Бокль, Исторія цивилизаціи т. I, стр. 608, 609.*

გონდება: სხვა და სხვა ამბავი და გარემოება, სხვა და სხვა [illegible]-არეკ-დარეკით აღსდგებიან ჩვენს მეხსიერებაში. ასეა ისტორიის დაწყება. ძველის დროს აღმწერელნი თავიანთ ცნობას გამოჰკრებენ ხალხის თქმულებიდამ. მაგრამ რა თვისება აქვს ამ თქმულებას, ეს კარგად ვიცით. გაუნათლებელი ხალხის ბუნებას და ბუნების ელემენტებს ემონავება სრულებით: ის იმათ გავლენას ქვეშ მცენარეს: ყოველივე შემაძრწუნებელი მოვლენა, განკვირვება, შიში აღსძრვენ და აშფოთებენ იმის გონებას და მეხსიერებას; უბრალო საქმეს, უბრალო შემთხვევას; ისინი ისე სცვლიან, რომ ძნელია იმათი გარკვევა. ამ დროს გეოლოგიური რამ მოვლენა ღვთის რისხვად მიაჩნიათ, მთელი ტომის თვისება, ხასიათი, ბრძოლა, ამ ტომის განკუთარებულნი პირნი, აღმატებულის ძალით თუ ნიჭით შემკულნი, ხალხის გონებაში იმოსებიან გმირების ფორმით, გმირები ღმერთებად გარდაიქცევიან. იმათი მოღვაწეობა წრეს გარეთ გადის; ეს მოღვაწეობა ჩვეულებრივის მომაკვდავის ადამიანისთვის შეუძლებელია; გმირთათვის კი ადვილია. ისინი თავიანთის სურვილით და მოწადინეობით აფუძნებენ საზოგადოებას, აშენებენ სამეფოებს, ამ სამეფოებში იმათ შემოაქვთ რა გვარი დაწყობილება, ჩვეულება და სარწმუნოებაც კი ჰსურთ. ისინი ცოცხლობენ იმოდენა ხანს, რომ ეს წარმოდგენითაც ვერ წარმოგვიდგენია. ისინი ავრცელებენ თავიანთ შთამომავლობას განსაცვიფრის სისწრაფით; ისინი მისთვისებენ თავიანთ სახელს მთელს მხარეს, მთელს ტომს. ამ გვარია იმათი სახე. დროს განმავლობაში ისინი უფრო ბრწყინავენ, მზის შარავანდედივით ანათებენ. მეჭვნეულობა იმათში არავისა აქვს. მაგრამ აბა აღიჭურვენით მეცნიერების საჭურველით და დაუფიქრდით ძველს ნაამბობს: მაშინ—ეს ცხადია—იმას თავისი ფარდა მყისვე აეხსნება. მაშინ თქვენ დარწმუნდებით, რომ, მთელის ტომის ცხოვრება, როგორათაც უძველესს დროებში, აგრეთვე შემდეგ, ერთ-გვარად მიმდინარეობს, ისე. ადამიანის შთამომავლობას წელიწადში, საუკუნეში, თავისს გამრავლებაში იგივე და იგივე პროცენტი ემატება: ამ კანონს ვერც ერთი ტომი ვერ გადავა. ასეა თვით ადამიანის სიცოცხლის საზღვარიც: ბევრი—ბევრი 100—120 წელი. გმირნი, სასწაულებრივნი მოქმედებანი შეუძლებელნი საქმენი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოება, სამეფო, მეარდება თავის-თავად: ამ საქმეში ის ქვემდებარება თვით ცხოვრების მოთხოვნილებას. კერძო პირთ [illegible] მოქმედებას აქ ადგილი არა აქვს. ისინი მხოლოდ მიმართულებას აძლევენ იმ საზოგადოებას, რომელიც ამ მიმართულებისათვის მომზადებულია. ჩვენ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთის თუ მეორის ტომის წინა-პარნი, რომლებზედაც ისტორია აფუძნებს მთელის ტომის ხვედს და ბედნიერებას, არიან მომატებული ნაწილი იმათგანი,—მოგონილი პირნი. ისინი უნდა ისხენებოდნენ ზღაპრებში და არა ისტორიებში.

თუ თვალს გადავავლებთ, რომელი ხალხის მატიანესაც უნდა იყოს, თქვენ შეჰნიშნავთ, რომ ისინი არიან აღბეჭდილნი ერთისა და იმავე ბეჭდით. ამ შემთხვევაში არა რაით არ განსხვავდება არც ერთი ძველის განათლებით განვითარებული ნათესავი: აზიაში სპარსნი, ჩინეთში და სხ. ევროპაში—ბერძენნი და რომელნი. მიზეზი ამისი ცხადია. ისტორია გამოდის ზღაპრულის ბურუსიდამ იმდენად, რამდენადაც ადამიანის საზოგადოება გონებისა და სწავლის წარმატებაში შედის. მაშასადამე ისტორია მაშინაც არ ჰკარგავს თავისს ზღაპრულს თვისებას, როდესაც ისტორიულნი მოთხრობანი იწერებოდნენ. საჭიროება ამ მოთხრობების წერისა იმ დროსვე აღმოჩნდა, როდესაც ანბანი ხმარებაში შემოვიდა. უძველესს განათლებულთ ტომთ, მაგალითებრ ფინიკიელებს, ჰქონდათ თავიანთი არხივები, სადაც ისინი დიდის კრძალვით იცავდნენ ისტორიულს თხზულებებს. ჩინელნი 220 წლით ქრისტეს შობის წინ ჰკრებდნენ არა თუ საკუთარს გეოგრაფიულს და ისტორიულს ცნობებს, თვით უცხო-ტომებზედაც. ყოველივე ესე იმათაც არხივებში ჰქონიათ დაცული. 1500 წლით ქრისტეს შობის წინ ებრაელებს ჰქონდათ შედგენილი შთამომავლობა ყოველთა ტომთა და პირველი გეოგრაფიული კარტა. მოსეს დაბადების მე X თავი, რომელიც შეიცავს ძველის ტომების გენეალოგიას, არის ეგვიპტიდამ გამოტანილი ნამდვილი სურათი მე XVII საუკ. ქვეყნისა, რომელზედაც კი ეგვიპტელებს და ფინიკიელებს ცნობა ჰქონდათ. სპარსებს ძველადვე ჩვეულებად ჰქონდათ გეოგრაფიულისა და ისტორიულის მოთხრობების შედგენა, ისინი შეიცავდნენ ყოველსავე რასაც კი ღირს-შესანიშნავს წარმოუდ-

გენდნენ იმათ სხვა და სხვა მხარე და ხალხი. სპარსებს ჰქონდათ აგრეთვე საკუთარი ლანდ-კარტები. ამ ლანდ-კარტებს ანუ საგზაო კარტებს კოლხიდელნი ხმარობდნენ ბევრით ადრე მცირე-აზიელს ბერძნებზე 1). ეს ფაქტები ცხადად ამტკიცებენ თუ რა მნიშვნელობას მიჰსთვისებდნენ სულ ძველად ისტორიულს ცნობებს. მართალა და თუმცა ეს ცნობები, როგორც ზემოდ გამოვიკვლიეთ, სავსე არიან ზღაპრულის თვისებით, მაგრამ ჩვენ ვერ უარ-ვყოფთ იმათს მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში შეიძლება ისინი შევადაროთ დედა-მიწის გულში დამარხულს ფორმაციებს, რომელთაც დაუცვავთ გეოლოგიურის დროების ორგანიზმების ნაშთი ანუ კვალი; შეიძლება შევადაროთ აგრეთვე ენებში ჩანთქმულს ფორმაციებს. ორსავე ამ გვარს ფორმაციებში, რომელნიც უმეცარის კაცისთვის არა რანი არიან, მეცნიერებამ აღმოიჩინა და აღადგინა ძველის დროს ორგანიზმები, ძველის დროს შთამომავლობა, ცხოვრება და სხ. ამ გვარივე თვისება აქვთ ძველს ზღაპრულს მოთხრობაებს. თუ თქვენ იმათ ხიფრთხილით და ცოდნით გამოიკვლევთ, ერთს ფაქტს მეორესთან შეადარებთ, მაშინ ადვილად სცნობთ, რა არის იმათში ზღაპარი და რა არის ნამდვილი ამბავი.

ყოველივე ეს ჩვენს წელთ-აღწერაზედაც ითქმის. ძველი თქმულება საქართველოზედ შემოტანილია ქართლის-ცხოვრებაში, რომელსაც ვახტანგ-მეფეს მიაწერენ. ვახტანგ იყო ქართლის მეფის ლეონის შვილი და ცხოვრებდა მე XVII საუკუნეში. იმან შეადგინა სჯულდება, რომელიც უკანასკნელს დრომდე მთელს საქართველოში სახელმძღვანელად მიღებული იყო. იმანვე შეადგინა ქართლის-ცხოვრება, მაგრამ როგორათაც თვითონ ამ წიგნის წინა-სიტყვაობაში ამბობს, იმან მხოლოდ შეჰკრიბნა მეცნიერნი კაცნი დ მოიხვნა სადა რამ ქართლის-ცხოვრებაები ეპოვნა და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალნი ეკკლესიათა და დიდებულთანი და იმათ შეამოწმეს და რომელი გარყვნილ იყო განმართეს. აქედამ სჩანს, რომ ქართლის-ცხოვრება არ არის ახალი შრომა. თვით იგივე გვიჩვენებს, თუ

1) *Исторія землевѣд. Риттера, стр.* 7, 23, 24, 50 51, 52, 70, 73, 51, 70, 72, *Asie Mineure, t.* II, *p.* 17.

რა მნიშვნელობა ჰქონია ყოველთვის ქართულს ისტორიას. ჩვენნი წინა-პაპანი უძველესის დროდამ გრძნობდნენ იმისს საჭიროებას. ეჭვი არ არის, რომ ვასტანგს იმისი მოგონება არ შეეძლო. სომხის ისტორიკოსნი მე XII და მე XIII საუკ. მხიტარ-ერეცი, მხიტარ-აირივანქი, ვარდანი და სტეფანე ორბელიანი იტყვიან, რომ საქართველოზე ცნობა ჩვენ გამოვკრიბეთო ქართულის ქრონიკებიდან; იმათში სტეფანე ორბელიანი ამ ქრონიკებს ქართლის-ცხოვრებად უწოდს. ქართლის-ცხოვრებადვე მოიხსენებს იმათ მე XI საუკ. დავით-აღმაშენებლის მეფობის აღმწერელიცა.—სულ პირველი წყარო ამ ცხოვრებისა საქართველოს გაქრისტიანების წინა-დროებთა დაკარგულია: იმას მოუღწევია ჩვენამდე მხოლოდ მესამისა და მეორის ხელიდამ. ამ ფაქტს ქართლის-ცხოვრება ამტკიცებს თავის-თავად, უნებლიედ. აქ ხშირია ლექსი ანუ ფრაზა: «უწინ ასე იყო, ახლა ასეა; ძველად ეს და ეს ადგილი ასე იწოდებოდა, აწ ასე იწოდება». აი რამდენიმე მაგალითი: უწინდელი ქართლის-მესავალი აწ არის არმაზი 1). ძველად ქართლს ტაშის-კარამდე ერქვა ზედა-სოფელი, რომელსაც ახლა ჰქვიან შიდა-ქართლი. ძველი ქაჯთა-ქალაქი ახლა არის გური 2). ეს არის ნათქვამი მცხეთობის ისტორიაში. შიდა-ქართლი, ზემო-ქართლი, გური ანუ გურია შემოდის ხმარებაში შემდეგ, თუმცა დარწმუნებით არ ვიცით სახელდობრ როდის. სამეფო მტილი მცხეთაში მირიანის დროს იყო იქ, სადაც ახლა არის სვეტი-ცხოველი და საქათალიკოზო ტახტი 3). სვეტი-ცხოველი აშენდა და საქათალიკოზო დაწესდა აქ მეხუთე საუკუნის გასულს ვახტანგ გურგასლანის დროს 4). მირიან მეფე გალა-

1) *Hist. de la Géor.—Introdr. et tables, 1858. p. V Hist. de la Siounie, 1864 t. I, livr. p. 212. S-Mart. Mem. sur l' Arm. t. II, p. 65.*

2) *Hist. de la Géor. I, p. 377.*

3) *Hist. de la Géor. I, p. 21.*

4) *Ibid. p. 23.*

შჳრდა ბაღდადზე (ბაღდადი დაფუძნდა მე VIII საუკ.) 1) 656 წელს ქართლის-ცხოვრება ზემო-ქართლს ანუ სამცხეს იხსენიებს საათაბაგოდ, რომელიც ხმარებაში შემოდის პირველად [მე-XII საუკუნეში 2). ამ გვარი ფაქტი ქართლის-ცხოვრებაში მრავალია. ვის უნდა მივაწეროთ ეს დამატება, ვახტანგ მეფეს, თუ იმ პირთ, რომელთაც პირველად ქრონიკები შეუდგენიათ? რა საკვირველია ამ უკანასკნელთ. ამაში არც ბროსსეს აქვს ეჭვი 3), არც ჩვენ. ეს კი უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ რასაც ქართლის-ცხოვრება მოგვითხრობს საქართველოზე, ვიდრე აქ ქრისტიანობა შემოვიდოდა, ყოველივე ესე იმ დროს და შემდეგ არის შედგენილი. აი ამისი დასამტკიცებელი საბუთები: ქართლის-ცხოვრება იტყვის, მცხეთოს მამასახლისის დროს, «ქართლოსიანთ დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს კერპთ-მსახურ 4). კიდევ იტყვის: «მოვიდა ამბავი ვიდრე მოსე განვლო ზღვა ისრაელთა და იზრდებოდნენ იგინი უდაბნოსა მანანათ, განკვირდეს ყოველნი და ყოველთა წარმართთა აქვს ღმერთი ისრაელთა» 5). — «პირველსა წელსა მეფობისა ადერკისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლემს ურიასტანისას, მოვიდეს მისსა მოგვნი მღვნისა შეწირვად და მოგვთა შესვლისა მოვიდა ამბავი მცხეთას, ვითარმედ სპარსთა იერუსალიმი წარტყვევნეს და ურიანი, რომელნიც მცხეთასა იყვნენ, იქმნა მათ შორის გლოვა და ტირილი». ამასთანავე ქართლის-ცხოვრებაში ნაამბობია შემდეგ ქრისტეს აღზდისა მედ მღვთისად მის მიერ თავისი თქმა, მოციქულთ წარგზავნა ახალის სჯულის გასავრცელებლად, ქრისტეს სიკვდილი ჯვარზე, ელიოზ მცხეთელისაგან ქრისტეს კვართის მოტანა მცხეთას და სხვ. «ვითარცა წერილ არს ესე —დაუმატებს ცხოვრება—განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა 6).

1) *Ibid.* 228, 230, 238

2) *Ibid.* p. 236.

3) *Ibid.* p. 22 n. 4.

4) *Ibid.* p. 24.

5) *Ibid.* p. 29.

6) *Ibid.* p. 53—55.

ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან ქართლის-ცხოვრების უძველესნი შემად-გენელნი. პირველნი, რომელთაც თვით ეს ცხოვრება მოიხსენებს, არი-ან: მირიანის შვილის მეუღლე და უჯარმის დედოფალი სალომე, რო-მელსაც აუწერია წმ. ნინოს მოღვაწეობა და საქართველოსაგან ქრის-ტეს სჯულის მიღება 1); აბიათარ, ურიების მღვდელი და აგრეთვე ურია-დედაკაცი სიდონია, ორნივე ნინოს მოწაფენი; ამათი მოთხრო-ბა შეიცავს იმავე საგანს 2). მე-IV საუკ. ვარაზ-ბაკურის შვილის მირვანოზის ცხოვრება აღუწერია სირიელს ენაზე ქართველს ზაქარია მღვდელს და შემდეგ ქართულად უთარგმნია მაკარი მღვდელს 3). ვახუშტს გამოუკრებია ცნობა ირაკლი იმპერატორისაგან აფხაზეთის დაჭერაზე 626 წელს ძველის საეკკლესიო წიგნებიდამ 4). ცხოვრე-ბა წმინდა აბიბოსი, მეათცამეტე მამათაგანისა, რომელნიც მე VII საუკ. საქართველოში მოსულან, შეუდგენია ქათალიკოზს არსენის 5). მე-VII-სავე საუკ. ლევან აფხაზეთის ერისთავის დროს ქართლის-ცხოვრება მოიხსენებს ქარტიებს, სადაც ჩაწერილნი ყოფილან მეფეთ დ̃ წარჩი-ნებულთ პირთ სახელები 6). მე-VIII საუკ. არჩილ მეფის წამება არაბთაგან, ისტორია მეფეთა და ქართლში ქრისტეს სახარების გავრ-ცელება ნინოსაგან შეუდგენია ლეონტი მროველს 7). ამავე არჩი-ლის ცხოვრების დასასრულს ქართლის-ცხოვრება იტყვის: «წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი ჟამად; ხოლო ვახტანგ მეფისიდგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმინდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძმისამან; და ამიერიდგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს

1) *Ibid. p. 90, 126, 128.*
2) *Ibid. p. 105—112, 113—132.*
3) *Ibid. p. 138 n. 7.*
4) *Ibid. p. 229 n. 1.*
5) *Ibid. p. 233 n. 2.*
6) *Ibid. p. 243.*
7) *Ibid. p. 253 n. 1.*

გონებასა მათსა, ღვთივ განბრძნობილსა 1)». აქედამ ცხადად სჩანს, რომ საზოგადო ცხოვრება ქართველის ტომისა ძველადვე ყოფილა და ქართლის-ცხოვრება ვახტანგისა დიად ძველი და ძვირფასი შრომაა. სჩანს აგრეთვე, რომ ჩვენ წინაპართ კერძო-ცხოვრებაებიც ჰქონიათ; მაგალითად ქართლის-ცხოვრება მე X საუკ. მოიხსენებს აფხაზეთის ისტორიას 2). რა მეცადინეობა ყოფილა საქართველოში მიქცეული სამამულო ისტორიაზე, ესეც ცხადია. ქართლის-ცხოვრება ყამითი ყამად მწუხარებით მოიხსენებს ამა და ამ დროს აღრეულობის გამო ისტორია არ იწერებოდაო; ამა და ამ დროს დიდად ცდილობდნენო ისტორიული თქმულება აღმოეპოვათო და თუმცა მოიპოვესო, მაგრამა ის იყოო მოკლედ შედგენილი 3). გარდა ამისა ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს თავისი არხივები ჰქონია. მე X საუკუნეში იმის აღწერაში სტეფანე ორბელიანი მოიხსენებს აქ სამეფო არხივებს, სადაც დაცული ყოფილა ისტორიული წიგნები 4).. ამ გვარი არხავები ჰქონიათ ძველად თვით სომხებს 5).

აქ უნდა ვუჩვენოთ ის წყაროები, რომელნიც ჩვენს უძველეს დროებზე ქართლის-ცხოვრებას მხედველობაში ჰქონია. პირველი წყარო, რა საკვირველია, არის თვით ხალხის ზეპირ-სიტყვიერი თქმულება, რომელიც ერთს თაობას მეორე თაობისთვის გარდაეცა, მეორეს—მესამისთვის და სხ. გარდა ამისა ქართლის-ცხოვრებას უსარგებლნია უცხო-ტომთ წერილებით. ისინი ეკუთვნიან ებრაელებს, სპარსებს, ბერძნებს და სომხებს. ამ ცნობებს ქართლის-ცხოვრებაც მოიხსენებს. აქ იშვიათი არ არის შემდეგი ლექსი: ასე სწერია სომხურს ისტორია-ში 6), ასე სწერია სპარსულს ისტორიაში 7). ზოგიერთს ისტო-

1) *Ibid. p. 256.*
2) *Hist. de la Géor. . I. p. 278.*
3) *Ibid. p. 255, 256.*
4) *Histoire de la Siounie, par Brosset, 1864. t. 1. p. 221, 236.*
5) Исторія Арменіи, Моисея Хоренскаго, переводъ Эмина. ст. 239, 287, 321.
6) *Hist. de la Géor. t· I. p· 87.*
7) *Ibid p. 29, 78, 221·*

რიულს გარემოებას ჩვენი ცხოვრება და სომხური მწერლები გვიამბობენ ერთ-გვარად, თანახმად, მაგალ. მოსე ქორენელი (მე V საუკ.), აღათანგი და სხ. 1). ქართლის-ცხოვრება მირიანისა და ვახტანგ-გორგასლანის დროს მოიხსენებს ერთ წყაროს, რომელსაც უწოდს «წიგნად ნებროთზე». ამ წიგნს მირიანი და ვახტანგი მოწიწებით თურმე ალმოიკითხავდნენ. ზოგიერთი ადგილი ნებროთის წიგნიდამ ქართლის-ცხოვრებასვე შემოაქვს თვით ვახტანგის ისტორიაში. ესე იგი: გოდოლის აღშენება ბაბილონში, ენების შერევა, ნოეს ნათესაობის განბნევა ქვეყნის პირზე, აგრეთვე მირიანისა და ვახტანგის შთამომავლობა ნებროთიდისაგან 2). ზოგნი ამტკიცებენ, ვითომც ქართლოსიანთ და ჰაოსიანთ შთამომავლობა თარგამოსისაგან იყოს აშენებული ბიბლიის თქმულებაზე, ვითომც ეს თქმულება ჯერ სომხეთში იყოს შემოტანილი, შემდეგ ქრისტეს ქადაგების მიღებისა აქ, მასუკან მითვისებული ქართველებისაგან 3). ამას უარ-ჰყოფს ვივიანე. ჩვენ არ შეგვიძლიან დავეთანხმოთო ამ აზრს. ეს თქმულება, იმისის სიტყვით, ნაჩვენებია ცხადად მარ-იბას კადიანეს სირიულს მატიანეში, რომელიც არის შედგენილი მეორე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ. თვით მარ-იბას გამოუწერია ის უძველესის ქალდეურის წიგნებიდამ. ის ფორმა, რომლითაც აქ შემოსილია სახელები სომხებისა და ქართველების წინაპართა, ფორმა, რომელშიაც თვით დაბადებისაგან გარდამოცემული სახელები ადგილად იგულისხმება, ცხადად ჰმოწმობს ჩვენს აზრს, რომ მოხსენებული აქ თქმულება, სიტყვიერი თუ წერილით ნაამბობი, დიდ გავრცელებული ყოფილა გარეშე დაბადებისა. ნუ დავივიწყებთ—განაგრძობს ვივიანე,—რომ თვით მოსე დაბადების ისტორიულს ნაწილში მოიხსენებს ძველს გარდამოცემას, როგორათაც საზოგადო თქმულებას სემის ნათესაობაში და მაშა სადამე ეს გარდამოცემა შემოტანილია დაბადებაში ეფრატის მხარეებიდამ და არა დაბადებიდამ არის

1) *Ibid. p. 87, 97.*

2) *Ibid. p. 111, 163—165, 179.*

3) *S-Martin, Mém. sur l' Arménie*, I *p.* 257. *Hist. de la Géor. Intiod. et tables p.* XIX.

გამოტანილი 1). თვით მოსე ქორენელის სიტყვით ძველი ქალდეური ქრონიკა თარგმნილა ალექსანდრე მაკედონელის ბძანებით ბერძნულს ენაზე და აქედამ, ამბობს დუბუა დე მონპერე, სომხებს და ქართველებს გამოუკრებიათ ცნობა თავიანთ შთამომავლობაზე 2). შესაძლებელია, რომ ეს ქალდეური ქრონიკა იყო თვით ის წიგნი ნებროთზე, რომელიც ზემოდ ნაჩვენებია. ასეა თუ არა დარწმუნებით არ ვიცით. ცხადია მხოლოდ ბერძნული გავლენა ქართლის-ცხოვრებაზე. ამ შემთხვევაში, ბროსსეს შენიშვნით, არ შეიძლება განკვირვებაში არ მოგვიყვანოთ თქვენ ქართველთ მამათ-მთავართ სახელების ბერძნულმა დაბოლოებამ. მაგალ. თარგამოს, ქართლოს, მცხეთოს, გარდაბოს. ქართლის-ცხოვრებაში მირვანისა ანუ მურვანის მაგიერ იხმარება მირვანოს, მურვანოს; ქურდისტანისა და მიდიის ქედი სახელ-წოდებულია ორეთად, რომელიც ბერძნულს ენაზედ ჰნიშნავს მთას. ალექსანდრე მაკედონელის გალაშქრების ისტორიაში მოხსენებულია ბერძნული სიტყვა პროტატოს, რომლითაც იგი ბერძენთ მოლაშქრეთ უწოდებს. მეფე რევი შეეუღლება ბერძნის ლოგოთეთოსის ასულს სეფელიას. თვით ხოსრო მეფეს ხან და ხან მიეთვისება ბერძნული ფორმა კოსაროს. რას გვიმტკიცებს ეს ბერძნული ფორმა ქართლის-ცხოვრებაში? გამოკვლეულია, რომ სომხეთში ბერძნული ენა და ბერძნული ანბავი ხმარებაში ყოფილა იმ დრომდე, ვიდრე წმინდა მესროპი სომხურს ანბანს დააფუძნებდა 3). ეჭვ გარეშე არის, რომ ბერძნებს დიდი გავლენა ჰქონიათ სომხების მწერლებზე. სენ-მარტენი ამბობს, რომ ასსირიის მეფეების სახელები, რომელნიც მოსე ქორენელს თავის სომხეთის ისტორიაში შემოუტანია, ბერძნულის წყაროდამ არიანო გამოწერილნი; და თუნდ რომ ეს მოსეს მოწმობაც არა გვქონდესო, თვით ბერძნული დაბოლოება მეფეების მომა-

---

1) *Recherches.. p. 32 n. 2.*

2) Исторія Арменіи, Моисея Хоренскаго, переводъ Эмина 1858 г. стр. 41, 42.—*Voyage.. t. II p. 8 n. 1.*

3) *Hist. de la Géor. Introd. et tables, p.* XXXIII. *Mém. sur l' Arménie t. II p. 128 n. 6.*

ტებულის ნაწილისა ამას ცხადად გვიმტკიცებსო 1).—რომ სომხებს საკუთარი ანბანი არა ჰქონიათ მესრობამდე, ეს უეჭველია 2). ამ საგანზე იგივე სენ-მარტენი სწერს: «დიდის ხნის განმავლობაში სომხეთში იხმარებოდა სირიული, ბერძნული და სპარსული ალფავიტი. დიოდორე სიცილიელი და სხვანი ბერძნულნი მწერალნი გვიმოწმებენ, რომ აქ პირველნი ანბანნი ხმარებაში ყოფილან საქრისტიანო ერას წინათვე. მესრობისაგან შემოღებულმა ანბანმა ჯერ შეავიწროვა იგინი და შემდეგ სრულებით განდევნა სომხეთიდამ 3). მესრობი ცხოვრობდა მე V საუკუნ. ის არათუ სომხეთის ისტორიაში, თვით საქართველოს ისტორიაშიაც ღირს-შესანიშნავია: იმან მოიგონა როგორათაც სომხური ანბანი, აგრეთვე ალბანური და ქართული ხუცური ანბანიც. ამაზე ქართლის-ცხოვრება არას ამბობს, მაგრამ თვით სომხურისა და ჩვენის ხუცურის ფორმების სრული მსგავსება ცხადად ჰმოწმობს ამ ფაქტს 4). მესრობზე ადრე ჩვენ წინა-პართ ჰქონიათ თუ არა საკუთარი ანბანი? არც ერთ ქართველს ამ საგანზე ეჭვი არა აქვს. ყველა ქართველი დარწმუნებულია, რომ ქართული მხედრული ხუცურზე ბევრით ადრეა შემოღებული, ეს იგი ფარნაოზ პირველის მეფისაგან, მესამე საუკუნეში ქრისტეს შობის უწინარეს. ეს აზრი გაუვრცელებია ქართლის-ცხოვრებას 5). ჩვენის ფიქრით ის ზღაპრული თქმულებაა. საკუთარი ანბანი მესრობამდე არა ჰქონიათ სომხებს, რომელნიც ქართველებზე წინ ყოფილან, მაშ სადამე არ უნდა ჰქონიყოთ ქართველებსაც. თვით ის შემთხვევა, რომ ჩვენი ხუცური და სომხური ალფავიტი ერთ დროს არიან სომხისაგან შემოღებულნი, აცხოველებს ჩვენს აზრს. მართალია ქართლის-ცხოვრება უჩვენებს რამდენსამე ამის წინა-აღმდეგს ფაქტს. ეს ფაქტებია მაგალითად: ისტორიულნი მოთხრობანი საქართველოსაგან ქრისტეს სჯულის მიღებაზე,

---

1) *Mém. sur l' Arm. I, p. 4.*

2) История Армении, Моисея Хоренскаго, стр. 203, 209, 239.

3) *Ibid. 12, 313.*

4) *Hist. de la Géor. t. I p. 141 n. 4. Hist. du Bas-Emp. Lebeau. p. 323—326.*

5) *Hist. de la Géor. t I p. 43.*

რომელნიც ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ და რომელნიც შეუდგენიათ სა-ლომეს, სიდონიას და აბიათარს. მაგრამ ეს ფაქტი არას გვიმტკიცებს, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ დროს-და წინათაც საქართველოში სმარე-ბაში უნდა ყოფილიყო, როგორათაც სომხეთში, სირიული და ბერ-ძნული ასოები, ვინ იცის იქნება სპარსულიც, თუმცა ამ საგანზე ვერ-სად ვერა კვალს ვერა ვპოვულობთ. საქმე ეს არის, რომ მხე-დრულს ჩვენ კაი-ხანია ხელ არა ვხედავთ: არც ძველს შენობებ-ზე, არც ძველს მანეთებზე. ის აზრი, ვითომც მხედრული შემოღებუ-ლია 1312 წელს უსაფუძვლოა 1). პირველად იმისი კვალი აღმოჩნ-დება მე XII საუკუნეში. მეთორმეტე საუკუნის მანეთზე სჩანს ასოები ქ და ი, მეცამეტე საუკუნის მანეთზე თ, დ, მ, რ 2). მე-XII საუ-კუნეშივე ვპოვულობთ პირველად მხედრულს შენობის წარწერაში. ეს წარწერა არის აფხაზეთში სოუქ-სუს ეკკლესიის შიდა-კედელზე. ჩვენ თვითონ გვინახავს ის და გადმოგვიწერია, ანუ უკეთ ვთქვათ, გადმო-გვიხატავს, რადგანაც იმისი გარკვევა შეუძლებელია. აქ ხუცური და მხე-დრული ერთი ერთმანეთში არეულია. სჩანს, რომ მხედრული ახლად შემოდის ხმარებაში: მხედრული ჯერ ისევ ხუცურს მიემსგავსება. ესეც უნდა მხედველობაში გვქონდეს, რომ მხედრული სხვა არა არისრა, როგორათაც ისევ ის ხუცური, მხოლოდ ადვილად სასმარებელი მიწერ-მოწერაში. მართლა და თქვენ რომ ყურადღებით დააკვირდეთ ორივე ანბანის ფორმებს, შეუძლებელია არ დარწმუნდეთ, რომ მომატებული ნაწილი ხუცურისა და მხედრულის ასოებისა ერთი და იგივეა, რომ ხუცურს უშობნია მხედრული.

ევროპიელნი მეცნიერნი მწერალნი, რომელნიც ქართლის-ცხოვრების კრიტიკულს განხილვაში შესულან, არიან: ორიენტალისტი სენ-მარტენი და ვივიანე სენ-მარტენი. სენ-მარტენის *Memoires historiques et géographiques sur l' Armenie*, ორი ტომი 1818 წ. და აგრეთვე იმისგან

---

1) *Eléments de la langue géorgienne, par Brosset 1837. p· 2,*

2) *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, par Victor Langlois—Planche I.*

გამოცემული *Histoire du Bas—Empire, par Lebeau* XXI ტომი თავისის საკუთარის შენიშვნებითურთ დიაღ შესანიშნავი შრომაა, [illegible] და იმისი ღირსება ჩვენ სახნად გვქონდა «საქართველოში», რომელიც «დროებაში» იყო დაბეჭდილი 1869 წელს. ერთიც და მეორეც დიდად აფასებენ ქართლის-ცხოვრებას. «როდესაც ჩვენ გამოვიკვლიეთ—ამბობს ვივიანე— სომხეთის მველი წყაროები, ჩვენ მწუხარებას მიგვცა იმ ფიქრმა, რომ არც ერთს დოკუმენტს სომხურის ისტორიის პირველ-დროებზე ჩვენამდე არ მოუღწევია თავისის საკუთარის სახით, ვიდრე ადგილობრივს თქმულებას შეცვლიდა ქრისტიანობის დროს შემოტანილი ბიბლიური თქმულება. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ნაკლულევანებას ძველის ისტორიული დოკუმენტი ქართველის ტომისა, რომელიც ცხოვრობდა კავკაზიის ღრმა-ღელეებში და რომელზედაც უცხო-ტომთ უფრო ნაკლები გავლენა ჰქონიათ. თუმცა ქართულს გარდამოცემაშიაც შეინიშნება ქრისტიანობის გავლენა, მაგრამ ეს ცვლილება იმ გვარი არ არის, რომ იმას შესძლებიყო ადგილობრივის ძველის თქმულების შესუსტება. ის დიდს სინათლეს მოჰფენს არა თუ პირველ-ჟამთ ისტორიას საქართველოსას, არამედ მთელს შთამომავლობასაც კავკაზიელებისას შეერთებით. ის ეთანხმება მე-X თავს დაბადებისას. ამ თანხმობას ვხედავთ როგორათაც სახელ-წოდებაებში, აგრეთვე ფაქტების წარმოდგენაში. რასაკვირველია, არ შეიძლება რწმუნება მისცეთ სრულებით ამ ფაქტებს, თვით იმათ გენეალოგიას. მაგრამ როდესაც თქვენ დაუპირდაპირებთ და შეადარებთ ქართლის-ცხოვრების საფუძველს ერთის მხრივ დაბადების გარდამოცემას, მეორეს მხრივ სხვა უცხო-ტომთ თქმულებას, მაშინ თქვენ რწმუნდებით, რომ საქართველოს ძველი თქმულება თუ უპალმატებულესის ავტორიტეტის ღირსი არ არის, ნაკლები მაინც არ არის იმ ფაქტებზე, რომელნიც კრიტიკას აღმოუჩენია ჰეროდოტესა და ტიტ-ლივის ძველს თქმულებაში 1)».

გნახოთ, აქვს თუ არა საფუძველი ამ სიტყვებს ვივიანესას. ჩვენ

---

1) *Mém. sur l' Arm. II p. 190 Rech.. p. 53. 54, 78.*

ზემოდ მოვიხსენეთ ქართლის-ცხოვრების თქმულება სომხთა, ქართველთ, ლეკთ და კავკაზიელთ შთამომავლობაზე თარგამოსისაგან. კავკაზიელებად აქ იხსენებიან მხოლოდ ძურძუკელნი ანუ მისჯეგნი, შემდეგ ქისტნი. ჩერქეზნი თავისის მონათესავე აფხაზებით და აგრეთვე ოსნი იმათ შორის არ ირიცხებიან. როგორც ქართლის-ცხოვრება იტყვის და როგორც თავის ადგილს ჩვენ ამას გამოვიკვლევთ, ისინი აქ დასახლებულან შემდეგ, აგრეთვე ხაზართ შთამომავლობა ლეკანის მხრის აღმოსავლეთის ნაწილში. ჩვენ ვთქვით აგრეთვე, რომ ჩვენი თარგამოსი არის დაბადების თარგომა, შვილი გომერისა, რომელიც თვითონ იაფეტის ძედ იხსენიება. მოსეს გომერი, ქართველების გმირი, არის წარმომადგენელი მხოლოდ მწერლების კიმრთა ანუ კიმმერიელთა. კიმმერიელნი იყვნენ ინდო-ევროპიელნი ტომნი, რომელნიც უწინარეს საშუალო-აზიიდამ გამოსულან. მოსეს სიტყვით გომერის შთამომავლობა სახლ-კარობდა მე-XVI საუკ. ქრისტეს წინ კავკაზიის გარეშემო 1). ეზეკიელ-წინასწარ-მეტყველის აზრით თარგამოსელნი არიან გომერელნი, რომელნიც რასსის ვე-ლელებში მკვიდრობდნენ 2). ეზეკიელს ეთანხმება ძველი ქალდეველთ ქრონიკა 3). ბერძნების თქმულება კიმრებს უძველესის დროიდამ ასახლებს მეოტიდის ანუ აზოვის ზღვის პირად 4). კიმრების დასახლება სომხეთში უეჭველია: ამას ამტკიცებს თვით სომხური ენა. ის შეიცავს მრავალ-რიცხვს კიმრულის ენის ფესვებისას 5). თვით ქართული ენა, როგორათაც ამაზე ახლანდელი გამოკვლევა გვიმოწმებს, სომხურის ენის მონათესავე ენაა, ერთის ძირიდამ აღმოცენილი 6). ვივიანე იმაზედაც ეთანხმება ქართლის-ცხოვრებას, ვითომც ლეკნი და კავკაზიელნი კიმრებისავე შთამომავალნი იყვნენ 7).—ამას წინად ჩვენ ვი-

1) *Rech.. p. 10.*

2) *Ibid. p. 9, 10—15, 16, 18.*

3) *Ibid. p. 32.*

4) *Ibid. p. 6, 8.*

5) *Ibid. p. 31.*

6) *Rech.. p 95. Hist. de la Géor. Introd. et tables, p. XX—XXI.*

7) *Ibid. p 94—99.*

დეც ვთქვით, რომ კიმრებს უცხოვრიათ კავკასიის მხარეებში მე VII საუკუნემდე ქრისტეს წინ. ამ დროს იგინი განუდევნიათ—სკვითებს, რომელნიც საშუალო-აზიიდამ ჩრდილო-კასპიის ზღვით ახლად გადმოსახლებულან. უმეტესი ნაწილი კიმრთა გადასახლებულა ევროპიის შუა-გულში და ბალტიის ზღვისკენ, დანაშთენი მცირე-აზიაში მიმართულა 1).

ქართლის-ცხოვრებით საქართველოდ იგულისხმება ის კავკასიის-აქეთი სივრცე, რომელიც უწინ შეიცავდა ალბანიას, იბერიას, კოლხიდას, მესხეთს და სტრაბონის თაოქსუას ანუ თაოს-კარს; სომხების ალოვანკს, გრატსტანს, ეგერს ანუ ეგერსტანს და გუგარკის და თაიკის თემებს. ეს სივრცე შეიცავს მთელს ბასსეინს მტკვრისას ლელე-მინდვრებით—ჩრდილო არაგვისას, სამხრეთით ხრამისას ანუ ქციისას, დებედისას და ასხტაფისის, აღმოსავლეთით ალაზნისას, დასავლეთით ჭოროხისას, ჩრდილო-დასავლეთით რიონს და იმის შტოებს ვიდრე ბაგრამდე 2). ამ სივრცეზე ყოფილა გავრცელებული თვით ქართული ენა, რომელსაც ძველადვე ქართლის-ცხოვრების აზრით ორი საკუთარი შტო ჰქონია დედა-ენაზე დაშორებული: სვანური და მეგრული. სვანები მკვიდრობდნენ იქვე, სადაც ახლა ცხოვრობენ. მეგრულს ენას სჭერია მთელი შავი-ზღვის პირი ყუბანიდამ მოყოლებული ვიდრე ტრაპიზონის თემამდე და თვით ტრაპიზონიც 3), ესე იგი ის სივრცე-მთლად თუ არა არ ვიცით,—რომელზედაც ახლა მკვიდრობენ ჩერქეზნი და აფხაზნი, გურულნი და ლაზნი ანუ ჭანნი, რომელნიც თვით მეგრელებადვე ირიცხებიან ქართლის-ცხოვრებაში 4). მეგრული ენა ძველადვე დაშორებია ქართულს: ქართლის-ცხოვრება ერთს ადგილს იტყვის, რომ ჭყონ-დიდი მეგრულს ენაზე ჰნიშნავსო დიდ-მუხას 5). შავი-ზღვის მხრივ საქართველოს საზღვარი შევიწროებული ყოფილა ბერძნების-

1) *Ibid. p. 8, 9, 45, 128.*

2) *Hist· de la Géor.-Introd. et tables p. III.*

3) *Hist. de la Géor. I, p. 18, 56.*

4) *Hist. de la Géor. t I, p. 56.*

5) *Ibid. p. 239.*

კოლონიებისაგან 1). ამ ფაქტს სრულებით ეთანხმებიან უცხო-ტომთ ცნობანი, რომელნიც ჩვენ დაწვრილებით ვუჩვენეთ «საქართველოში». ხომხეთის მხრივ ჩვენ ტომს საზღვრად ჰქონია ის ქედი, რომელიც განსაზღვრავს მტკვარსა და რახსა. ამ საზღვრისგამო ქართველებს და ხომხებს შორის ატეხილა განხეთქილება და ბრძოლა 2), რომელზედ ჩვენ გვექნება საუბარი თავისს ადგილს.—უცხო-ტომთ მწერლების თქმულება საქართველოზე თითქმის იგივეა, რასაც ქართლის-ცხოვრებაში ვპოულობთ. ეს საგანი ჩვენ კიდეც გამოვიკვლიეთ და ამისთვის აღარა ვრაცხთ საჭიროდ იმის განმეორებას. ჩვენ აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მოსესა და ეზეკიელის და თვით ჰეროდოტეს აზრით მესხნი და ტუბალნი ანუ ტიბარენნი (ჩვენნი იბერნი) ერთს და იმავე ნათესაობას შეადგენდნენ. ორფეი თავისს არგონავტიკაში ტიბარენებს უჩვენებს პონტის მხარეებში, თერმოდინის საზღვრად, იქ სადაც მე V საუკ. ქრისტეს შობის წინ სკილაქსი და ჰეკატე იმათ უჩვენებენ და სადაც თვით ქსენოფონტემ იგინი ჰპოვა. სტრაბონი აღნიშნავს ტიბარენებს აღმოსავლეთად. ისიც მესხებს და ტიბარენებს ტიბარენის ტომად მოიხსენებს 3).

აქედამ სჩანს, რომ უცხო-ტომთ მწერლების აზრითვე იბერიის ტომნი ერთს შთამომავლობას ეკუთვნოდნენ და ერთს ენას სმარობდნენ, თუმცა იგინი ერთმანეთში დაყოფილნი ყოფილან. პოლიტიკური დაყოფა ქართველებისა თვით ქართლის-ცხოვრებიდამ სჩანს ძველადვე. მიზეზი ამისი ყოფილა გეოგრაფიული მდებარება: იმათ თვით ბუნება აცალკევებდა. ამას სხვა მიზეზიც დაერთო: ეს იყო გავლენა შემძლე მოსაზღვრე-ტომთა, სპარსთა და ბერძენთა. იმათი სარგებლობა მოითხოვდა ქართველების განერთებას. დასავლეთი საქართველოს მხარე იყო საბერძნეთის გავლენას ქვეშ, აღმოსავლეთი—სპარსეთის გავლენას ქვეშ. ეს ორ-გვარი გავლენა იწყობა თავდა-პირველადვე და დროს განმავლობაში უფრო-და-უფრო მყარდება. ის აქ აღმო-

1) *Ibid. p. 27, 40.*

2) *Hist. de la Géor. t. I p. 1766, 135, 140. Addit. et Eclaircis. a l' Hist, de la Géor. p. 73—74. Rech... p. 100.*

3) *Rech... p. 48, 54—58.*

აჩვენს თავისს ნაყოფს სარწმუნოებაში, ზნეობაში, ყოფა-ცხოვრებაში და წეს-დებულებაში, როგორათაც ამას ჰმოწმობენ ქართლოს-ცხოვრება და უცხო-ტომთ მწერალნი. აღმოსავლეთს საქართველოში ვრცელდება ზოროასტრის აღსარება, ანუ ცეცხლის-თაყვანისცემა, რომელიც სომხეთით შემოაქვთ სპარსებს. დასავლეთი საქართველო ითვისებს ბერძნების კერპთ-მსახურებას. 1). თვით ქრისტეს სარწმუნოება შემოდის პირველს საუკ. იმერეთში და მესხეთში ბერძნების კოლონიებიდამ; ქართლ-კახეთში კი მეოთხე საუკ. სომხეთით. ქართლ-კახეთის ზნეობას აქამომდე აქვს სპარსული კვალი; იმერეთს კი არა. აქ ქართლის-ცხოვრების მოხსენებით, მეორე საუკ. ქრისტეს წინ, ფარნაოზ მეფეს შემოაქვს სპარსული წეს-დებულება: ის აწესებს სპასალარს და საერისთავოებს 2). ქართული ერისთავი, საერისთავო არის სპარსული სატრაპი, სასატრაპო, სომხური პატეასში, საპატეასშო 3). თვით ქართლ-კახეთის შინაური ცხოვრება არის სპარსული. სპარსეთის ერისთავი არდამ ამყარებს აქ სპარსულის შინობის წესს 4). სტრაბონის დროს აქ ვპოულობთ მთელს ხალხს ოთხ-კასტად დაყოფილს, რომელნიც ჯემშიდისაგან სპარსეთში დასკვნილს კასტებს მოგვაგონებენ 5). სამოქალაქო წესი შავი-ზღვის პირად უფრო ბერძნული იყო, თუმცა შემდეგ ქართლმა იმას მცირედ ჰმისთვისა თავისი წესი. — რადგან ბერძნების განათლება უფრო მაღლა იდგა სპარსების განათლებაზე, ამისგამო მესხეთმა და იმერეთმა ქართლზე და კახეთზე სწავლა—ხელოვნობით უფრო წინ წაიწიეს. ეს ახლაც ჩანს. რამდენადაც კახეთის მხრიდამ თქვენ უახლოვდებით მესხეთს და იმერეთს, იმდენად ძველის კულტურის გავლენას უფრო ჰგრძნობთ. ეს ორ-გვა-

1) *Hist. de la Gèor. t. I, 100, 101, 111—112. etc. Hist. de la Siounie t. 1 p 42, 61, Mèm. sur l' Arm. t: I, p. 3, 6, Voyage autour du Cauc. t. II, p. 40.*

2) *Hist. de la Gèor. I, p. 42.*

3) *Jbid p. 80, 182 n., 227, 238, 250.*

4) *Jdid. p. 27.*

5) *Hist. de la Gèor. Introd. et tables p.* XIX.

რი გავლენა სპარსეთისა და საბერძნეთისა მთელს ქართულს ისტორიას მისდევს. დროითი-დრო იგინი ერთმანეთს შეჰხვდებიან, ასტყდება ბრძოლა, რომელიც მეხუთეს და მეექვსეს საუკ. მთელს ლაზიკას ანუ დასავლეთს საქართველოს აოხრებს. ამ ორგვარის გავლენის სასარგებლოდ შემდეგაც ბერძენნი და სპარსნი თავიანთ მეცადინეობას არ მოჰკვეთენ, რომ ქართველი ნათესაობა ერთი-მეორეს არ დაუკავშირდეს, არ შეუერთდეს, რომ შეერთებულმა ქართველობამ საკუთარი ძალა არ აღმოაჩინოს. ეს გაცალკევება ქართველების სრულებით შეუთვისება, ბუნებად გადაექცევა, და თუმცა ჟამითი-ჟამად ჩვენნი წინა-პარნი შეერთების სურვილით აღიძვრიან, მაგრამ სუსტად და ბოლოს ისინი სრულებით დაიგლიჯებიან და ამით საქართველოს დასცემენ.

დიმიტრი ბაქრაძე.

ჩაილდ-ჰაროლდის სიმღერა

(ბაირონით).

«მშვიდობით! ლაჟვარდ სივრცეში ჰქრება
ხაზე სამშობლოს ნაპირებისა,
ზვირთი ზვირთზედა ქსლება, ჰქრება;
მესმის ყვირილი ზღვის ფრინველებისა.
ჩვენ ვსდევთ როგორც მზე ზღვაში წვება,
რომ მოიპოვოს იქ მოსვენება....
მშვიდობით! მიყვარ სამშობლოს მხარით!...
ჩემო სამშობლოვ, ღამე მშვიდობით!

წარვლენ საათნი და ჩემ ზამოთა
მზე კიდევ წითლად ამობრწყინდება,
კვლავ ვნახავ დღესა, მაგრამ სამშობლო
სამუდმოდ თვალთაგან მე გამიქრება.
სახლი ჩემგნით დატოვებული,
დაობლებული, ოხრათ დარჩება,
და მასში ცეცხლი განაღებული
სამუდამოთა სრულად გაჰქრება.
გაზაფხულზედა სახლის კედლებზედ
ბალახი იწყობს ამოცენებას,
და ჩემი ძაღლი სახლის კარებზედ
გამვლელ-გამომვლელს დაუწყებს ყეფას.
— შენ, ჩემო პაჟო! მოდი ჩემთანა,
ეგრე მწუხარედ რაზედა სტირი?
ნუ თუ გაშინებს ზღვაში სიკვდილი?
ანუ ზღვისაგე გრიგალი ქარი?
გამხიარულდი, ცრემლს ნუღარა ჰღვრი:
ეს ჩვენი გემი ისე მიცურავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თვით მიმინოც ვერ დაგვეწევა,
თუნდ ისურვებდეს ჩვენს გამოდგომას.
«არ მეშინიან ზღვის ზვირთებისა,
გინდ განუწყვეტლივ მხეცებრ იღმუოს,
გინდ იალქნიც ჩვენის გემისა
ნაჭერ-ნაჭრებად ქარმა დაგლიჯოს.
მაგრამ, პატრონო, ნუ გიკვირს ეს,
რომ თვალებიდგან ვღვრი ცხარე ცრემლსა:
ვეღარა ვხედავ მოხუცს მამასა
და დედა ჩემსა თვალ ცრემლიანსა.
დამრჩით პატრონად: ქვეყნად შენ ერთი
და კიდევ მაღლა ზეცაში ღმერთი,
«რომ მოვდიოდი—ჩემს მოხუცს მამას
თვალთ გადმოსცვივდა ცხარე ცრემლები,
და დედაჩემიც თავს დაიჭლექებს,
თუ დროით შინ არ მივუბრუნდები.»
— კმარა, პატარავ, ახლა კი მივხვდი,
რომ ეგ ცრემლები არ არს სირცხვილი,
და მეც შენებრივ ტირილს მოვრთავდი,
თუ რომა მქონდეს უმანკო გული. —

— ჩემო მსახურო, მოდი ჩემთანა!
შენ როგორღაცა გაყვითლებულხარ!
ნუ თუ გაშინებს ფრანცუზი მტერი?
ანუ ქარისგან შეშინებულხარ. —
«ჩემო პატრონო, შენა გგონია,
რომ სიკვდილისა მე მეშინია.
არა; ცოლი რომ მომაგონდება
ეს, ცუდი ფერი მაშინ მედება.
«შენ წინაპრების გალავნის ახლო
ჩემი შვილები დავტოვე ობლად;
ახლა რომ იმათ მამა იკითხონ,
ასა რას ეტყვის დედა პასუხად?»

ეროვნული ბიბლიოთეკა

«საქმარია შენი ტირილი;
მაგრამ მე კი რას ვშორდებოდი
სამშობლოს მხარეს — სულ ვიცინოდი.
ახა რას ვპოვებთ ქალთა ცრემლებში!
განა ჩვენ ქალი ლოდნას დაგვიწყებს?
მის ტურფა თვალებს სხვა კაცის ხელი
მოსწმენდს გუშინდელს მოსულსა ცრემლებს...
ჩემის სამშობლოს მოშორებაზედ
მე სიხარულით ჭლამის ვიტირო:
არა ვინა მყავს ჩემს სამშობლოში
რომლისათვისაც ცრემლი დავღვარო.
ჭვალად ობლად ვარ დატოვებული
ამ აღელვებულ ზღვის ზვირთებს შუა,
და ახა ვისთვის დავღვარო ცრემლი
ჩემთვის რომ ცრემლი არავის სცვივა.
ჩემი. ძაღლიც კი აღარ იყეფებს,
საჭმელს და ბინას რომ მოიპოვებს,
და თუ უკანვე მე დავბრუნდები —
თვით ჩემი ძაღლის მსხვერპლი გავხდები.
გემო! მაქანე ზღვისა ზვირთებზედ,
დაე ჩვენ ქვეშა ზღვამ იჩქრიალოს!...
წარმიღე, სადაც გსურს, გინდ ცის კიდეზედ
ოღონდ გამრიდე ჩემსა სამშობლოს.
ვესალამები ცისფერსა ზღვებსა,
ჩვენ ამფერს წყლებსა ველარ შევხვდებით,
ვუმღერი სალამსა უდაბნოს მთებსა...
ჩემო სამშობლოვ! ღამე მშვიდობით!

ი. ბაქრაძე.

1871 წ: თებერვალი.

გორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი-მოურავი

ტრაგედია.

აქტი 2.

სცენა 1.

სცენა დიდი-მოურავის სასახლეში.

დიდი-მოურავი (ჭმუჭნავს ქაღალდებს).

გესმის, გიორგი, ეს გურიელს მიუტანე, ეს დადიანს. გურიელი დაარწმუნე, რომ ყველა საჯავახო ადგილებს, რომელსაც ესლა იმერთ მეფე ედავება, მივცემთ; დადიანს ლეჩხუმს დავანებებთ.... ხომ ჰხედავენ, რომ მანამ იმერთ მეფე ზის ტახტზედ, იმათ არ მოასვენებს. ჩვენც ყოველთვის იმისგან თქვენსავით შეწუხებაში ვართ თქო. ესეც იმერთ მეფეს მიეცი. თითონაც კარგათ ჰხედავს, რომ მანამ ეს ორი სამთავრო ცალკე არიან, მანამ იმერეთი ხელს ვერ მოიდგამს. უნდა ერთის სიტყვით ყოვლის ღონის-ძიებით ეცადო, რომ მათში აშლილობა არ დაზავდეს, თორემ ჩვენ ჩვენს აზრს ვერაფრით აღსრულებაში ვერ მოვიყვანთ. ერისთავებთან და მუხრანის ბატონებთან გვმართებს მაგრათ კავშირი. ისე ერისთავი დიდების მოყვარე კაცია და უნდა ყოველი დიდება აღუთქვათ. თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრანის-ბატონები ქვეყნის ერთგულებაზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსა ჰქდებენ და უნდა ჩვენც ხელი მოუმართოთ, მაგრამ ჩვენი ნამდვილი დაწყობილება არ უნდა იცოდნენ.

გიორგი ქავთარაძე.

ჩვენ უნდა დავაჩქაროთ, მანამ მეფე კარგს თვალზედ გვხედავს, თორემ ხომ იცი, ბევრს ხანს მაგას თავის დადება არაფრისა არ შეუძლიან. ამასთან: შადიმან, შადიმან დაამორე მეფეს და კიდევ მელიქი. ჩემი სათქმელი სულ შადიმან და მელიქი არის. შენ გეტყობა კიდევ ვერ გიცვნია შადიმან.

მეფის კაცი (შემოდის და აძლევს წიგნს).

მეფემ მოგართვათ.

მოურავი (კითხულობს).

კარგი, გიახლებითქო.

მეფის კაცი.

როდის მობრძანდებით?

მოურავი.

ამაღამ იქა ვარ. (მეფის კაცი გადის).

ქავთარაძე.

რასა გწერს მეფე?

მოურავი.

ყარაიაზედ მეპატიჟება სანადიროდ და მთხოვს, რომ დღესვე მივიდე, რომ ხვალ ადრიანად უნდა წავიდეთო.

ქავთარაძე.

ესეც კარგი მარჯვე დრო. მინამ შენ მეფე მოამზადე, რომ ვინიცობაა, როგორ იყვეს საქმე.

მოურავი.

სწორედ, მარჯვე დროა. ფიქრი არ არის, დავიწეროთ პირჯვარი და შეუდგეთ გზას. შენ იქ დამეხმარე, სადაც მე არ ვიყვე, და ღმერთია მოწყალე. ჯერ ჩვენი საქმე კარგად მიდის.

ქავთარაძე.

ყველაფერი შენზედ არის დამოკიდებული. შენს გარე—სხვას შველა აღარ შეუძლიან, და დაიღუპა ქვეყანა. მშვიდობით. მე ხვალ ადრიან გაუდგები გზას.

მოურავი.

მშვიდობით. მე უნდა წავიდე უთხრა, რომ ბიჭები მოემზადნენ და ჩემი ქორმექებრები გაამზადონ სანადიროდ. (გადიან ორივენი).

სცენა 2.

მეფის სასახლეში არიან შეყრილნი მრავალი დიდკაცობანი.

შადიმან ბარათაშვილი.

ხომ ჰხედავთ, საქართველოს დიდებულნო და დარბაისელნო რომ ძლივს გავაბედვინეთ მეფეს მოურავის დაბარება და სიკვდილი, და ახლა ისევ უარზედ სდგას, და ამბობს თუ გინდათ ისევ იმის დას გაუშვებო. ღმერთმან ნუ ჰქნას, რომ მეფემ მოურავის დაა გაუშვას და მოურავი ცოცხალი დაარჩინოს. მაშინ აღარც ერთს აღარ გვაბოგინებს საქართველოში. ამისგამო, თუ ეხლავე არ მოვაკვლევინეთ მეფეს მოურავი, სხვა ამისთანა მარჯვე დროს ველარ ჩავიგდებთ. მოურავი ეხლა ხელში გვყავს: ის ამაღამ მეფის დაბარებით ჩამოვა აქ. ჩამოვა თუ არა—უნდა შევიპყრათ, და მაშინვე მოვაშოროთ თავის ბოროტს ცხოვრებას. ამისგამო, დიდებულნო, ეხლა უნდა მეფეს გადაწყვეტილი მოვახსენოთ, რომ თუ ის ეხლაც არ მოჰკლავს მოურავს, ჩვენ ყველანი შემოვეცარცვებით და მივცემთ სხვას საყმოდ თავს, და მაშინ ვნახოთ მარტო მოურავი რასაც უზამს. თორემ ჰხედავთ ერთმა უბრალო აზნაურმა რა რიგ დაიპყრა საადავეები და აღარა დიდი კაცის შვილს სწორად აღარ ისდის. მეტადრე რაც ის მეფეს დაუმოყვრდა, მეფე იმის დაუკითხავად

აღარას აკეთებს და ჩვენს რჩევას და თხოვნას ისე აღარ უგდებს ყუ-რს, თითქო ერთი უბრალო დაბალი კაცის შვილები არიანო. თქვენ ყველანი კარგად შეჰნიშნავდით, რომ ამ მოკლე ხანებში მეფე, თით-ქო კიდეც ერიდებოდა ჩვენს სამსჯავროს და თან-და-თან იახლოებდა იმ პირთ, რომელნიც მოურავს იამებოდნენ. აქამდის ჩვენს სიტყვას მეფე ძვირად თუ მირს დაუშვებდა; და ახლა ჩვენი ერთგული—თავისიცა და ქვეყნისაც სასარგებლო რჩევა—სიცილათაც არა ჰყოფნის. აღარ იმეტე-ბს აღარც ყმას, აღარც მამულს თავადიშვილებისთვის და სულ იმას გაიძახის, რომ გზები და სიმაგრეები უნდა გავმართოთო. აბა მიბრძა-ნეთ, ბატონებო, თუ თავადიშვილებს და მთავრებს შეძლება და ძალა არ ექნებათ, რა სიმაგრეებისა და გზების გაწყობა შეიძლება. ერთის სი-ტყვით, თქვენ ჰხედავთ აქ სულ მოურავის სიტყვას და საქმეს, იმას უნდა რომ ყველა გაასწოროს, და ჩვენგან ეს მოსათმენი არ არის, რომ ერთი უბრალო კაცი ასე ჰრევდეს ქვეყანას.

მელიქ ათაბაგი.

დიახ, თქვენმა მზემ, რომ არ არის მოსათმენი: გუშინ ჯავახი-შვილის აზნაურიშვილი, დღეს ჩვენ კაცათაც არ გვაგდებს. რასაკვირვე-ლია, რომ ამისთანა დროში ქვეყანას კეთილი არ დაეყრება.

ბარათა ბარათაშვილი.

თქვენმა მზემ, რომ სულ მაგისაგან არის ქვეყანა არეული: ომი-ანობა გაჩნდება, სარდლობას არავის ანებებს და ყველაზედ მომეტე-ბულს ვაჟკაცობას და ჭკუას ჩემობს; რჩევაა რისამე და ეგ თავის დღეში არავის ეთანხმება და იმისთანას იტყვის, რაც სხვას გუნებაშიაც არ გაუვლის. ერთის სიტყვით, მინამ ეგ ცოცხალია—არც თითონ მო-ისვენებს და არც სხვას მოასვენებს.

ფარეში (შემოდის).

ბატონებო, მეფე გთხოვთ, რომ მიბრძანდეთ იმასთან (გადის).

მელიქ ათაბაგი.

ყველამ ერთპირათ უნდა გადაწყვეტით გამოუცხადოთ, რომ თუ

ახლაც არ მოეკლას მოურავს — დღესაც ყველანი დავანებებთ შეყრილობას (გადიან ყველანი).

ეროვნული

მაკრინე (შემოდის).

ეს ამოდენა დიდკაცობა კიდევ უთუოდ ჩემის ძმის გულისთვის არიან შეყრილები. ბააკამ მითხრა, რომ მეფემ გიორგი მაინც კიდევ დაიბარაო. ღმერთო! ეს რა უბედურს ვარსკვლავზედ დავიბადე! ჩემის გულისთვის უნდა ახლა ჩემმა ძმამ თავი დასდოს. არა! მეფე არავის რას დაუჯერებდა, თუ ჩემი საყვარელი მცირეც არის კიდევდა შეჭირ-ვნოდა. მაგრამ იმან აიყარა ჩემზედ გული და მას აქეთ კიდეც დაუ-გდო ყური ჩვენს მტრებს... ვინ იცის რამდენი პირი შეჰნატრის ჩემს თავს — დედუფალია და ბედნიერიაო, — და ის კი არ იციან, რომ ჩემზედ უბედური ჭიაც კი აღარ დაიარება დედამიწის ზურგზედ. დედუფალი მერქვას და მეფეს კი, რომელიც მთელს ცასა და ქვეყა-ნას მირჩევნია, გული ჰქონდეს ჩემზედ აყრილი. გულის აყრას ვინ ინაღვლის: იქამდის დაჰკარგა ჩემი პატივისცემა, რომ მტრის ენით თა-ვის ერთგულს და თავდადებულს ჩემს ძმას სასიკვდილოთაც იმეტებს, როდესაც, იცის რომ შემდგომ მეფისა — იმაზედ უკეთესი მე ქვეყანაზედ აღარა გამაჩნიარა. ნუ ჰგონია მეფეს, რომ რაც უნდა ძრიელ მიყვარ-დეს ის, მივცე ჩემი ძმის სიკვდილის ნება. ჯერ ჩემი სიკვდილი ნახოს და მერე ის მოკლას... ნეტავი შენის სიცოცხლით ერთი კაცი მაინც მეგულებოდეს ამ სახლში იმისთანა ერთგული, რომ სიტყვა მიენდო-ბოდეს, და შემეტყობინებინა როგორმე ჩემის გიორგისთვის, რომ არ ჩამოსულიყო აქა. შენი მტერი, თუ ვერ გაიგო გიორგიმ და ამ დიდკა-ცობამ ისევ გაამეტებინეს მეფეს ის სასიკვდილოდ. ვაი ჩემს დღეს, თუ ეს დიდკაცობა მართლა იმისთვის არიან შეყრილნი. ნეტავი ბააკა მაინც მაჩვენა. ერთი ის ლაა ამ სასახლეში ჩემი და ჩემი ძმის ერთგული.

ბააკა ხერხეულიძე (შემოპარებით შემოდის).

აქა ბრძანდები, დედოფალო? (ათვალიერებს აქეთ იქით: სხვა ხომ არავინ არისო). ვაი ამ დღის მომსწრეს! მეფე ისევ დაიყოლიეს გიორგის მოკვლაზედ და ჯვარზედ ფიცი ჩამოართვეს, რომ აღარ გადასთქვას. რა წამს ამაღამ ჩამოვა მოურავი, მაშინვე უნდა შეიპყრან და მოჰკლან.

მაკრინე

ჩამქოლეთ! თქვენი ჭირიმეთ, რაღა უნდა უშველო ჩემს გიორგის!

ბააკა.

აი ქვეყნის დაღუპვა!.. თქვენვე უნდა სთხოვოთ მეფეს: თქვენის თხოვნის მეტი აღარა გაეწყობა რა. მე არ გამცეთ, თორემ დავიღუპები, რათგან ამ საქმეს თქვენ ფარულად იწყობენ. მშვიდობით, დედოფალო!

მაკრინე.

თუ ვერას გავხდი, შენი ძმობის ჭირიმე, ბააკავ, ისევ შენ უნდა მიშველო და შეატყობინო ჩემს ძმას და დაავალო შენს ღმერთს. შენს მეტი მისამართი მე არავინა მყავს. ჩემს მაგიერ ღმერთი გადაგიხდის ყველაფერს.

ბააკა.

ეცადეთ მეფესთან. მშვიდობით! მეშინიან აქ არა მნახონ. (გადის საჩქაროდ).

მაკრინე.

მშვიდობით, ბააკავ! შენი ძმობის ჭირიმე...ვაჰ, თქვენი ჭირიმეთ, წავიდე, სადაც იყვეს ვნახო ჩემი წამწყმედელი. (გადის).

მეფე. (შემოდის ამღვრეულის სახით და სდგას დიდს ხანს გაჩერებული).

ჰმ! უნდა გიორგის სისხლში გავისვარო ხელი!.. უნდა გავისვარო იმიტომ, რომ სუყველას ასე ჰსურთ... მაგრამ გიორგობას ვიდა

მიზამს!.. გიორგი უნდა მოვკლა—გადაწყვეტილი საქმეა... არ მოვკლა, და მაშ რა უნდა ვქნა, თუ ყველანი ჩამომეცლებიან?!. რა უნდა ვქნა, ღმერთო?!.. სად არის შენი სამართალი?! რატომ არას მაგონებ... (ტირის. დაუშვებს ტახტზედ და წაჰყოფს მუთაქაში თავს. პატარა ხანს უკან აიღებს ისევ თავს). ოს! ნეტავი ერთი ცალკე კიდევ შენახა სადმე მაინც ჩემი გიორგი. იმისი ერთი ნახვა, ერთი სიტყვა ისე გამამხნევებდა და თვალს ამიხსნიდა ხოლმე. იმისი ერთი სიტყვა უფრო მიჯდებოდა ხოლმე ჭკუაში, ვიდრე ყველა ამოდენა ხალხის ლაპარაკი. ესენი სულ ერთსა და იმავეს გაიძახიან, რაც ყველგან და ყველასაგან გესმის. ის სულ სხვას ამბობდა და სხვასა ჰფიქრობდა, რომელიც მართლაც და რომ საფიქრელი და საზრუნველი იყო. ამისთანა კაცი ახლა უნდა მოვკლა??.. დავიჯერო იმ დალოცვილმა ღმერთმა უნდა იქამდის მიმიშვას, რომ ამისთანა კაცის სისხლში ხელი გავისვარო. (შემკრთალი უცებ). აცა! მაკრინეს ხმა ისმის. მთრთოლარეს ხმით მკითხულობს და დამეძებს. ღმერთო!! დავიჯერო იმანაც გაიგო ეს ამბავი?! ის იყო მიმეცი ფიცი, რომ გიორგის არას ვერჩი მეთქი, და დღეს კი უნდა დავარღვიო ის ფიცი, იმიტომ რომ ახლა უფრო მძიმე ფიცი ჩამომართვეს.

მაკრინე (შემოდის მოწიწებით).

მეფევ, აქ ბრძანდებით? სუყველა პალატი მოვიარე და ძლივს გიპოვნეთ. მოვედი, მეფევ კვალად ცრემლთა მფრქვეველი წინაშე თქვენსა, რომ არ ინებოთ თქვენი ორივის ფიცის დარღვევა. მუხლ მოდრეკით გევედრები (იჩოქებს), რომ თუ შენ არ მიგაჩნია ცოდვად შენის ერთგულის და შენთვის თავდადებულის ყმის სიკვდილი, მე მაინც ნუ გამრევ ამ ცოდვაში და ჩემის მიზეზით ნუ გაისვრი უბრალო კაცის სისხლში ხელს. თუ მე არა ვარ ღირსი საქართველოს დედოფლობისა, მე მომეპყარი როგორც უღირსს, შემცოდეს და წამწყმედელს. თავი ჩემი იყოს თქვენი და ქვეყნის

სურვილის ნაცვალი. მაგრამ რას ქმართლებით მოუჩვავს. თუ სიკვდილით უნდა განწმინდოს შერცხვენა და დამცრობა მეფის ტახტისა უბრალო აზნაურის ქალის გადედუფლებით, ჩემი სიკვდილი უპრიანია. თუ მარტო გიორგის სისხლი გწყურიანთ: მაშინ მე გთხოვთ, ვითარცა გვირგვინოსანი ცოლი და დედუფალი,—თუ ოდნავათაც არის გაქვს პატივი შენის გვირგვინისა და მცირეც არის გახსოვს ის წმინდა სიყვარული, რომელიც ჰღვიოდა ერთხელ როდისღაც შენს გულში,—მაპატიო ჩემი ძვირფასის, ჩემი მამისთვის ნაამაგდარის ძმის გიორგის სისხლი. თუ არა, ვფიცავ ყოვლად შემძლებელს ღმერთს, რომ უწინარეს დაჰღვრით ჩემს სისხლს, ვიდრე გიორგისას, და სისხლი ჩემი და ჩემის უმანკოდ მოკლულის ძმის სისხლი იყვეს იმათ თავს, ვინც... (წასქდება ქვითინი). მითხარ, მეფეო, მითხარ, მეც ნუგეში, რომ ჩემის მიზეზით არ გაისვრი ჩემის ძმის სისხლში ხელს... მოიგონე ის ფიცი, რომელიც მიეც შენ იმას ჩვენის გვირგვინის დღეს.. რა პასუხი უნდა გასცე ჩვენს მეუფეს დიდის განკითხვის დღეს ჩვენის სისხლისათვის... ფიცის გატეხისათვის...

მეფე (სტირის).

ჩემო მაკრინევ! ჩემო დედუფალო! (მოეხვევა კისერზედ, დაადებს თავს თავზედ და უმატებს ტირილს).

მაკრინე. (იმედ მიცემული).

არ მოჰკლავ, განა?! განა არ მოჰკლავ, ჩემო მეფეო, ჩემო გვირგვინო, ჩემს გიორგის?! მაპატიებ იმის სისხლს?! (მეფე თან და თან უმატებს ტირილს). მხედავ მუხლზედ გეხვევი და ისე გევედრები. (ეხვევა მუხლზედ). აკი გიყვარდა ერთხელ შენი მაკრინე. გატარე კიდევ მცირეც არის სიბრალული შენთვის გაწირულის უბედურის მაკრინესი. ეს არის ჩემი უკანასკნელი თხოვნა. განა არ ვიცი, რომ მე ვამცრობ შენს დიდებას, შენს გვირგვინს... შემისრულე ეს სათხოვარი და მაშინ გავალ შენის სასახლიდამ, რომ ჩემი უღირსი ფეხი

არა სტკეპნიდეს მაღალსა სამეფო ტახტსა და გულის-თქმა ჩემი არა ჰბილწავდეს წმინდას სარეცელს მეფისასა. შევსწირავ ჩვენს მაღალს მეუფეს თავს და, ვიდრე ეს ცოდვილი სული მედგმის გვამში, ვიქნები მავედრებელი ჩემის მაღალის მეფისა. (სტირის და აფარებს თვალებზედ ხელს).

მეფე. (წამოდგება თვალცრემლიანი და, აღელვებული).

არა, მაკრინევ! არც შენა ხარ და არც გიორგი სიკვდილის ღირსნი. სასიკვდილო მე ვარ შენის ხელით. მე ჩავდექ შენს ცოდვაშიაც და გიორგის ცოდვაშიაც... მე ვარ ფიცის გამტეხი... აი ხანჯალი და მომკალ... ამის მეტი ღონე არა მაქვს... მაშინ შენც ცოცხალი იქნები და გიორგიც. (ამოიღებს ხანჯალს და აძლევს).

მაკრინე. (ადგება შემკრთალი).

მეფეო, მოდი გონებას.—ნუ თუ ისე გძლია წყეულმა მტრის-ენამ და ეშმაკმა, რომ ცნობა დაგიკარგავს?!..

მეფე.

არა! ან უნდა მოკვდეს მურავი, ან მე და ან ისინი ყველანი, ვინც მოურავის სიკვდილსა თხოულობენ... უმჯობესია ჩემი სიკვდილი. (იწვდის ხანჯალს გულში ჩასარჭობად)

მაკრინე. (სტაცებს ხელს)

მეფეო!.. თქვენო ჭირიმეთ!.. მიშველეთ!!.. (შემოცვივიან დედოფალი და სხვანი მრავალნი. მეფე, შემკრთალი გაუშვებს ხანჯალს მაკრინეს ხელთ და გადის საჩქაროთ. ყველანი გასდევენ თან).

სცენა 3.

გათენების ჟამია. სცენაა კრწანისს, სადაც გიორგი სააკაძეა ჩამომხტარი.

ბააკა ხერხეულიძე. (შემოდის საჩქაროდ სცენაზედ, მიდის მოურავის საწოლის კართან, არახუნებს სიჩქარით და ძლიერად).—გიორგი მოურავო! გიორგი! გამოიღვიძე! ადექი ჩქარა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურავი. (შიგნიდამ).

ვინ არის?

ბააკა.

ჩქარა ადექ! გამოიხედე! მალე, გიორგი, თორემ დაიღუპე.

მოურავი.

ბააკავ, შენა? ეხლავ. რა ამბავია?

ბააკა.

ჩქარა, ჩქარა, უშველე შენს თავს! გამოიხედე.

მოურავი· (გამოვა ახალუხა, წუღებით, თავშიშველა).

რა იყო ბააკა? ასე ამდროს რამ გაგხარჯა?

ბააკა.

გამოდი! მოხურე კარი — არავინ დაგვინახოს. (მოურავი მოიხურავს კარს). უშველე შენს თავს, თორემ ეს არის ჯარი მოდის შენს დასაჭერად და ეხლავე გიპირებენ სიკვდილს მეფის ბრძანებით. მთელი ღამე სულ უძილოდ გელოდნენ. ეხლა გაიგეს შენი მოსვლა და მოდიან მრავალის ჯარებით. ეხლავ გასწი როგორც ხარ, თორემ ვედარას ფერს მოისწრებ. ჯარები ფეხდა-ფეხ მომდევენ. მშვიდობით! ახლა შენ იცი. აგერ ჯარების ფეხის ხმაც ისმის. ხომ ჰხედავ რა ახლოარიან. (გავარდება საჩქაროზედ).

მოურავი.

ჰყურობ!... ვაიმე, ცხენებიც არა მყავსან აქა. მაგრამ ჩემი ლურჯა აქვე ბაღში აბია. (გაექანება ბაღისკენ).

(სცენაზედ შემოდიან ჯარები თოფებითა დაშვილდისრებით. შემოდის შადიმან, მელიქ ათაბაგი, ბააკა, ხერხეულიძე და სხვა მრავალი დიდკაცობანი და ჯარების წინამძღომნი).

შადიმან.

შეამტვრიე, ბიჭო, კარები! (ჯარები აწვებიან კარებს და კარები ერთბაშად იღება). ეს რა ამბავია? ჰხედავ, როგორ კარებსაც დაუკეტელს უშვებს!.... შეიპყარით ქვეშაგებშივე და, თუ გაგიძალოვანდეთ, მაშინვე მოჰკალით. (ჯარი შედის სახლში).

რამდენიმე ჯარის კაცი (გამოდიან ოთახიდამ).

არა სჩანს აქ არ სად, ბატონო.

ბააკა.

კარგად მონახეთ, მაშ სად იქნება!

მელიქ ათაბაგი.

მიიმალებოდა სადმე. ჰაი, გიორგი მოურავო! არ ეკადრება შენითანა ვაჟკაცს თაროს უკან დამალვა. სად დაიმალები, სადა?!

შადიმან.

დაანგრიეთ! გადააქოთეთ მანდაურობა, სად წავა, სად?!

რამდენიმე ჯარის კაცი (გამოდიან კიდევ სახლიდამ).

სულ გადავაქოთეთ აქაურობა და არ სადა სჩანან.

შადიმან.

დაიჭირეთ ყველანი, ვინც სასახლეში არიან და მოიყვანეთ აქ. (ამ დროს ჯარის კაცებს შემოჰყავთ მოურავის მსახურთ-უხუცესი და ორი მსახური).

შადიმან.

რაიქნა თქვენი ბატონი? სად არის დამალული ეხლავე სთქვით, თორემ ყველას თავებს დაგაურევინებთ.

მსახურთ-უხუცესი.

ჩვენ თქვენს ხელთ გახლავართ და რასაც გვიზამთ—თქვენი ნებაა. მე მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ რაკი მოვახსენე ბატონი, მე გარეთ გიახელით დასაწოლად და იქ მეძინა. ეს არის ეხლა წამომაგდეს მძინარე და მომიყვანეს თქვენთან. რა იქნა ბატონი და რა არა, თქვენი რისხვაცა და ღვთის რისხვაცა მქონდეს, თუ ვიცოდე, ამის მეტი, რაც მოგახსენეთ.

შადიმან.

გაიყვანეთ და გააგდებინეთ თავი. ძეე ნუ იტყვის. (ჯარის კაცებს გაჰყავთ).

მსახურთ უხუცესი.

ბატონო, ტყუილად ჩემი ცოლშვილის ცოდოში ნუ სდგებით. სადაცა გნებავთ ფიცს მივიღებ, რომ მე არ ვიცოდე, სადა ბძანდება ეხლა მოურავი.

შადიმან.

გააგდებინეთ ეხლავე თავი. (გაჰყავთ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურთუხუცესი.

ბატონო, ცოდოს ტყუილად იდებთ.

შადიმან (გაშმაგებული).

გააგდებინეთ მეთქი თავი. (სხვებს). შეატყობინეთ მეფეს, რომ ახლავე მოვიდეს თითონაც სხვა ჯარებიც მოგვაშველოს. (მოუბრავის მსახურებს). თქვენ რაღას იტყვით?

ორივე მსახურნი.

ჩვენ რაღა უნდა მოგახსენოთ!

რამდენიმე ჯარის კაცნი (შემოაქვთ მსახუთ-უხუცესის თავი და დაასვენებენ შადიმანის წინ).

ღმერთმა გამარჯვება ნუ დაგიკლოსთ.

მელიქ ათაბაგი (მსახურებს).

რომ ჰხედავთ ამას?.. თუ სწორეს არ იტყვით, თქვენც ამ დღეს დაგაყენებთ. სად არის თქვენი ბატონი.

1-ლი მსახური.

თუ ვიცოდეთ და არ მოგახსენოთ, რაც თქვენი ნება იყოს ის გვიყავით. ბატონს აქ ეძინა, და ჩვენ სამეჯინიბოს კარზედ, აბა ჩვენ საიდამ გვეცოდინება, რა იქნა.

შადიმან (მეორე მსახურს).

შენ? შენ რაღას იტყვი?

2-რე მსახური.

მეც მაგას მოგახსენებ. ჩვენი ბატონის კაცები ტყუილის თქმას დაჩვეულები არ გახლავართ.

შადიმან.

დააყრევინეთ ამათაც თავები.

1-ლი მსახური.

დაგვაყრევინეთ! ერთს დღეს დავბადებულვართ და ერთ დღეს დავისოცებით. მაგრამ გახსოვდეს, შადიმან, რომ, თუ გიორგი მოურავი ცოცხალი დარჩა, მკირად დაგისვამს ჩვენს სიკვდილს.

2 მსახური.

ღალატით რომ მოხვედი ეგ კი არ არის ბიჭობა! ეგ დედიკაცის საკადრისია.

შადიმან. (გაშფოთებული).

გაიყვანეთ.

1 მსახური.

ჩვენ თითონაც გავალთ, მაგრამ გრცხვენოდეს, რომ მძინარეებს თავს დაგვესხი და უბრალოთ ახლა თავებს გვაჭრევინებ. მაგრამ შენცხით უკეთესი ვაჟკაცობა ვის უნახავს.

2 მსახური.

ფუი! შე არა კაცო! ნაცარქექიავ! მელიქით და მეფითა გაქვს განა დიდი გული? (გასდევენ გარეთ ჯარებსა).

მეფე. (შემოდის ამალითა და ჯარებით).

რაო, რა ამბავია?.

შადიმან.

მოურავი ველარ ვიპოვნეთ, თუ გაგვასწრო სადმე და დროთი ვერ დავიჭირეთ, ჩვენი საქმე ცუდად არის... საქართველოში აღარ გვედგომანება. (შემოაქვთ მოურავის მსახურის თავები და ახეთქებენ შადიმანისა და მეფის წინ).

თავების შემომტანები.

ღმერთმა ნუ დაგილიოსთ გამარჯვება.

მეფე.

ეს თავები რა ამბავია?

შადიმან.

მოურავის მსახურების თავებია, რათგანაც არ გვითხრეს სად არის მაგათი ბატონი დამალული.

(რამდენსამე ჯარის კაცს შემოჰყავს ერთი ბებერი დედაკაცი).

შადიმან.

ოჰ! ეგ სად იპოვნეთ?

1 ჯარის კაცი

კრუსის საბუდარში ჩამძვრალიყო.

მეფე.

დედი! კრუსის გოდორში რა გინდოდა?

ბებერი.

მე თათრის ჯარები მეგონა, დედაშვილობამა, და თურმე ჩვენი ქართველები კი ყოფილან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შადიმან.

შენი ბატონი რა იქნა?

ბებერი.

არ ვიცი, დედაშვილობამა. თქვენი მოსვლის წინ კი ვიღამაც დაურახუნა კარებს და დაუძახა. გავიდა ბატონი, და მერე აღარც შემოსულა და აღარცა, და თქვენც ხომ მაშინვე მობრძანდით.

შადიმან.

ხომ არ იცი ვინ დაუძახა?

ბებერი.

არ ვიცი, დედაშვილობამა! ერთი ეს კი გავიგონე რა გინდა ბაკაო, ბატონმა ჰკითხა. სხვა არა ვიცირა თქვენი სახის შვილები არ დამეხოცება.

შადიმან.

გვარი ხომ არ უხსენებია ბაკაკასი შენს ბატონსა?

ბებერი.

არა, დედაშვილობამა.

მელიქ ათაბაგი.

გაუშვით ეგა.

ბებერი.

ღმერთმა მიცოცხლოს თქვენი თავი. ღმერთმა ინებოს თქვენი გამარჯვება დე თქვენი დასმარება. (გადის).

შადიმან (მეფეს ყურში).

ჰხედავთ ბააკას? აკი მოგახსენეთ, რომ ეგ თქვენ ნუ გასწლავთ, მეთქი. თქვენ შეჰნიშნეთ, რომ ეგა და დედუფალიც როგორ სხვათვალით უყურებენ ერთმანერთსა. აი, ეგრე ძნელი გასწლავსთ, უგვარო, რომ მაგ ადგილას მიაღწევს. დედოფალი თავის გვირგვინს ხერხეულიძეს ანაცვალებდეს.!. ხულ სინსილც კი უნდა გავაწყვეტოთ მოურავის მისადევარისაც, რომ თქვენი სახელი და თქვენი გვირგვინი გაიწმინდოს ასე დამცრობისაგან...

მეფე.

ასის თავებო! გაიყვანეთ ხერხეულიძე, აჰყარეთ იარაღი, მოსჭერით ცხვირი დმ ჩააგდეთ საკანში. (ბააკა გაჰყავთ).

მელიქი.

უბრძან-თ, რომ კვლავე შეუკრან ყოველ მხრივ გზები მოურავს, რომ საქართველოდამ არსად გაგვასწროს, თორემ სულ დაჰღუპავს მთელს ქვეყანას.

მეფე.

ბოქაულთ უხუცესო! კვლავე გაგზავნეთ ყველგან კაცები, რომ შეუკრან ყველა გზები მოურავს. ვინც ან შეიპყრობს, ან მოჰკლავს მოურავს თავადი ან აზნაური იქნება, ას კომლს კაცს მივცემ, გლეხი და—ას თუმანსა.

შადიმან.

ჯარებო! აბა ყველანი მომყევით აქ მოურავი ცოლშვილისკენ წავიდოდა და თუ მარჯვეთ მოვიქცით, ვერ სად წაგვივა. (გადის. გასდევენ ჯარები საყვირისა და ნაღარის კვრით).

სცენა 4.

ტყიან მთის წვერზედ არის პატარა ტიტველა სერი, სადაც შემოდიან მოურავი ახალუხავე დაარტყია ხმალი, უჭირავს ორი პატარა თავისი შვილი; მოურავის ცოლი, რომელსაც უჭირავს ძუძუ მწოვარა ბავშვი, მოურავის ორი მოზდილი შვილი; მოურავის დედა, გამდლები ზოგი ბავშვებით და ზოგი ბოღჩებით, ორი ბიჭ-წვრიმალი რაგინდარით. ყველანი არიან აწეწილები და დაჭანცულები. სერზედ მოწყვეტილები დაეყრებიან. მოურავი გაჰყურებს სასახლისაკენ და არის ჩუმად.

თეკლე.

ვიმ! აი ჩვენი სამსახურის სანაცვლო! ცოფიანი ძაღლივით დაგვდევენ და სას ცად,. ღვაწლ შემოსილო, წმინდა ესტატევ. შენ მოგვხედე შენს მადლსა, და ნუ მაჩვენებ ჩემი წვრილშვილების უბედურებას,

ქეთევან.

რატომ არ მოვკვდი, მინამ ამ დღეს შევესწრებოდი. რა შევსცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე წაწყმენდილმა ღმერთს იხუთი, რომ ასეთი უცნაური მომივ-დინა.

პაპუნა ჩივაძე. (შემოდის).

ძლივს არ მოგაგენით: მოგდევთ გოწანისიდამა, და ვერსად მოგეწიეთ. ეს თქვენი იარაღი. (აძლევს მოურავს, რომელიც სულ ჩუმად არის). რა-მწამს თქვენ დამიძახეთ, მაშინვე გამოვიტანე სახლიდამ, და სხვა კი ვე-რარა მოვასწარი რა, რადგან ჯარი შემომერტყა. მეტის მეტი საცოდა-ვობა ვნახე: თქვენს მსახურთ — უსუკეს ქედივიძეს და ოთხს თქვენს მსახურთ ხოსეს და გაბრიელას თავები დააჭრევინეს. ბააკას ცხვირი, მოსჭრეს, მე იმისთანა ადგილას მომაწყვდიეს, რომ ვერ გამოვჩენილ-იყავ და ამას ყველას ვხედავდი. ბოლოს შემასწრეს თვალი და გამო-მეკიდნენ. ოთხი კაცი მომეწია, მაგრამ შენი თოფი ძლიერ გამომადგა. ერთი თოფით მოვკალ, ერთი იარაღით, ერთი ხმლით ავკაფე.....და ერ-თი კი გამექცა. იქიდამ ნოსტეზედ გამოვეჩქარე და კიდეც შავიდა მო-დიმანის ჯარები, შენს სასახლეში. პატარა ხანს უკან ტყიდამ ყური თქვენ სახლს მაგრამ თათარი არ იზამს იმ საქმეს, რასაც ჩვენი ქართველები სჩა-დიან. წაჭსდევიან ნაშოვარს და ჭლამის ერთმანეთი გაულიტონ. ერთი შიდიოდე ბიჭმა შემოიტანა ქალბატონის სკივრი ტყეში, მოუყვიდათ გაყოფაზედ ჩხუბი და ამ ჩხუბში ორი ამხანაგი მოკლეს. ასეთი ამბა-ვია, რომ ერთმანეთისა აღარა გაეგებათ. (შემოდის ოთხი მსახური მოურავისა.)

1 მსახური.

აი ბატონო, ეს ერთი თქვენი ივულის ყუთი როგორც იყო გა-მოვასწარი, მძიმე კი გახლავსთ და არ ვიცი — ოქროა თუ ვერცხლი. ასე-თი ამბავი გახლავსთ, რომ ერთი მეორეთ მოსვლაა თქვენს სახლში. თქვენი ზვარი, თქვენი ბაღი სულ გაჭკაფეს. სვიმონ მეფის დროს რომ თათრები შემოვიდნენ, ამათ არ უქნიათ ეს ამბავი.

2 მსახური.

მე კიდევ ეს ქალბატონის ტანისამოსი გამოვიტანე. მსახურებმა ყველამ გამოუსწრაოთ, მაგრამ თქვენი გამდელი მონავარდისა ჩაუვარ-დათ და მაშინვე ყელი გამოსჭრეს. ამისთანა ულმერთობას სჩადიან.

3 მსახური.

მე თქვენი ზოგი იარაღი გამოვასწორ. ესეც ძალიან გამოგვადგება. ოცი ტყვია მეტი დამადევნეს, მაგრამ გადურჩი, — მარტო ჩოხა გამოხვრიტეს სამგან. (უჩვენებს ჩოხას.)

4 მსახური.

მე მაშინვე ცხენებს ვეძგერე სათივეში. მაგრამ ორის მეტი ვერც ვიპოვნე და ვეღარც მოვასწარ. ყანებს ცეცხლი მოუკიდეს, სასიმინდეებს წყალი მისცეს და სათივეებში ცხენები შეუშვეს.

პაპუნა ჩივაძე.

მგონია სასახლეს ცეცხლი წაუკიდეს ამ ურჯულოებმა.

ყველანი. (წამოცვივიან)

სასახლე იწვის მართლა! (ალითან და თან ძლიერდება. ქალები დაიწყებენ წივილ—კივილს, კაცები ელდა ნაცემი წინა დგებიან და გაჰყურებენ პირ გამშრალნი.)

მოურავი.

მშვიდობით ამდენის წლის ნაამაგდარო სახლკარო და ქონებავ! მშვიდობით ჩემო ამაოთ დაღვრილო სისხლო და მწარე ოფლო! (გაბრუნდება და შევა ხშირს ტყეში.)

სცენა ნ̃

მცხეთის ხიდთან დგანან სამოცი კაცი ყარაულები. მტკვარი მოდიდებულია. სჩანს მცხეთის ეკლესიები. გარეშემო მთებია. ყარაულები ჯგუფ-ჯგუფად უსხედან ანთებულს ცეცხლს და ლაზღანდარობენ.

1. ყარაული

ჰაყო, რატომ არ მოგვდის აქამდის ღვინო, ლამის შუაღამე გადავიდეს, გიყია, ე მცხეთის მამასახლისი. ამ ცივ ღამეში რამ უნდა გაგვამთლებინოს. ჭყუროს/ოსური ზენა ქარი რარიგა წუწუნებს. თუ პატარა არ შევზარხოშდით, დიდ მოურავს არა და, კოლოტასთან ბებერსაც ვერ დავიჭერთ. ბერო! არაყი კი არ უთხარი?

2 ყარაული.

როგორ არა. აგერა, მგონი კიდეც მოაქვთ. ვიღაებიც კი ჩანან ხიდს გაღმა და.

ყარაულების უზბაში.

ბიჭო! გაღმა ვიღაებიცა ჩანან, ნახეთ: მოურავი ხომ არსაიდამ გაგვეპარა.

რამდენიმე ყარაული.

არა, მცხეთელები გახლავან, ვახშამი მოაქვთ.

უზბაში.

ვახშამი!.. თქვენი ოჯახის აშენებამ, ვითომც სააკაძის თავი მიგირთმევიათ მეფისთვისა და ასი თუმანი ჯიბეში ჩაგიჩხრიალებიათ.

3 ყარაული.

რატომა, შენი ჭირიმე, თავი დროზედ კარგი ვახშამიც კარგია. ხომ მოგეხსენება, ცარიელა ტომარა ზეზედ ვერ დადგებაო. მშიერ კაცს რა შეუძლიან.

(შემოდიან მცხეთელები და შემოაქვთ ვახშამი.)

1. მცხეთელი.

აქა მშვიდობა. ეს მოგართვათ მცხეთის მამასახლისმა. ბოდიში მოიხადა: საჩქაროთ მეტი ვერა მოგისწრო რაო.

უზბაში.

ღმერთმა ნურა დაანახოსრა თქვენს მამასახლისს!..ამ ერთიბეწვაშ რა უნდა გვიყოს ამოდენა ხალხს: ყლაპი ვქნათ ყლუპი აღარ გამოვა ჯერ, შვილო, სამოცი კაცით რა უნდა გავხდეთ იმისთანა ვეშაპ კაცთან, და მერე ისიც მშიერ გუნებაზედ, შვილო თუ ცოტა შეზარხოშებული არა ვართ და გული ღვინით არ გავიმაგრეთ, სულ თხებივით დაგვხოცავს, სვეტიცხოვლის მადლმა. იქნება იმან ჯერ არც კი იცის ვინა გვყავს დასაჭერი.

რამდენიმე ყარაული.

ღმერთმა ამოაგდოს მაგათი მამასახლისის ოჯახი, თუ პატარა ბლომად გამოეგზავნა ქ ღვინო და არაყი მაინც. მოვიდეს ახლა, თუ კაი თავი დედიშვილია, და იმან დაიჭიროს სააკაძე. თავი არ მომიკვდება შესაჭმელად არ ვეყოფით.

უზბაში.

განა, შვილო, მცხეთელებს ნამუსი გაქვთ! მოიტანეთ, ვქამოთ, რაც არი — ეგ არი. რას იზამ, შვილო, სამოცი მშიერი კაცით, რომელ მოურავ დაიჭერ. ამას სუყველაფერ ჩემი პირით მეფეს მოვახსენებ.

(ყარაულები გროვდებიან, სხდებიან და იწყებენ პურის ჭამას. ისმის ყოველ მხრივ: «დიდებაა ღმერთსა ღმერთო შენ გაუმარჯვე აქა ბრძანებლებსა, გვაშოვინე მოურავის თავი, ამოჭყლიტე ჩვენი მტერი და გაუმარჯვე ხაქრისტიანოსა.» ჩამოირიგებენ ორორჯერ არაყს.)

უზბაში (ცოტა შექეიფიანებული არაყისგან).

ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენ მეფეს, ბატონ ლუარსაბს. მე და ჩემა ღმერთმა, მაგითანა უხვი გამცემი მეფე სულაც არ იქნება. შარშანწინ ერთმა შადიმანის მსახურმა გაგცეული ჯერანი მოკლა ცხენ და ცხენ და იმაში აზნაურობა უწყალობა და ათი კომლი კაცი აჩუქა. (ჰსვამს ღვინოს, ყველანი ჰსმენ და მღერიან «მრავალჟამიერს».) ეგრე, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო, გამხიარულდით. როგორც იყვეს უნდა მეფის ბრძანება შევასრულოთ. ეგრე მოუვა სუყველას, ვინც უგვაროდ დაიწყებს დიდკაცობას. სააკაძე! სააკაძე ვინ არის, შვილოსა, განა არ ვიცნობთ. ჩვენზედ უფრო დაცემული აზნაური იყო მაგისი მამა. მაგის ბიძაშვილები არ არიან შიმშილით კუჭი უხმებათ. ვიზედ რა დიდი კაცია. ერთი ხუთი კომლი კაცი უშოვნია და მეფობასა ჩემობს.....ეს ღმერთმა გაუმარჯოს, ვინც პირველი გაუტარებს სააკაძეს გულისპირში ხანჯალსა.

ყველანი.

ამიინ! (ჰსმენ.)

ერთი ყარაული.

ვაყო! მოურავის მამა მამაჩემს არა სჯობდა, განა არ ვიცი რაც არიან. ეს არი მაგას, შვილო, კლავი უჭრის, და იმისი დიდი გული აქვს, თორემ—სააკაძე არ არი!

მეორე ყარაული.

კიდეც ეგ არი, შვილო, რომ კლავი უჭრის; ჰხედავ როგორ ყველას ეშინიან მაგისი.

უზბაში.

ეშინიან რა, შვილო, - ერთი თავზედ ხელ აღებულია და ეშინიანთ. აბა, შვილო, თუ კაი ბიჭია, რატომ ეხლა არ ეომება მეფეს.

უცხო კაცი (შემოდის).

აქა მშვიდობა და გამარჯვება. აბა ეგრე, თქვენი ჭირიმეთ, ეგრე იფხიზლეთ აი. ეს არის ეხლა მეფემ გამოგზავნა და ბრძანა, რომ ვინც მოურავის თავს მოიტანს ას თუმანზედ კიდევ სამოცსაც სხვას დავადებო. კიდევ ბრძანა, რომ იმის ხარჯზედ კარგად დაგისხდეთ ამაღამ და კარგი ქეიფი გაგაწყვინოთ. მხოლოდ ეს დამავედრა, რომ ეს ერთი ღამე როგორც იყვეს ყველამ იფხიზლეთო, და თქვენს სამსახურ-მაინცა და მაინც არ დავივიწყებო. ღვინო გაქვთ სამყოფი თუ არა?

რამდენიმე ხმა.

აღარ გასძლავთ. მამასახლისს ცოტა გამოუგზავნა.

უცხო კაცი (ამოიღებს ქისით ფულს).

აჰა და იმდენი ღვინო და არაყი მოიტანეთ, რომ სულ თავზედ სასხმელი იყვეს. მეც ამაღამ თქვენი წვეული ვარ. მეფემ და შაჰიმანმა მიბრძანეს, რომ მე თითონ გაფხიზლოთ დილამდის.

ყარაულები (წყვირიან და მაღლა ქუდებს ისვრიან).

ჩვენს დიდებულს მეფეს გაუმარჯოს!

უცხო კაცი.

ღმერთმა თქვენც გაგიმარჯოთ. მეფის ერთგული კაცი ყოველთვის გამარჯვებულია. უზბაშო, აბა მალე უბრძანე სასმელების მოტანა და სხვაც რაც საჭირო იყვეს. ამაღამ რჯულზედ უნდა დავლიოთ.

უზბაში.

აბა, ბიჭებო, ამ დუქნიდამვე მოიტანეთ. ჩქარა. (უცხო კაცს.) მინამ, თუ უკაცრავოდ არ გახლდებით და გვიკადრებთ, ჩვენი ღვინო მიირთვით.

უცხო კაცი.

დიდის სიამოვნებით. ღვინო სულ ღვინოა. (უჯდება უზბაშს გვერდით.)

უზბაში.

ბიჭო! ხან და ხან ცხენებსაც მიჰხედეთ ხოლმე, რომ არ აუშვენ და ვინიცობაა როგორ იყვეს, მაშინვე ზედ მოვასხსდეთ. მედუქნეს უთხარით, თივა გამოგვიგზავნოს ე ჩვენი დიდებული მეფის ნაწყალობები ფულით. ღმერთმა გაამრიელოს ჩვენი მეფე, თორემ იმის ერთგულსა და მოსამსახურეს არა გაუჭირდება-რა თავის დღეში.

უცხო კაცი.

ოღონდა—და, უზბაშო. ისეთი მწყალობელი ბრძანდება ჩვენი მეფე, რომ თავის პირით მიბრძანა წამოსვლის დროს, რომ თუ არ დაიჭერენ, არ მოჰკლავენ მოურავს, აზნაური იქნება—თავადობას მივცემო, თუ გლეხი და აზნაურობასაო და ყმებსაც კიდევ ვაჩუქებო.

ყველანი.

ღმერთმა გაამრიელოს! გაამრიელოს!..(შემოაქვსთ ტიკებით ღვინო, არაყი, ყველი, პური, ხმელი თევზი და სხვა.)

უცხო კაცი.

აბა შეექეცით.

უზბაში (ივსებს ჯამს).

ეს ღმერთმა გაამრიელოს ჩვენი მწყალობელი ხელმწიფე ბატონი ლუარსაბი. (ჰსვამს).

ყველანი (ყვირიან).

გაამრიელოს! (ჰსმენ ჯამებით).

უზბაში.

ალავერდი თქვენთან, ბატონო მეფის პირო. უკაცრავათ, შენიჭირიმე, რომ თქვენი სახელი არ ვიცი, მაგრამ სულ ერთია: რაკი მეფისგანა ბრძანდები, მეფის თანასწორ უნდა გცეთ პატივი.

უცხო კაცი.

იასშიოლ. პრომტი, შენიჭირიმე. (ჰკოცნიან ერთმანეთს). ე მაგისთვის მიყვარს შენისთანა დარდიმანდი კაცი, აი! შენისთანა ერთი ორი ძმა-ბიჭი რომ მომცა, მოურავ კი არა—ყეენს დავიჭერდი. (ჰსვამს). ასე მტერი დაეცალოს ჩვენს მეფეს. (ამხობს პირქვე ჯამს). აბა ბიჭებო, სულ ესე უსუნთქლივ უნდა დაჰლიოთ, აი!

ყარაულები.

ბატონი მეფის წყალობა იყვეს, თორემ ხმისა კი ჩვენ გვცით. (ყველანი უსუნთქლივ ჴსმენ).

უცხო კაცი. (ისხამს ჯამზედ ცოტა ღვინოს).

ეს ღმერთმა აღდეგრძელოს მეფის დედა—დედუფალი. თუ ის არა ყოფილიყო, ჩვენ დღეს ამისთანა მეფე არ გვეყოლებოდა, მე და ჩემმა ღმერთმა. (ჴსვამს უსუნთქლივ). ალავერდი შენთა, უზბაშო. თავი მომიკვდეს, თუ ისეთი საქმე არ გიყო მე შენა, რომ თავის დღეში არ მოელოდე. მამა ჩემი არ წამიწყდება, ისე გაგიკეთო მეფესთან საქმე, რომ შენს მეტი ხალაპარაკო აღარა ვინა ჴყავდეთ. შენ იქნება არ მიცნობ მე ვინცა ვარ, და როცა გაიგებ ჩემს ვინაობას, იტყვი, რომ ის სწორე ის არა ყოფილა, ვინც მე მეგონაო. უყურე რა მადლობა გითხრას მეფემ ჩემი გულისთვისა.

უზბაში.

ღმერთმა მიდღეგძელოს შენი თავიცა და ჩვენი მეფეცა. ვიცი, რომ—ერთი დაცემული აზნაური ვარ და—შეაბრალებ ჩემს თავს მეფესა. (ჩამოართმევს სავსე ჯამს და ჴსვამს უსუნთქლივ.)

ყარაულები

(ხმენ, რაც შეუძლიანთ სავსე ჯამებითა, და შეზარხოშებულნი მღერიან).

სულ მრთლათ გაუოხრებიათ
გალმა გამოღმა სოფლები,
დედ-მამა დაუტყვევნიათ,
გაუყლეტიათ ობლები,
სახნავ – სათესი დაუწვამთ,
სისხლით დაურწყავთ მინდვრები...,,

უზბაში (ავსებს ჯამს).

ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ქ მეფის დიდებული პირი, რომელმაც დღეს ჩვენ გვიკადრა და გაერია ჩვენში. აბა, ბიჭებო! უსუნთქლივ! მე და ჩემმა ღმერთმა ჩვენ ამდენ ღვინოსა და ამისთანა ვასშამს სულაც ვერა ვნახავდით, თუ ეს არა ბრძანებულიყო. (ჴსვამს სავ-

სე ჯამს და ამბობს «მრავალ ჟამიერ». ყარაულები ჰსმენ და ბანს ეუბნებიან).

უცხო კაცი.

ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი მეფის ერთგული, უზბაში. მოდი ერთი კიდევ ჩაგპრომშტო, უზბაშო. (მოეხვევიან და ერთმანეთსა ჰკოცნიან). აბა პრომშტი ამასა ჰქვიან, აი. (ჰსვამს ნახევრათ ჯამს და უვსებს უზბაშსა. მერე მღერის).

ვსთქვათ ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია,
რა უთქვამს, რა მიუჩმახავს რა წიგნი მოუწერია.

(უზბაში ეუბნება მიმასხილს და რამდენიმე ყარაული ბანს).

უზბაში. (სვამს სავსე ჯამსა).

რომ გაიძახიან, მოურავიო! ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც მოურავს შეუშინდეს: ისიც ჩვენსავით ქართველი კაცი არ არის: ლეკი არ არის და თათარი.

უცხო კაცი.

აბა! ნეტავი კაცს მაინცა ჰგვანდეს. სახელი აქვს ცარიელი.

რამდენიმე ყარაული. (მღერიან დამთვრალები).

— აბა, ბიჭო, და . . . .

ტივია ფიჭვის ხისაო,
ორთაყვირები დავასხი,
მოსასმელია წყლისაო....
ბატონი დიდ-მოურავი
მუჭუჭში არის მტრისაო:
სადაც მტრის სახელს გაიგებს
სისხლში მოუგლის ცხვირსაო,
მაზედ ატირებს ცოლშვილსა
და დედას გაგლეჯილსაო.
იმისი ბადალი კაცი
არ არის ქვეყნის პირსაო:
ქვრივ-ობოლ—გლახას იწყნარებს
და გლეხ-კაცსა სჭამს ჭირსო.
იმის მტერი და მოშურნე

მოკლებულის ძილსა,
სულ იმას ჰფიქრობს: «რაღა ვქნა,
«რა უყო გიორგისა.»
გიორგის ვერას დააკლებ:
მკლავი მიუგავს გმირსა,
და ალალო, ალალაალოო...»

ერთ მომღერალთ.

ჩვენ რო მოურავი დავიჭირეთ, მე შენ მოგახსენო ძალიან ბიჭობა იქნება....

უზბაში (დამთვრალი).

თავი მომიკვდეს,, ეს მოურავი ცოცხალი არ მივგვარო მეფეს. მე როგორღაც გული მითქვამს, რომ ჩემი ხელით უნდა დავიჭირო. იმისი ბიჭობაა გათქმული, მაგრამ ჯერ ჩემიც არ უნახავს იმას. ვაი დედი ჩემი ღმერთსა! მეფის ბრძანება იყოს და გაუშვა ხელიდამ. ისე ღორივით უნდა მოვსჭრა თავი და ისე მივართვა მეფესა.

უცხო კაცი.

აი, შენი იმედის ჭირიმე, შენი. ტყუილად კი არა ბრძანა მეფემ, რომ ისეთი უზბაშიაო, რომ მარტო ისიც ეყოფა მოურავსაო.

უზბაში.

აი, ვენაცვალე ი მეფეს შიგ სულშია. თუ ეგ ტყუილი იყოს, თავი მომიკვდეს. მე შენ მოგახსენო, რომ მოურავი... სულ არაფერი...

უცხო კაცი.

ეგრე მომეცი იმედი, აი!.. მოდი მე და შენ ერთი იმ ღმერთის სადღეგრძელო დავლიოთ, რომელმაც ღმერთმა შენ მაგისთანა გაჰკაცის გული ჩაგიდო. ბიჭებო? ეს იმას სადღეგრძელო იყოს, რამაც ღმერთმა ამისთანა უზბაში მოგცათ. (ჰსვამს ჯამს ნახევრათ). აი, ასე უნდა დასცალოთ, აი (მოაქცევს ჯამს პირქვე.) მე და ჩემმა ღმერთმა ამისთანა უზბაშს თავის დღეში ვერ იშოვნიდით. სწორედ გავაკეთებინებ მეფეს ამას. ერთი კიდევ პროშტი (ჰკოცნის უზბაშსა.)

(ყარაულები სმენ, ჰყვირიან რაღასაც გაუგებრივ და აირევიან ზოგნი.)

უცხო კაცი. (გაავსებს ჯამს).

აბა ახლა სამადლობელი დალიე.

უზბაში.

დიახაც და დავლევ. მეფის წყალობას რატომ არ დავლევ! დავლევ არა და ჯანსაც გავიგდებინებ....ეს ვისი სადღეგრძელო გახლავსთ?

უცხო კაცი.

შენი სამადლობელია.

უზბაში.

ღმერთმა ბევრი კარგი გათქმევინოს. მადლობა მომიხსენებია. (იწაფებს ზიზღით, ძლივს სცლის და მირს ახეთქებს ჯამს). ესე მტერი დაგეცალოს... აი, იმ ღმერთ კი ვენაცვალე, რამაც ღმერთმა შენ ჩვენთან...გესმის...გამოგზავნა..მეოქი. (ეხვევა უცხო კაცს და ჰკოცნის). ერთი მომგვარე ი მოურავი აქა და...გიჩვენებ რაც ბიჭი ვარ... ეი! მოურავო!... გამოდი სადაცასა ხარ დამალული და...ვაი, შენი ღმერთების ჭირიმე!... (ეხვევა კიდევ უცხო კაცს). (ყარაულებში ისმის არეული სიმღერა. ამათში ზოგი მთვრალი იქვე ეყრებიან და იძინებენ, ზოგნი კიდევ სმენ).

უცხო კაცი.

უზბაშო, ერთი სადღეგრძელო კიდევ გვაკლია მე და შენ. მე და ჩემმა ღმერთმა სირცხვილია, რომ დავივიწყეთ. იმის მამულში ვდგევართ, მეფის დარი კაცია და კი არ მოვაგონდა. ბატონი ქათალიკოზის სადღეგრძელო. ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს სულიერს მამას ქათალიკოზსა. (იწაფებს ცარიელს ჯამს). ესე მტერი დაგეცალოს. ალავერდი შენთან, უზბაშო.

უზბაში.

მე! მე და ჩემმა ღმერთმა, რომ... მაან... ეშხში... ახლა უნდა მოურავი დავიჭირო...

უცხო კაცი.

ქათალიკოზის ლოცვა-კურთხევა თუ არ გვქნება, მოურავს არა, ჭ იმისი მსახურიც რომ ხელში გვყავდეს—ხელიდამ წაგვა... მეფეზედ კიდევ ქათალიკოზი უფრო საჭიროა ქვეყნისთვის..

უზბაში.

სწორე ბრძანებაა... ქათალიკოზი! მე შენ მოგახსენო მაან... კაცია... ჰმე!... სულიერი მეფეა. (ჩამოართმევს პირამდინ სავსე ჯამს)

ეს ღმერთმა ადღეგრძელოს... ღვთის-მშობელი იყვეს ჩვენი... შემ-წე... არა... აღარ შემიძლიან... ჰმუ.. როგორ არ შემიძლიან!... უნ-და მოვკვდე და დავლიო. (იწაფებს, მოჰხვამს ტოტათი და დასხდგამს)... რომ ვამბობ აღარა, მეთქი. ჰმუ!... (ადგება ბარბაცით). ეი მოურავო?. გამოდი ერთი შენი ღმერთების ჭირიმე... (უცხო კაცს). ნურას უკაც-რავად, შენი ჭირიმე, თუ ჩემი უგუნური თავით.... მეფისა და შენი წყალობა უხვად...ხომ მოგეხსენება... მაან გუნებაზედა ვარ...ჰმუმ! ჰმუმ! ეი! ბიჭებო! მოურავი, მეთქი... (უცხო კაცს). შენმა მზემ, დიდებუ-ლო... მეფეო... ამაღამ უნდა მოურავი დავიჭირო... თავს მეფეს მო-ვართმევ... ფეხებს შადიმანსა... მე შენ მოგახსენო... რომ შადიმანიც არაფერი... ეჰ! მოურავო!.. ბიჭო, ე ნაბადი მომიტა... უნდა პატარა თვალი მოვატყუო... (მიეგდება ბუჩქის ძირას ცარიელს ადგილზე). ამა-ღამ არავინ უნდა დაიძინოთ... (იძინებს).

(ყარაულებსს ყველას სძინავს ერთი რვა ოდე კაცს გარდა. ამათ-ში ზოგნი ფეხზედა დგანან და აპირებენ ისინიც სადმე ადგილის გა-მორჩევას, რომ დაიძინონ, ზოგნი ისევ სხედან, მღერიან და სმენ).

1 ყარაული.

დალიე, შვილოსა, მეფის წყალობაა....

2 ყარაული.

ჯერ, შვილო, შენც ჩემ ხელად მოიყარე... ორი გავლის...

უცხო კაცი. (მიდის სადაც ყარაულების ცხენები აბია).

აჰმუ! აჰმუ!.. (ახვლებს. გამოდის სამი კაცი ტყიდამ). ამოარჩიეთ, რომლებიც უფრო კარგი ცხენები იყვეს. (არჩევენ დამიჰყავთ სარქაროზედ). ეს რაც დარჩნენ, იმათაც ეხლავე დავაძინებ: ძალზედ მთვრალები არიან. ფონსაც ეხლავე გავშინჯავ. ხიდზედ არ გაისვლება; რათგან სულ ზედა სძინავთ. გათენებამდის უნდა წყალს გავიდეთ და გავასწრათ მძინარე მცხეთელებს, თორემ მერე სახიფათო იქნება. (ცხენოსნები შევლენ ტყეში).

1 ყარაული.

შვილოსა! ე რაღაცა ცხენის ფეხის ხმა მესმის, თითქო... ეგე-ბის მოურავი იყვეს.

2 ყარაული.

შენ ესლა, ძმავ, ნეტავი წმინდა გიორგიც არ მოგვეშველოს... მოურავიც რო იყვეს, შვილო, რა ძალა შეგიძლიან... მე შენ გითხრა, ნუ მოინდომებს მოურავი, თორემ... არ იციან ჯერ იმი უნარები....

1 ყარაული.

შენ თუ გეშინიან, შვილო, იმასი... თორემ, თავი არ მომივდება, იქნება რომ სულაც არაფერი...

3 ყარაული.

ამაღამ სულ ასე უნდა ვსვათ... თუ ჩვენ მოურავი წაგვივიდეს... მაშ ჩემი ბრალი იყვეს... ერთი უყურეთ!... (იჩვენებს დაძინებულ ყარაულებზედ). როგორი ჭერასხმივითა ყრიან... მეფე წყალობას უშვრება და ესენი კი ძილს უნდებიან, თითქო ველარ მოესწრებიანო!..

4 ყარაული.

გამიგონეთ... ძმავ... მოურავი რომ დავიჭიროთ, მაგათ წილს ნულარ დაუდებთ... დეე დაიძინონ.

5 ყარაული.

უთუოდ დავიჭერთ, თავი არ მომიკვდება... მე ისე მიცვნია, რომ უნდა დავიჭიროთ...

უცხო კაცი. (მიდის იმათთან).

აბა, ბიჭებო! ეგრე იფხიზლეთ, თქვენი ჭირიმე, აი... აბა ერთი დამისხი, ესლა ე თქვენი ღვინისა დავლიო. (აძლევენ სავსე ჯამს). აბა, ძმებო! ეს ღმერთმა თქვენც გაგიმარჯოთ, მოგცეთ მეფისა და ქვეყნის ერთგულება. (ჰსვამს).

1 ყარაული.

აი, შენი ღმერთის ჭირიმე!.. აბა ერთი, ბიჭო, ახლა მე დამისხი. (უსხამენ და ჰსვამს სავსე ჯამს. ჰსმენ ყველანი და არეულად მღერიან «მრავალჟამიერს»).

უცხო კაცი.

აბა ახლა, მე რაღა დაგიშავეთ. ერთი ჩემი სადღეგრძელოც დალიეთ.

2 ყარაული.

მე და ჩემმა ღმერთმა!.. ჩვენი მაინძელი დღეს შენა ხარ, ეს ღმერთმა გადღეგძელოს შენა, შენი და მეფის წყალობა ნუ მოგვაკლოს. (იწაფებს სავსე ჯამს და უჭირდება).

3 ყარაული.

ასწი, ასწი, შვილოსა!.. ამითანა კაცის სადღეგძელო უსუნთქლივ უნდა დალიო...

2 ყარაული.

ჰაან... ემქნა, მე შენ გეტყვი... მაგარი ღვინოა... მე ქეგვური მეგონა.

3 ყარაული.

ასწი!... ქეგვური კი არა — ხემწიფის წყალობაა.

2 ყარაული. (იწაფებს ზიზღით და ჰსვამს).

ესე მტერი დაგეცალოს. (წამოდგება და იქვე მიეგდება დასაძინებლად).

(ჰსმენ სხვებიც: ზოგი სავსეს და ზოგი ნახევრობამდის ძ რამდენიმე კაცი იქვე ეყრებიან დასაძინებლად).

1 ყარაული.

ამაღამ, თუ მოურავი არ დავიჭირო, ბიჭი არა ვყოფილვარ. (ეძებს დასაძინებლად ადგილს.) ეი, ბიჭო! ე ცხენებს ... არავინ დაგვპაროს... კარგად იფხიზლეთ, შვილოსა... ცხენები... მაგი მეტი რადა გაბარია... (მიწვება და იძინებს.)

უცხო კაცი.

მოდი ერთი თითო კიდევ დავლიოთ. ღვთის მადლით მეფის წყალობა კიდევ ბევრი გვაქვს.

5 ყარაული.

დიახაცა და დავლიოთ!.. ღმერთმა ნუ მოგვაკლოს მეფის წყალობა...

უცხო კაცი (ისხამს ნახევრობამდის ჯამს).

ეს ღმერთმა გაუმარჯვოს იმას, ვინც მოურავის თავს მიართმევს მეფეს! (ჰსვამს) ალავერდი შენთან. (ავსებს ჯამს და აძლევს).

5 ყარაული (ჩამოართმევს ჯამს).

იალხშიო. ეს ღმერთმა გადღეგრძელოს შენა. ვინცა ხარ... ვინც უნდა იყვე, მე და ჩემმა... შენ, შვილო, თუ კაი კაცი იყვე—მე აღარა მწამს რა... ჩვენ სუყველანი დავთვერით და შენ კი არა... შენ, შვილოსა, ან პაპუნა ჩივაძე ხარ, ან პაპუნა ვაშაყაშვილი... იქნება მოურავიცა ხარ... ვინ იცის... და განგებ დაგვათვრე... რამდენი ეშმაკობაა ქვეყანაზედ... ვინც უნდა იყვეს, ღმერთმა გადღეგრძელოს, როგორც გვემართლებოდე. (იწაფებს. პატარას მოჰსვამს და ისევ მოიხსნის). თუ მოურავი ხარ, შვილოსა, სწორეთა თქვი... შორს ნუღარ წაგვიყვან... წელანვე რომ დავინახე—არ მომეწონე... ღვინო რომ არ მოგეტანინებინა... შენ, შვილო, კოჭებში გეტყობა... ქრისტიანი სული არ გიდგია... ჯაც როგორ არ ვიცნობ... (იწაფებს კიდევ ჯამს და ისევ მოიღსნის). ამაღამ ასე იყვეს.... ამას როგორც იქნება დავლევ... სვალ კი მე და შენობა აღარ იქნება. (იწაფებს და სცლის ჯამს). ეს არის. (გადმოაბრუნებს და სწრეტავს). ასე არა თქვა, რომ ვერ დასცალაო. (მიდის დასამინებლად). ეი, ბიჭებო!... ჩვენ მოურავი ხელში გვყავს... დაჭერილი... ახლა თქვენ იცით... მე ასე მითქვამს. (მიეგდება და დაიძინებს).

უცხო კაცი. (დაათვალიერებს ყველას).

კარგა სძინავთ. შენს მტერს ნუ გაუღვიძნია —სვალ შუადღემდის ამათ ვერ გაიღვიძონ. წავიდე ფონი დავათვალიერო. არ დაიგვიანონ მაინც, თორემ აგერ სადაა ინათებს. ეს ერთი რატო ასე ამიტყდა! პაპუნა ჩივაძეო, რომა სთქვა, ვთქვი ეს არის მიცნა, მეთქი. ხმათვრალით მოუვიდა, თორემ ფხიზელი მაგას თავის დღეში ვერ იფიქრებდა... რასაკვირველია, ახლა ეგენი მოურავს დაიჭერენ. აბა აგრეა ქართველი კაცის საქმე: უღვინოდ არ ვარგა, თუ ღვინო ნახა და თავს შიგ ჩაირჩობს... (გადის).

სცენა. 6

სახლი ნუგზარ ერისთვისა ბაზალეთს. სცენაზედ არიან ნუგზარ და სამი კობიაშვილი.

ნუგზარ.

მელიქისა და შადიმანისგან ეს უნდა მომივიდეს! მე ჩემის ფიქრით ვგონებდი, რომ მეფე შადიმანშიაც, და მთლად ბარათაანთშიც არ გამცვლის, მეთქი. ეგ არის: მაშ ჩვენი პატრონ-ყმობა და მამაშვილობა არა ნდომებია, და მაშ დეე ბარათაანთი და მელიქიანთ მეფე იყვეს მარტო. მე ჩემზედ მრისხანე პატრონს არ ვიპატრონებ. ჩემი სიძის გაწყრომა — ჩემი გაწყრომაა, თუ ესმოდეს ეს იმასა. ალბათ ჩემზედაც მრისხანე იქნება, რაკი გოგოჩუა შადიმანს უნებებია. მაშ ამას იქით რაც მოხდეს, ბარათაანთ ბრალი იყვეს. ესლავე წადი შენა სამ და შეჰყარე სულ კაცნი მთიულისანი, მოხევენი და გუდამაყარნი; დამიძახე ჩემს არაგველთა. უთხარ რომ მართალია დაბერდა ნუგზარ, მაგრამ გული ისევ რვალისანი უდევსთქო. შეჰყარე მთლად ჩემი საყმო: აზნაურნი და გლეხნი, მოხუცებულნი და ყრმანი. უთხარი, რომ თქვენმა ნუგზარმა კიდევ მოჰკიდა ხმალს ხელი მტერთა გასამუსრავათ, თქო. აგავსებთ ყველას ნადავლითა და ნაშოვრითა, თქო. ნუ დავაყენებთ ხმალთა ჩვენთა, და ნუ დავემსგავსებით დიაცთა: არა ჰშვენის ჩვენებრ კაცთა, რომ იმდენს ხანს არ ვაცნობდეთ თავთა მტერთა ჩვენთა, თქო. დავლიოთ სისხლნი მტრისანი და მოვფინოთ მკვდარნი მათნი ველთა და მთათა მათდა ცოდვილის სავალალოთა, რომ სცნას ყველამა, რომ ჩვენებრ გმირთა მტრად ასევა არავის ხელს არ მისცემს, თქო. შეჰყარე ყველანი და მაშინ ვაცნობებთ ვინც გაუხდიათ იმათ მტრად..

მოურავი. (შემოდის).

ჩემო სიმამრო, დავეჩქაროთ გაცლა, თორემ მე რომ შადიმანის ამბავი ვიცი, აქ მოგვიხდებიან და აღარავის დაგვზოგვენ.

ნუგზარ.

მაშ შენ დედაკაცის ჩიქილა უნდა დამხურო, რაღა, რომ ჩემი სახლიდამ უსისხლოდ ვისმე გავეცალო! მოურავო! მე შენ ჩემ სიძედ ვე-

ლარ გიცნობ. ისე როგორ უნდა დავიჯაბნეთ შადიმანისგან, რომ იმისგან შეშინებული გავრბოდეთ.

მოურავი.

ხომ გაგიგონია: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კაცისა მამაცისგანაო? დღეს შადიმანის დროა და უნდა გავეცალნეთ. ეხლა ჩვენ აღარა შეგვიძლიან რა. მინამ შენ შენს საყმოს დაუმასხებდე, მინამ მეფის ჯარები ღორებივით თავებს დაგვჭრიან.

ნუგზარ.

ისე არა მყავს ჩემი საყმო დაგეშილი, რომ სამს დღეზედ სულ ფეხზედ არ დავაყენო.

მოურავი.

სამს დღეს კი არა, მე ყოველს წუთს მოველი აქ მეფის ჯარებს.

მსახური ნუგზარისა. (შემოვარდება დაქანცული).

ბატონო, ნუგზარ! უბედურება რამა გწვევია. თუ არ უშველე შენს თავსა. მეფე შენზედ გარისხებული რასმე ყოფილა. შემოესია თმა უმრავლესი ჯარი მეფისა შენს საყმოს ნაოზას, და ვინც გაასწრო, ხომ ღმერთმა უშველა, ვინც არა და აღარავინ ცოცხალი არ გაუშვეს. ჯერ ააოხრეს მთელი სოფელი და გამოიტანეს რაც რამ მოიპოვებოდა, მერე ადგნენ და სულ მთლად ცეცხლი წაუკიდეს და ჰქლამოდნენ აქეთ წამოსვლასა.

ნუგზარ.

მეფემ ჩემი ნაოზელები დამიწიოკა?! სად არის ჩემი ჯავარი? დამიძახეთ ჩემთა მსახურთა და ბაზალელებთა... ჩემი ნაოზის გაოხრება უნდა ვისმე შევარჩინო!

მოურავი.

რა დროს ეგ არის... რას გაჰხდები შენის მსახურებით და ბაზალელებით... უშველოთ ჩქარა ჩვენს თავს... ხაამ, მანამ შენ, ვინც შეგხვდეს შეჰკრიბე და ეგება სადმე ვიწროებში ჩაუჯდე და როგორც შენგან ვიცოდე, გაისარჯე—ეგება რამდენსამე ხანს მაინც შეაყენო მეფის ჯარი. (ბიჭს.) შენ გადი და უთხარი, რომ ეხლავე მოგვგვარონ ცხენები. ქალები და ყმაწვილები შეიკრიბნენ საჩქაროდ.

სამ

მაშ სამ მოკვდეს, თუ თქვენი თავი უსიკვდილოდ დაანებოთ ვისმე. (მოისვამს ხმალს ხელს).

მოურავი.

პაპუნა ჩივაძე ნაოზისკენ იყო დასაზვერად, იქნება ისიც შეგხვდეს და თან წაიყვანე... ოჰო! აი პაპუნასთან ნამყოფი ბიჭიც! რაო, თევდორე?

თევდორე. (მთლად სისხლში მოსვრილი და მკლავ ჩამოვარდნილი შემოვარდება).

ბატონო, ჩქარა უშველეთ თქვენს თავს, თორემ მოდის ჯარი. პაპუნამ მე თქვენთან გამამგზავნა შესატყობინებლად და თითონ კიდევ ჩაუჯდა ნაოზელებით ვიწროებში. შვიდი რვა ბიჭი მოგვიკლეს...

მოურავი (სამს).

აბა, სამ, შენი ჭირიმე მიეშველე შენც პაპუნას. (სამ გარბის). თევდორევ, ჩქარა ცხენები.

მსახური ნუგზარისა. (შემოდის).

ცხენები მზად გახლავთ. ქალები და ბიჭები შეგროვილები არიან და თქვენ გელიან.

ნუგზარ.

უომარი უნდა გავიდე ჩემი საყმოდამ და ჩემი ოჯახიდამ?!.. მაშ ნურც მომკვდარა მოხუცებული ნუგზარ, რომ არ გამაძღვარიყავს ერთი თავისებურად მაგათის სისხლითა... წამიყვანე, ჩემო სიძევ, სადაც მინდოდეს,—დღეს შენი ჭკუა სჯობიან ბებერი ნუგზარის ჭკუას. ჩემს ჭარმაგობაში მე ეგენი მაგას ვერ მიზამდნენ... (ამდროს ისმის შორიდამ თოფის სროლის ხმა).

მოურავი.

არიქა! ჯარი მოვიდა. (მიდის მოურავი. ნუგზარ მოისვამს ხანჯალზედ ხელს და მიდის).

(თოფების ხმა თან და თან ახლოს მოდის, ისმის ყიჟინისა, დაფ-დაფებისა და საყვირების ხმა. პატარას ხანს უკან შემოცვივიან სცენაზედ პაპუნა ჩივაძე და სამ კობიაშვილი სულ მთლად სისხლში მოსვრილები. ამათ შემოსდევენ თან მეფის ჯარები ყიჟინით. ისინი გარბიან მეორე კარით,-

შადიმან. (შემოდის).

დაჰხოცეთ, ვისაც მოასწროთ! ნურავის ნუ დაჰზოგავთ. რადგან მოურავსა და ნუგზარს გაუსწვრიათ, ჯარების წინამძღომელნო, შედით თქვენის ჯარებით ნუგზარის საყმოში და სულ მთლად მოაოხრეთ, რომ ნატამალი, ქვა-ქვაზედ აღარ გაუშვათ. დახოცეთ და გაჟლიტეთ, ვისაც მოასწროთ, რომ დაზოგვა არავისი აღარ იყვეს. ნადავლი სულ ჯარებისთვის მიწყალობებია. (ჯარები გადიან. გადის შადიმანიც).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ვარსკვლავს.

ჩემო ვარსკვლავო, მწუხარეს გულით
შენ შემოგცქერი ყოველს ჟამსა;
შენსა ბედზედა ვაებით, ჭმუნვით
მგოდავ და ვსტირი—ვღვრი ცხარე ცრემლსა!

შენზედ, მნათობო, ყველა სულდგმული
მოსთქმიდა ისე აღტაცებულად,
რომელსაც ეხლა მე დაჩაგრული
ვერც მოვიაზრებ, ვერც ვნახავ სიზმრად.

რა უყავ, ტურფავ, შენი სხივები,
რომლითაც ყველა მხიარულებდნენ,
რომელთაც ჩვენი მამა-პაპები
ქორივას აკვანში გაგვაცნობებდნენ?

ვიცი, მნათობო, შენი სხივები
ისევ ისევე გარს გახვევიან;
მაგრამ წყეული შავი ღრუბლები
მაგა სხივებსა უჩინრად ჰხდიან.

მოვა ის დროცა, როს ეგ ღრუბლები
მძლავრი ქარისგან გადაიყრება,
და ისევ ძველად შენი სხივები
ჩემსა არეზედ გამობრწყინდება.

ნეტავ იმ ქარმა, იმ დალოცვილმა,
სინამ ცოცხალ ვარ ამოიქროლოს,
რომ შენზედ ჯავრი ჩემ წყლულმა გულმა
საფლავში მაინც არ ჩაიტანოს.

ნ. ლომაური.

1871 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ დედოფლის პირველ მეუღლეზე.

თუმცა ჩვენში ძლიელ ნამდვილ საქმედ მიაჩნიათ, რომ თამარ მეფის პირველი მეუღლე «რუსის მთავარი» იყო, მაგრამ თვითონ რუსების ისტორიკოსებს კი უეჭველად არ მიაჩნიათ ეს საქმე. ჩვენი ხალხის რწმუნება, რასაკვირველია, ჩვენი მემატიანის ვახუშტის მოთხრობაზე არის დაფუძნული. აი რას მოგვითხრობს ვახუშტი თამარის პირველ ქმარზე. «მაშინ (როდესაც თამარი გამეფდა) შეკრბნენ ყოველნი ამის სამეფოისა დიდებულნი, სპასალარნი და ერის-თავნი წინაშე პატრიარქისა და ეპისკოპოზთა, და მოახსენებდნენ მათ, რათა ზოგად ყოველთა იღვაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისთვის». ამ სიტყვებს შემდგომ ჩამოსთვლისრა იმ პირებს, რომლებიც ეძიებდნენ თამარის ქმრობას, ის ამბობს: «გარნა ვინათგან ცუდ საგონებელ იქმნა, და არ სადა დაებადა ღმერთს სწორი ამისი (თამარისა), არცადა მგონიეს თუ დაბადებად არს, მაშინ წარმოსდგა კაცი ვინმე, თფილისისა მკვიდრთაგანი, თავადი, და მეფედ მეფისაგან წყალობა ხელდასხმული ამირად ქართლისა და თფილისისა, სახელად აბულასან და თქვა. »მე ვიცი შვილი რუსთა კელმწიფისა ანდრია დიდისა მეფისა, რომელსა ჰმონებენ სამასნი მეფენი მის კერძოსანი, და იგი მცირე დარჩომილი მამისგან, და ბიძისაგან, სავალთად წოდებულისა, ექსორია—ქმნით დევნილი გარდმოისვეწა, რომელი არს სვიაჯა ქალაქშინა ყივჩაყეთისა.»

მაშინ, განზრახვითა ყოველთათა, წარავლინნეს კაცი ერთი მკვიდრთაგან თფილისისათა, დიდი ვაჭარი, სახელით ზანქან-ზორაბაბელ, რა-

თა მსწრაფლ წარვიდეს, ცვალებითა ჭუნეთათა, და წარმოიყვანეს იგი: რამეთუ იყვნეს მაშინ რუსნი ქრისტიანენი და მართლმადიდებელნი. ამისთვის უფრო მოიყვანებდეს მას: არამედ ესე ვერ განიზრახეს კეთილად, რამეთუ არცა იგი კაცი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა რომელსა მოიყვანებდეს მისსა მეცნიერ იყვნეს: შემდგომად მცირედისა ჟამისა მოიწია კაცი იგი წარვლინებული და მოიყვანა კაცი იგი დიდად გვარიანი და უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა მის კერძოსათა, და სხვითაცა არა უმარჯვი, არამედ პირითა მშვენიერი, სრული ანგარებითა და მჭვრეტთაგან დიდათ საჩენი, რომელიც, იხილეს რა, ყოველთა სთნდა ხილვა მისი: არამედ შინაგანსა მისსა არა რა მეცნიერ იყვნეს, არცა ჩვეულებასა მისსა: შეკრბეს წინაშე რუსუდან დედუფლისა პატრიაქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი და მოასხენებდეს თამარს, და აწვევდეს ქორწინებასა, და ასწრაფობდეს ამის პირისათვის.... «ვითარ იყოს სვედრი და რიგი ულუმპიანობისა და შარავანდედობისა მათისა, ეგრეთ ქმნეს ქორწილი, სახედ დაუდებელი და იგავ მიუწდომელი...» და სხვა.

შემდგომ ამისა ვახუშტი მოგვითხრობს ვრცლად თამარისა და რუსის მთავრის გაყრაზე და მის შედეგზე ეგრეთვე დაჯერებით, მაშინ როდესაც ზოგიერთ რუსების ისტორიკოსებს კი, როგორც ზევით ვსთქვით, საეჭვოდ მიაჩნიათ ეს საქმე, რადგანაც მათ მატიანებში არაფერი არ არის ნათქვამი ამ საგანზე. მაგრამ თუ იმ ვრცელ მოთხრობას, რომელსაც ვპოულობთ ამ საგანზედ ქართულ მატიანეში ანუ წელთა აღწერაებში, დაუმატებთ ზოგიერთ საჭირო მოსაზრებას, მაშინ ჩვენ ცხადად დავინახავთ, რომ არა ვითარ ეჭვს არ აქვს ადგილი ამ საქმის სინამდვილეში. აი ეს მოსაზრებები:

თვით რუსების ისტორიკოსები ამბობენ, რომ 1175-წ. უფლების-მოყვარე ვსევოლოდმა (*властолюбивый Всеволодъ*) განაძო სამშობლოდგან თავისი ძმისწული გიორგი ანუ იური, ანდრია ბოღოლიუბსკის შვილი. (1) და აი სწორედ ამ დროდგან დაწყებული წელ-

1). იხილე *Исторія Государства Рос. Карамзина, т. III, гл. III. стр. 38.* და კიდე.— *Исторія Россіи Соловьева, 2, ст. 180.*

ბა მისი სახელი რუსების მატიანებში, ესე იგი ამ დროიდგან დაწყებული აღარაფერი აღარ არის მათში მაზე ნათქვამი. მაგრამ ცოტა ხანს უკან, შემდგომ აღნიშნული წლისა, ეს რუსის მთავარი ხვდება პირველ მოქმედ პირად საქართველოს ისტორიაში. შემდეგი მოთხრობა მემატიანეს ნესტორისა, რომ ბოგოლიუბსკიმ მისცა თავისი შვილი გიორგი ნოვგოროდლებს (*Новгородцамъ*) მთავრად (1) ეკუთნის ერთს და იმავე დროს, როცა თამარ მეფე საქართველოს ტახტზე ავიდა. მაშასადამე შესახებ მისა, რომ თამარი და რუსის მთავარი გიორგი ცხოვრებდნენ ერთ დროს და იყვნენ ერთი ხნის და რომ მათი ცოლქმრობა ამ მხრით შეიძლებოდა ისე, როგორც მოგვითხრობს ქართული მატიანე, ამაში ეჭვი აღარ უნდა იყოს.

რაც შეეხება იმას, რომ რუსულ მატიანეებში არ შენახულა ანუ არ ყოფილა მოთხრობა მთავრის გიორგის და ჩვენი მეფის თამარისქორწინებაზე, ამას სრულებით არაფერი დამარღვეველი ძალა არა აქვს იმ ფაქტის სინამდვილის წინააღმდეგ, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. ეს იმიტომ, რომ რუსული მატიანეები მთ. გიორგის სრულებით ივიწყებენ მასაქეთ, რაც ის განაძია მისმა ბიძამ (ვსევოლოდმა) რუსეთიდგან და მაშასადამე რაღა გასაკვირველია, რომ ისინი არაფერს ამბობენ მისი და თამარის ქორწინებაზე. ამიტომ ეს გარემოება სრულებით არ უნდა ასუსტებდეს და არც იჭვნეულ ყოფდეს ქართული მატიანეების მოთხრობის სიმართლეს ამ საგანზე, რომლებიც შეადგენენ მხოლოდ ერთ წყაროს ამ შემთხვევაში. იმის მიზეზი თუ რისთვის არაფერს ამბობენ რუსების მემატიანენი გიორგიზე, შემდეგ მისი რუსეთიდგან განძიებისა, ან იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ იმათ აღარაფერი არ იცოდნენ მაზე (ეს, ვგონებ უფრო ახლოს უნდა იყვეს ჭეშმარიტებაზე) და ან კიდე მაში, რომ იმას (გიორგის) არაფერი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა იმათთვის, რადგანაც განშორდა იგი მამულს და არა ვითარ მონაწილეობას აღარ იღებდა მის ბედსა და უბედურობაში მას შემდეგ, რაც იმან თავი დაანება თავის ბიძასთან, ვსევოლოდთან დავას შესახებ იმ სამკვიდროსა, რომელიც მამამ დაუტო-

1) იხილე *Списк. кенсиг. ст 152.*

ვა იმას, — და არა მასში, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ვითომც გიორგი მომკვდარიყოს მაშინვე, რაკი რუსეთიდგან გამოვიდა. ამას ისეც უნდა დაუმატოთ, რომ რუსის მთავრებს ისეთი ჩვეულება და თვისება არა ჰქონდათ, რომ გიორგის ისე მალე და ისე ადვილათ დაენებებინა თავი თავისი სამკვიდროსათვის, თუ კი იმას მაზე უფრო თბილი და სასარგებლო ადგილი არ ეშოვა სადმე, სახელდობრ საქართველოში.

ამას გარდა, თუ ჩვენ არ დავთანხმდით იმაზედ, რომ თამარ დედოფლის პირველი მეუღლე იყო ნამდვილი რუსის მთავარი, სახელდობრ გიორგი, ანდრია ბოღოლუბსკის ძე, რომელიც განაძო თავის ბიძამ ვსევოლოდმა, მაშინ ჩვენ, მეტი გზა არა გვაქვს უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ვინმემ ისარგებლა მისი სახელით და შთამომავლობით მისთვის, რომ გამხდარიყო მშვენიერი თამარის მეუღლედ, თბილისის ამირის შემწეობით, რომელმაც მისცა კრებას პირველად წინადადება, რომ ამოერჩიათ იგი თამარის მეუღლედ. მაგრამ შეიძლებოდა განა ესრეთი მოტყუილება ერისთავების და სასულიერო პირების, აგრეთვე — თამარისა და მისი მამიდისა, რომლებიც დიდათ იყვნენ ამ საქმეში გაფთხილებული? როგორ შეიძლებოდა, რომ იგივე პირები, რომლებმაც მრავალ-გამოჩენილ მთხოვნელებს უარი უყვეს თამარის ქმრობაზე და თავიანთ ხელმწიფობაზე, შემდეგ ესე ადვილად და საშინელად მოტყუილებულიყვნენ და ამოერჩიათ თამარის მეუღლედ და მამასადამე თავიანთ ხელმწიფედ საეჭვო და უცნობი პირი. თვით თამარმა როგორღა აჯობინა ეს საეჭვო პირი ყველა პირებს, რომლებიც ეძიებდნენ მის ქმრობას, მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა ეს მძებნელები იყვნენ სამეფო ტახტის მემკვიდრეები? თუ ვიფიქრებთ, რომ ამ საეჭვო პირმა ისარგებლა რუსის მთავრის სახელით, ანუ წოდებით, ესე იგი, დაირქვა გიორგის სახელი და მოიქრთამა ყველა თამარის დიდებულები, რატომ სხვებმაც, თამარის მეუღლობის მსურველებმა, რომლებიც უეჭველია უფრო შეძლებული იქნებოდნენ, ვიდრე ეს მოგონილი პირი, არ ისმარეს ეს საშუალება (ქრთამი)? ამას გარდა ვინ უნდა ყოფილიყო ეს საეჭვო პირი? კერძო პირი იყო ვინმე, თუ რომელიმე ხელმწიფის შვილი? კერძო პირად არას გზის არ შეიძლება რომ შევრაცხოთ, რა-

დგანაც შეუძლებელია, რომ ამპარტავან ქართველებს გაესწორათ თავიანთ მეფედ და მბრძანებლად მდაბალი და უბრალო შთამომავლობის კაცი. მაშ თუ კი სელმწიფის შთამომავლობა იყო, არ შეიძლება, რომ თამარს და მის დიდებულებს არ ჰსცოდნოდათ იგი და ტყუილად მიეღოთ რუსის მთავრად.

ჭეშმარიტება უფრო ნათლად გამოჩნდება თუ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ რუსები არ იყვნენ იმ დროს უცხონი და უცნობნი ქართველებისთვის, როგორც ქართველები არ იყვნენ რუსებისთვის და აგრეთვე იმას, რომ გიორგისა და თამარის ქორწინება არ იყო პირველი მოყვრობის მაგალითი რუსების და ქართველების მეფეებთ შორის.

უეჭველია, რომ რუსების მეფეებს, რომლებსაც ას წელიწადზე მეტი (988—10946 წ) იყვნენ მფლობელნი ტმუტორაკანისა (*Тмутораканъ*), ექნებოდათ მისვლამოსვლა საქრისტიანო სამთავროების, ოსეთის, ივერიის (საქართველოს) და კოლხიდის მფლობელებთან, რადგანაც ისინი იყვნენ მეზობლები კუბანის მთის წვერზედ ერთი მხრით ოსებისა და მეორე მხრით სვანეთისა, რომელიც იყო კოლხიდის ძველი სამთავრო და სადაც ცხოვრებდა ქართველთ შთამომავლობის ხალხი. ამ მისვლა—მოსვლას ანუ ცნობას ქართველების ტომის ხალხებისას, რასაკვირველია ისე მალე ვერ დაივიწყებდნენ რუსები იმის შემდგომ, რაც იმათ ტმუტორაკანი დაკარგეს. რომ ქართველები კარგად იცნობდნენ რუსებს ეს, ზემოხსენებულ მეზობლობის გარდა, თეოფილისის ამირის სიტყვებითაც მტკიცდება, რომელიც ძრიელ ვრცლად ელაპარაკება ხოლმე რუსის მთავრის გიორგის და მისი მამის ანდრია ბოღოლიუბსკის ვინაობაზედ კრებას, რომელსაც მისცა მან წინადადება რუსის მთავრის თამარის მეუღლედ ამორჩევაზე.

ჩვენა ვსთქვით კიდე, რომ რუსის მთავრის გიორგის ჯვარის წერა თამარზე პირველი მაგალითი არ იყო, და მართლაც ჩვენ ვპოულობთ რუსულ მატიანებში ისეთ ცნობას, რომელიც გვაჩვენებს; რომ გიორგის და თამარის ქორწინებაზედ წინ კიევის დიდ მთავარ იზიასლავს ჰყოლია ცოლად ობეზის (აფხაზეთის) მეფის ქალი, და თვით აფხაზეთის მეფე კი შთამომავლობით საქართველოს მეფების—

ბაგრატოვანის გვარს ეკუთნოდა 1). ამაზედ ამბობენ რუსის მემატიანეები, რომ როცა დაქვრივებულმა იზიასლავმა გაიგო 1151 წ. აფხაზეთის მეფის ქალის მშვენიერება და კეთილი ზნეობა, გაგზავნა მის მშობლებთან, შავი ზღვით, თავისი ელჩები მის სათხოვნელად. გაგზავნილებმა კეთილად აღასრულეს თავიანთ მეფის მოხდომილება და აფხაზეთის მეფის ელჩებითურთ და საცოლოთი დაბრუნდნენ, იმავე გზით, რუსეთში. როცა ისინი მოუახლოვდნენ დნეპრს (მდინარეა), ამბობენ რუსის მემატიანეები, საცოლოს მიეგებაო წინ მისი საქმროს შვილი, ხოლო კიევში რომ მოვიდნენ, იზიასლავმა დაიწერა მასზე ჯვარი 1154 წ.. მაგრამ 1155 წ. გარდიცვალა იგი უშვილოდ 2).

ჩვენ რომ ყურადღებაში მივიღოთ პირველად ის ისტორიული გარემოება, რომ ზემოხსენებულის აფხაზეთის მთავრის გიორგის შვილის შვილმა, გიორგიმ, 989 წ. თავისი სამთავრო გააერთა საქართველოს სამეფოსთან, რადგანაც ჰქონდა იმას მემკვიდრეობითი უფლება შემდგომ ბაგრატის შვილის და აშოტის შვილის შვილს, მეფის დავითის გარდაცვალებისა, რომელსაც არ დარჩენია მემკვიდრე; მეორე ისა, რომ აფხაზეთად ანუ ობეზიად იმ დროს, როგორც მერეც დიდხანს, ხშირად უწოდებდნენ არა მარტო ეხლანდელ აფხაზეთს, არამედ მთელ საქართველოს 3); მესამედ ისიც, რომ ზოგიერთი თვით რუსების მემატიანეებიც კი აფხაზეთად ანუ ობეზიად უწოდებდნენ არა მარტო აფხაზეთს, არამედ მთელ ქვეყანას, მდებარეს რკინის კარებს აქეთ, რომლებიც იმყოფებოდა დარიელის ციხე დარბაზში (ხეობაში), და მაშა სადამე მთელს საქართველოს 4), მაშინ შეიძლება ვიფიქროთ,

---

1) 992 წ., როდესაც საქართველოს მეფის ადარნაზის უფროსმა შვილმა, აშოთ ბაგრატოანმა მიიღო სამეფო გვირგვინი, უმცროს ძმას გიორგის ერგო აფხაზეთი, რომელიც ჯერ კიდევ დამოკიდებული იყო საქართველოს მეფეზე.

2) იხილე *Русск. лѣтоп. по Ник. сп. 11, 136—137.*

3) იხილე *Галтонъ гл. 15.*,

4) იხილე *Волынск. лѣтоп. въ исторіи Карамзина т. III, примѣч. 68.*

რომ ის ობეზელი ანუ აფხაზეთის მეფე, იზიასლავის სიმამრი იყო ერთი საქართველოს მეფეებთაგანი და სახელდობ თამარ დედოფლის პაპა, მეფე დიმიტრი პირველი, რომელიც მეფობდა საქართველოში 1125 წლიდგან 1155 წლამდის და რომელიც მაშასადამე ყოფილა იმ რუსების მთავრის იზიასლავის თანამედროვე. ერთი რუსის მწერლებთაგანი იმასაც კი ჰფიქრობს, რომ ვითომც იზიასლავის სიმამრი უნდა ყოფილიყოს თვით თამარის მამა გიორგი 1). მაგრამ ეს ფიქრი უსაფუძვლოა იმიტომ, რომ გიორგი მეფეს დრო არ ეთანხმება იმ დროს, როცა იზიასლავს ობეზიის მეფის ქალზე ჯვარი დაუწერია. ამას გარდა ჩვენ ისიც ცხადად ვიცით ქართული მატიანეებიდგან, რომ გიორგი მეფეს თამარს გარდა სხვა არც ვაჟი ყოლია და არც ქალი.

თუ რუსების მემატიანეები ობეზის ანუ აფხაზეთის მეფედ არ იგულისხმებდნენ საქართველოს მეფეს, და თუ მართლა იზიასლავს აფხაზეთის მთავრის ქალზე დაეწერა ჯვარი, რომელიც (აფხაზეთის მთავარი) საქართველოს მეფის ქვეშევრდომი იყო, ისინი ისე სამინლად არაოდეს არ შესცდებოდნენ, რომ აფხაზეთის მთავრისათვის მეფე დაერქვათ.

ყველა ამ ნათქვამიდგან არა თუ მარტო ის მტკიცდება, რომ რუსებსა და ქართველებს ჰქონდათ ერთმანეთის კარგა ცნობა, არამედ ისიც იხსნება და ადვილად გასაგები ხდება, თუ ქართველებმა და თვით თამარმაც და მისმა გამზრდელმა მამიდამ რისათვის აჯობინეს ყველა სხვა მის ქმრობის მძებნელებს რუსის მთავარი.

ჩვენი დროის რუსის ისტორიკოსი ს. სოლოვიევი თუმცა ნამდვილ ფაქტად ჰრაცხს რუსის მთავრის გიორგის ანუ იურის და ჩვენი თამარის ქორწინებას, და ამბობს: « როცა ვსევოლოდმა რიაზანის მთავრები (კნიაზები) დაიმორჩილა, მაშინ მან მოინდომა აგრეთვე სუზდალის მფლობელად ყოფნა და იმიტომ განაძო თვის სამკვიდროდგან იური ანდრიას ძე, რომელიც იძულებული იყო ეძებნა ბედნიერება საქართველოში» 2); მაგრამ მას ეძნელება ამ ფაქტის შესახებ, ზოგიერთი პირების და ქალაქების სახელების შეთავსება, რომლებიც თითქოს ერ-

1) იხილე *Сѣверный архивъ за 1825 г. XI, ст. 320.*

2) *Истор. Россiи древ. временъ Соловьева, 2 ч. 280 ст.*

თემანეთს უნდა ჰგავდნენ. მაგრამ ამ სიძნელეში ანუ შეცდომილებაში იმას შეჰყავს ის, რომ უ. ბროსეს, რომლის ნათარგმნითაც უ. სოლოვიევს უსარგებლია ამ შემთხვევაში, სწორედ ვერ გადუტანია ქართულ მატიანედგან ფრანციცულად ზოგიერთი პირების და ქალაქების სახელები. მაგალითად ბროსედგან გადათარგმნილ ქართული მატიანების 1 ნაწილში, 412 გ. ნათქვამია: «როდესაც ეძიებდნენ სახელოვანი თამარის საქმროს, მაშინ მოვიდა თფილისს ამირი აბუნასანი და სთქვა: მე ვიცი შვილი რუსთა ხელმწიფისა, ანდრია დიდის მეფისა, რომელსა ჰმონებენ მრავალი მთავარნი მის ქვეყნისანი, და იგი მცირე დარჩომილი მამისგან, და განდევნილი თავისი ბიძის სავალთისგან, (*Sawalht*) გამოიქცა და არს იგი ყივჩაყთა მეფის (პოლოვეცკის) სვინჯს (*Swindi*) ქალაქსა შინა». ამავე 1-ლი ნაწილის 437 გვერდზე არის ნათქვამი: «რამეთუ მას ჟამსა (ესე იგი როცა თამარი სპარსელებთან საომრად ემზადებოდა) ძმაცა ყიპჩაყთა მეფისა სევინჯი-სავალთი (*Sevinlj—Savalth*) იყო, სამსახურად, დიდითა ლაშქრითა».

თარგმნაში შეპარულან შემდეგი შეცდომები: ვახუშტის მატიანეს 1 ნაწილში, 285 გ. ვკითხულობთ; «ბიძისაგან, სავალთად წოდებულისა, ეხსორია ქმნით დევნილი, გადმოიხვეწა, და არს «სვიაჯა» ქალაქსა შინა ყივჩაყეთს»: ამავე მატიანეს 302 გვერდზე მართლაც ნათქვამია:» ძმაცა ყივჩაყთა მეფის სევინჯი — სავალთი აქა (საქართველოში) იყო სამსახურად (თამართან), დიდითა ლაშქრითა». უ. ბროსეს ქალაქის სახელი «სვიაჯი» გადუთარგმნია სიტყვით, «სვინჯი» (*Swindj*). ამისთვის გაჩენილა მოჩვენებითი მსგავსება ამ სიტყვასა და სიტყვას «ს ე ვ ი ნ ჯ ი» (*Sewindj*) შორის, რომელიც შეადგენს პირველ ნახევარს ყიფჩაყის მეფის ძმის საკუთარი სახელისას. აქედგან წარმოდგება უ. სოლოვიევის იჭვნეულება შესახებ ამ სახელებისა. 1) საკვირველია: რისთვის და რა საფუძველით პატივცემულმა მთარგმნელმა (ბროსემ) სიტყვაში «სვიაჯი» გამოსტოვა გადათარგმნის დროს ასო «ა» და მაუმატა ასო «ნ» სთარგმნა: «სვინჯი (*Swinedj*) და არა «სვიაჯი». თუმცა კი ისიც საკმაო იყო, რომ ის ქართული ასოს «ჯ« მაგიერად,

---

1) იხილე *Истор Россіи древнихъ временъ Соловьева. примѣч. 344. ко. 2 ч.*

რომელიც არის ნახმარი ზემოხსენებულ სიტყვაში, ხმარობს ფრანცი-ცულ ასოებს «*dj*», და სთარგმნის ასე «*Svindj*»

საუკეთესო ახსნა იმ საკუთარის სახელებისა, რომლებიც აქ არიან ნახმარნი, ჩვენი ფიქრით, არის შემდეგი; სვიაჯი ანუ როგორც ბროსე სთარგმნის სვინჯი არის იმ ქალაქის სახელი, რომელშიაც იმყოფებოდა მაშინ რუსის მთავარი გიორგი. სიტყვა «სავალთი» პირველ შემთხვევაში არის, როგორც კიდეც ფიქრობენ ბროსე და სოლოვიევი 1), ქართველებისგან გაფუჭებული ანუ უკეთა ვსთქვათ—გადაკეთებული თავისებურად, რუსული სახელი «ვსევოლოდი (*Всеволодъ*). სიტყვა სევინჯი სავალთი» არის, როგორც ამას ცხადად გვიჩვენებს ქართული მატიანე, ყიფჩაყის მეფის ძმის სახელი, რომელიც, ალბათ, გამოგზავნილი ყოფილა ჯარით თავის ძმისაგან თამარის მოსახმარებლად. ამიტომ ეს ორი სახელები უნდა განვარჩიოთ ერთმანეთისაგან, რადგანაც ორი, სულ სხვა და სხვა პირების სახელები არიან და არც არაფერი საკვირველია, რომ ორ კაცს ერთნაირი სახელები რქმევიათ, თუ გინდ კიდეც დავთანხმდეთ, რომ სიტყვები სავალთი და სევინჯი—სავალთი ერთნაირნი არიან. მაგრამ ამასთანავე ესეც კი უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა «სევინჯი-სავალთი», ანუ ცალკე «სავალთი» უეჭველად საკუთარი სახელი უნდა იყოს, რომელსაც ალბათ არქმევდნენ მამაკაცებს ყიფჩაყის ანუ პოლოვეცის სამეფოში, და რომელიც ალბად ძრიელ კარგად იცოდნენ ქართველებმა, რადგანაც ამათ ჰქონდათ ცნობა და შეხვედრა ყიფჩაყელებთან. ამ აზრის სიმართლე მით უფრო მტკიცდება, რომ ეს სახელი არის შედგენილი ორი სიტყვისაგან «სევინჯი« და «სავალთი» (სევინჯი-სავალთ), როგორც უმეტესი ნაწილი თათრული სახელებისა. აქედგან რუსის მთავრის, გიორგის ბიძის სახელიც «ვსევოლოდი» რომელიც უეჭველია უცხოდ მოეჩვენებოდათ როგორც სასმენლად ისე გამოსათქმელად ქართველებს, გადაუკეთებიათ თბილისის ამირს უფრო ნაცნობ სახელად «სავალთად». ძრიელ შესაძლებელია ესეც რომ ამ გვარ სახელს ეძახდნენ თვით ყიფჩაყელებიც «ვსევოლოდს».

---

1) იხილე *Истор. Соловьева, примѣч. 2.*

მერე გამოჩენილი რუსების ისტორიკოსი კარამზინი, თუმცა კი პირველად თავის ისტორიის მე III ნაწ. III თავში, 139 გ. ვერ ჰხედავს სცნას ნამდვილ ფაქტად თამარისა და გიორგის ქორწინება, მაგრამ მე X ტომში, 1 თავში, 40 გ. დარწმუნებით უწოდებს გიორგის თამარის მეუღლედ. ის ამბობს: «ბორის-გოდუნოვი ეძებდა ერთს და იმავე დროს სარძლოს და სასიძოს გიორგი ანდრიას ბოლოლიუბსკის ძის სახელოვანი მეუღლის თამარის სამშობლოში 1).

რუსის მთავარის, თამარ პირველი ქმრის სახელი გამოშვებულია ქართულ მატიანეში; მაგრამ იმის მამისა, ანდრია ბოლოლიუბსკის, სახელი და იმის ბიძის ვსევოლოდისა, რომლებიც არიან მატიანეში მოხსენებულნი აგრეთვე ისიც, რომ ქართველი მემატიანების ჩვენება შესახებ რუსის მთავრის ბედისა და მისი მამულიდგან განდევნისა სრულებით ეთანხმება თვით რუსების მემატიანების მოთხრობებსა ამავე საგანზედ, სრულებით აღარა სტოვებს ეჭვს მასში, რომ ეს მთავარი იყო გიორგი, ძე ანდრია ბოლოლიუბსკისა.

აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი ძრიელ ხეპრული შეცდომა, რომელიც მოჰსვლია უ. მ. ს ე ლ ე ზ ნ ე ვ ს «*Руководство къ познанію Кавказа*» ავტორს. ის ამბობს, რომ რუსის მთავარი ქართულ მატიანეში ვითომც ალექსად უნდა იწოდებოდეს 2) საკვირველია საიდგან ამოუღია ამ მწერალს ასეთი უცნაური ამბავი? იმ ადგილს, რომელზედაც ის აჩვენებს, ამ გვარი არაფერი მოიპოვება. ჩვენი ფიქრით ეს შეცდომილება, ალბად, იქიდგან თუ წარმოსდგა, რომ იმავე დროს, როდესაც რუსის მთავარს მოუწოდეს თბილისში ყივჩაყის სამეფოდგან ქართველებმა, მაშინ ვიდაც საბერძნეთის პრინცი, სახელდობრ ა ლ ე ქ ს ი, ეძიებდა თამარის ქმრობას, რომელზედაც მოგვე

---

1) იხილე *Ист. Гос. Рос. X т гл 1. ст. 40.*

2) იხილე «*Руководство къ познанію Кавказа*» ч. 1, ст 133.

ისრობენ აგრეთვე ქართული მემატიანენი. უ. სელეზნევს, ალბად, აქვს სახელი აული და შეცდომით დაურქმევია რუსის მთავრისთვის. სხვა წყარო ამ შეცდომილებისა ძნელი მოსანახავია. უ. ბროსე, რომელმაც კარგა გამოიკვლია და შეიმუშავა ქართული ისტორიის წყაროები, პირ და პირ ემასის ალექსის ბერძნის პრისცს. რუსის მთავრის სახელი კი არ აქვს მას მოხსენებული, რადგან საქართველოს მატიანებშიაც არ არის იგი.

წყალტუბელი.

1871 წ. თებერვალი.

თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა

«მნათობის» წარსულ ნომერში, ჩემო მკითხველო, გესაუბრე ჩვენი საზოგადოების მდგომარეობაზედ, ჩვენი საზოგადო საქმეების ვითარებაზედ და კიდევ იმაზედ, რომ ჩვენში სიტყვით თუა საზოგადოებრივი ცხოვრება, თორემ საქმით ძნელად თუ სადმე შეინიშნება.—ახლა საჭიროდ ვრაცხავ გესაუბრო იმ მიზეზებზედ, რომელნიც ჰბადებენ ამ ჩვენი ცხოვრების ესეთს მდგომარეობას და გამოვიკვლიო, რამდენადაც კი შემიძლიან, ის მდგომარეობა, რომელიც უშლის ჩვენ ცხოვრების წინსვლას, ჩვენი გონების გაბრწყინვალებას და ზნეობის განსპეტაკებას.

აქ ძალიან ღრმად დაჰფიქრდები, ჩემო მკითხველო, და საშინელ ძალას დაატან შენს ჭკვა-გონებას—გამოიცნა ეს რა გარემოებაა ასეთი, რომ ჩვენ ცხოვრებას აბრკოლებს. რასაკვირველია, ამის გამოცნობისათვის იქნება შენი გონება ძალიან შორსაც ათრიო, იქნება რამდენიმე ცხრა მთა-ზღვაც გადაატარო,—მაგრამ ამ გონებითს მიმოვრენაში და ძებნაში ამაოდ დაიქანცები. იმის პოვნისთვის ისე შორს წასვლა საჭირო არ არის. ჩაიხედე შენს გონებით და ზნეობით არსებაში, თვალი გადაავლე შენს მოქმედებაებს და მაშინ იპოვი ამ შენი ცხოვრების გზაზედ გადამღობელ ძალას; მოჰკითხე შენს თავს მთელი შენი ცხოვრების—აზრის, მიმართულების, გრძნობების და გაგებების—აღსარება, გაარჩიე მიუდგომლად, ვითარცა მიუდგომელმა და უანგარო მსაჯულმა, მთელი შენი ცხოვრების მოქმედებაები,—და მაშინვე დარწმუნდები, რომ თითონ შენშივე ყოფილა შენი ცხოვრების დამამხინჯებელი ძალა. მოიგონე, თუ რა გაგებაებით ხელმძღვანელობ შენ შენს ცხოვრებაში, რა გარემოებაებს უფრო აძლევ უპირატესობას, რა

უფრო გულით გიყვარს შენს სიცოცხლეში—ეს ყველაფერი მოიგონე, მოიხსენე, და მაშინ სრულებით დარწმუნდები რომ ჩვენი საზოგადო ცხოვრების ესეთი მდგომარეობა ჩვენგანვე წარმოდგენილა.

ჩვენ, ჩემო მკითხველო, თითქმის ყველა ჩვენი ფეხის გადადგმაზედ ვემონებით ეგრედ წოდებულს «საზოგადო აზრს» და ჩვენი ცხოვრების ხასიათის მიმცემად და ხელ-მძღვანელად ეს «საზოგადო აზრი» გვაქვს. რასაკვირველია, ჩვენ ვფიქრობთ: «საზოგადო აზრი» უმეტესი საყურადღებელი უნდა იყოს, ვიდრე ვისიმე კერძო პირის აზრიო, და იმას კი ყურს აღარ ვუგდებთ, რომ ყველა ჩვენისთანა მცირე განათლების მქონე ხალხში «საზოგადო აზრი» შეცდომილია და მაშასადამე ამ შემთხვევაში ცხოვრების მავნებელი უნდა იყოს.

«საზოგადო აზრი» ადვილი გასაგები გამოსატქვაა. ეს არის აზრი, უმეტესობისაგან შედგენილი, თვისი საყოველდღეო ცხოვრებისა და მოქმედებების ხელმძღვანელად. ყველა ხალხის უმეტესობა შეადგენს უფრო გაუნათლებელს ნაწილს საზოგადოებისას და ჩვენისთანა ხალხში ხომ, რაღა თქმა უნდა, უმეტესობისაგან შედგენილი აზრი ხშირად შეცდარი უნდა იყოს და მაშასადამე ცხოვრებისათვისაც მავნებელი. თუ იმასაც მოვიგონებთ, მკითხველო, რომ ჩვენ აწმყო «საზოგადო აზრს» თავისი სათავე ჩვენ წარსულ ცხოვრებაში აქვს, მაშინ ადვილად მივალთ იმ დასკვნამდის, რომ ჩვენ «საზოგადო აზრის» ხელმძღვანელობით ცხოვრება ბევრს სიმახინჯეს გამოგვატარებს ჩვენს ცხოვრებაში და ბრმასავით ღობე-ყორეს მიგვასხლ-მოგვასხლის,—ეს იმიტომ, რომ წარსული ცხოვრების კანონებით აწმყოში წარმატებით ვერ იცხოვრებს კაცი, რადგან როგორც ცხოვრება იცვლება—მისი კანონებიც უნდა გამოიცვალნენ.

ამ ჟამად მე გესაუბრები, ჩემო მკითხველო, ჩვენ «საზოგადო აზრზედ», რომელიც ჩემის აზრით არის მახლობელი მიზეზი ანუ დამაბრკოლებელი ძალა ჩვენში საზოგადოობრივი ცხოვრების უქონელობისა. ... ...

ჩემის აზრით, აი ეს მკვლებური «საზოგადო აზრია» მახლობელი მიზეზი ან დამაბრკოლებელი ძალა, რომ ჩვენს საზოგადოებაში მტკიცე, ნამდვილი კავშირი არ არის და მაცხოვნებელი საზოგადოობ-

რივი ცხოვრების ნაცვლად ვცხოვრებთ ობა ობად, (როგორც უწინაც ვსთქვი), ანუ კერძო, საკუთარი არსებისთვის სასარგებლო და სასიამოვნო ცხოვრებით, და იმას კი სრულებით ყურს არ ვუგდებთ, რომ ეს, მხოლოდ ჩვენთვის სასიამოვნო, ცხოვრება ხშირად, ან უფრო ხშირად, ათასისთვის უნაყოფო და უსარგებლო იქნება, და აგრეთვე არცარა იმას დავსდევთ, რომ ამ გვარი კერძო-კერძო ცხოვრებით თვით ცხოვრება, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ვერ უკეთესდება, წარმატებაში ვერ შედის, არამედ მახინჯდება და ძნელდება.

ჩვენ რომ აქ საზოგადო აზრზედ ვლაპარაკობთ, იმ საზოგადო აზრს, რაღა თქმა უნდა, შესაფერი გავლენა აქვს ჩვენ საზოგადო საქმეებზედაც: ეს აუცილებელია და პირდაპირ გამომდინარეობს — როგორც მოქმედება მიზეზისაგან. საზოგადო საქმის წარმოებისათვის საჭიროა შინაგანი ღირსებების დაფასება და მათთვის ფართო გზის მიცემა, და არა გარეგანი, ... თვისებაები. მაგრამ, როგორც წარსულ წიგნშიაც მოგახსენეთ, ჩემო მკითხველო, ჩვენი საზოგადოების მომეტებული ნაწილი იმ აზრისაა, რომ «წითელ-სისხლიანს» ყოველი საქმის გაკეთება ძალუძს, რადგან ვითომც უფრო ნიჭიერნი არიან, და «შავ სისხლიანები» კი ვითომც უთუოდ უხეიროები იქნებიან და საქმესაც ვერ გაარიგებენ. ამ დაჯერების ძალით, როცა გავიგებთ, რომ ამა და ამ საქმის გაკეთებას აპირობენო, მაშინვე ვიკითხავთ: გამკეთლები «წითელ-სისხლიანები» არიან, თუ «შავ-სისხლიანებიო» და დარწმუნებულნიც ვართ, თუმცა ეს დარწმუნება არა საფუძველზედ არა გვაქვს დამყარებული, რომ «წითელ-სისხლიანები» ჩინებულად აღასრულებენ საქმეს — და გულიც გვენდობა იმათზედ; ხოლო უნდოდ და უიმედოდ ვუყურებთ «შავ-სისხლიანების» ნაკეთებ საქმეს. ...... ამ გვარი გაგება არის მიზეზი, რომ ჩვენი საზოგადო საქმეები დიად ნაკლულევანებით აღისრულდებიან ხოლმე. ჩვენ ვეძებთ საქმისათვის არა საქმის აღსრულების შემძლებელს, არამედ ... ამიტომაც საქმეს ხშირად ვაფუჭებთ, რადგან ამ გვარად არჩეული საქმის აღმსრულებელნი ძალიან ხშირად გამოუდეგარნი დგებიან ეს ძველებური საზოგადო აზრის მიმდევრობა ისე გამჯდარია ჩვენს ცხოვრებაში, რომ არა თუ მარტო ყოველ დღიურ საუბარში მოისმენთ ხშირად ამის ნიმუშებს, არამედ სასულიერო «ცისკარის» ფურცლებზედაც შეჰხვდები ... ...

ერთის სიტყვით, ჩემო მკითხველო, ჩვენში ფართო საზოგადოობრივი ცხოვრების უქონელობა და ჩვენი საზოგადო საქმეების მოხსენებული მდგომარეობა, ჩემის აზრით, უფრო მომეტებით იმისგან წარმოსდგება, რომ ჩვენ უფროს ერთად, მივდევთ და ხელ-მძღვანელობთ იმ «საზოგადო აზრით.» რომელსაც საფუძველი აქვს ჩვენს ძველს ცხოვრებაში აწმყო ცხოვრების არა-მსგავს ცხოვრებაში, ანუ უფრო ცხადად ვსთქვათ: ჩვენ ამ ჟამად ვცხოვრებთ წარსული ჩვენი ცხოვრების კანონების ხელ-მძღვანელობით და ამიტომ თითქმის ყველა საქმეში ვგრძნობთ რაღაც მოუხერხებლობას, თუმცა კი ხშირად ამის მიზეზს ვერ ვირკვევთ ხოლმე. ჩვენ რომ აწმყო ცხოვრების მოთხოვნილებას შევუდგეთ და დავუტევოთ ძველებური ჩვენი ცხოვრების დამაბრკოლებელი «საზოგადობულის მდგომარეობა ჩემის აზრით, უფრო მომეტებით იმისგან წარმოსდგება, რომ ჩვენ, უფროს ერთად, მივდევთ და ხელ-მძღვანელობთ იმ «საზოგადო ზრით», რომელსაც საფუძველი აქვს ჩვენს ძველს ცხოვრებაში, აწმყო აზრის» მიმდევარობა, ნიჭს და გონების ძალას უფრო ვაფასებდეთ, ვიდრე გარეგან თვისებაებს, ყველა საქმეში საზოგადო სარგებლობა უფრო გვქონიოთ მხედველობაში, ვიდრე კერძო სიამოვნება და ჟინი, — მაშინ ჩვენ ცხოვრებას ერთი-ათად დავწევთ წინ — როგორც ჩვენს კერძო ცხოვრებას, ისე საზოგადო საყოველთაო ცხოვრებასაც.

ახლა, ჩემო მკითხველო, თუ არ მოგწყინდა გადავიდეთ ჩვენ საზოგადო საქმეებზედ და სახელდობრ თეატრზედ და ლიტერატურზედ და მათ წარმოებას გადავავლოთ თვალი.

ჩვენი თეატრის მდგომარეობა, როგორც უწყი, მკითხველო, საზოგადოდ ძალიან უხეიროა; . , ... ეს გარემოება იმას ამტკიცებს, რომ ჩვენს საზოგადოებას ფრიად მცირე ყურადღება აქვს მიპყრობილი თავის თეატრზედ. ყველამ იცის, რომ წარმოდგენისათვის საჭიროა ჩინებულად მოწყობილი ფართო სცენა, ისეთი, როგორისაც წარმოადგენს საკუთრად იმისთვის დაწესებული თეატრი, ამასთან ტანისამოსი და სხვა მრავალ-გვარი წვრილმანი საჭიროება, და ყველა ამას კი ხარჯი უნდა. რადგან ჩვენი საზოგადოება გულ-გრილად უცქერის ამ საქმეს და არას იმეტებს, რომ დაეხმაროს მას წარმოდგენისათვის ყველა საჭირო საშუალებების მოსაპოვებლად; ამიტომ ჩვენი სცენის-მოყვარენი შეიქმნენ მოძრავი შინაური სცენის მოყვარეებად.

ამ სცენის მოყვარეებმა ამ უკანასკნელ ერთ წელიწადში რვა შინაური ქართული წარმოდგენა მოახდინეს — მოთამაშეთ და მაყურებელთ ერთმანერთში ფსონის გამოღებით. ამ გვარი სცენა არის სცენის მცირე-წლოვანობა, სიყრმე, და ამიტომ არ შეიძლება არ გვაკვირვებდეს და გვაოცებდეს ის გარემოება, რომ ჩვენი თეატრი, უწინდელ დროს გადარბაისლებული და საზოგადო — სახალხოდ გამოსული, საზოგადოების სამოძღვრებლად და შესაქცევად, ამ ჟამად, იმის ნაცვლად რომ უფრო წარმატებაში შესულიყო, ისე დაპატარავდა და დამცირდა, რომ თავის სიმცირისა გამო შიგნი-შიგან იმალება, მატანტალაობს და აქა-იქ სამალლოდ აფარებს თავს. ეს საკვირველი მოვლინებაა, მაგრამ საზოგადოება ამაზედ ცოტასა ჭოჭმანობს, თითქოს ეს იმის საქმე არ იყოს. —

მასლას .. როგორც არის — ამ უკანასკნელ ერთ წელიწადს რვა შინაური წარმოდგენა მოხდა და ერთიც საზოგადო, დიდ თეატრში.....

თუმცა გვიანღა არის, მაგრამ მაინც არ იქნება მეტი, რომ ამ წარმოდგენების წარმოებაზედ მოკლედ მოგახსენო რამე, ჩემო მკითხველო, რომ შეიტყო, თუ ჩვენი საზოგადო საქმეები როგორ კეთდება.

თეატრში წარმოადგინეს «მზის დაბნელება» (აგრეთვე სცენის მოყვარეებმა). საზოგადოდ ქალების როლები ყველამ რიგიანად ითამაშეს, მაგრამ ბარბარე ამაშუკელისამ კი ჩინებულად ითამაშა, ასე რომ ჩემის აზრით იმაზედ უკეთესად იმ როლის აღსრულება აღარ შეიძლება. ამას შემდეგ ჩინებულად ითამაშეს: უ. ესტ. ქვალიაშვილმა — გლეხის როლი, უფ. გ. ენაკოლოფოვმა — ინდოსი, უ გლ. აბაშიძემ — იმერელი ბიჭოსა, უფ. იმნაძემ — ფაყარნისა (ფაყარნის როლები სხვებმა კარგად აღასრულეს), და უფ. ბეგთაბეგოვმა — სომხისა; სხვებმა ზოგმა საკმაოდ კარგად აღასრულეს თავიანთ როლები და ზოგმა კი — სუსტად. აქ ყველას ჩამოთვლას საჭიროდ არა ვრაცხ . . . .

განსვენებული თ. ვორონცოვის შემდეგ ჩვენს ქალებს ეთაკილებოდათ თეატრის სცენაზედ გამოსვლა, უწესო და ურიგო საქმედ ჰრაცხავდნენ მას და ამიტომ ძალიან გასაჭირი იყო ხოლმე დიდ თეატრში ქართული წარმოდგენის მოხდენა, რადგან სცენის მოყვარენი ვერ შოულობდნენ ქართველ მოთამაშე ქალებს და სომხის აქტრისებს ქირა-

ობდნენ. ამ მხრივ ამ წარმოდგენას მნიშვნელობა აქვს ჩვენი თეატრების საქმეში, რადგან იქ მოთამაშე წარჩინებულმა და დარბაისელმა ქალებმა დასთრგუნეს ის უხეირო საზოგადო აზრი, რომელიც სცენაზედ ქალების თამაშობას ჰკიცხავდა. იმათი მაგალითი, რასაკვირველია, ფუჭად არ ჩაივლის და საჭიროების ჟამს, ვისაც კი შეგნება აქვს, არავინ არ ჩაითვლის საკიცხავად თეატრის სცენაზედ გამოსვლას და მით საზოგადო საქმის დახმარებას. თუმცა მართალია თეატრზედ ადრე შინაურ წარმოდგენაზედ მიიღეს მონაწილეობა ქალებმა, მაგრამ მაინც დარწმუნებით ვერ ვიტყვით — გამოვიდოდნენ თუ არა ისინი დიდ, სახალხო სცენაზედ; ახლა კი ეჭვი არ შეიძლება ვიქონიოთ, რომ არც ერთი გონიერი ქალი არ იტყვის უარს დიდ სცენაზედ გამოსვლისას, თუ კი მით თვით საქმეს შეემატება რამე.

სხვა სარგებლობა იმათ მოუტანეს კიდევ, რომ თბილისის უფასო შკოლებს შესძიეს, როგორც გავიგეთ, სამას თუმნამდის. ამიტომ ამ წარმოდგენის მოთავეებს: თ. ორბელიანის ასულს, ანასტასია ოგლობჟიოსას და ბარათაშვილის ასულს, ელენე ჯომარდიძისას დაუმადლებს საზოგადოება, რადგან კეთილი და სასარგებლო საქმე შეასრულეს. ამათ და სხვა წარჩინებულმა პირებმა რომ გასწიონ შრომა და რამდენჯერმე ითავონ ამგვარი წარმოდგენა დიდ თეატრში ქართული სცენის სასარგებლოდ, ეჭვი არ არის, რომ ადვილად დააწყებდნენ სამუდამო ქართულ თეატრს და ამით დიდს სარგებლობას მოუტანდნენ საზოგადოებას. იმედია, რომ მათ სხვაც ბევრი დაეხმარებოდა ამ საქმის აღსრულებაში...

ახლა გადავიდეთ შინაურ წარმოდგენაებზედ. შინაური წარმოდგენაები დაიწყო საყმაწვილო წარმოდგენით და შემდეგ გადიცვალა დარბაისელ წარმოდგენაებად. ამ წარმოდგენაებში ქალებთაგანმა მიიღეს მონაწილეობა: თ. ხერხეულიძის ასულმა ბარბარემ, ბრიძლის ასულმა ელენე ანტონოვსკისამ და ყიფიანის ასულმა ელენემ. ჩვენში, თუ სხვაგან, სადაც კი ხალხი დაბლა სდგას განათლებით, ყველა უჩვეულებრივო და მაშასადამე «საზოგადო აზრის» წინააღმდეგი ნაბიჯის გადადგმა დიად რომ ძნელი საქმეა; ყველა ამ გვარი ნაბიჯის გადადგმა სწორედ თავის გამომეტებას ედარება, თითქმის, რადგან ამ ნაბიჯს ერთ-

ვის ზედ მრავალ-გვარი უსიამოვნება—ჩუმად თუ ცხადად საზოგადოების გაკიცხვა და სხვა და სხვა ჭორები. მოხსენებულმა ქალებმა არ მიჰხედეს ამას, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რა საქმესაც ჰკიდებდნენ ხელს—რიგიანი და წმინდა საქმე იყო და... ასე შინაურ წარმოდგენებში პირველმა გაჰბედა და მიიღო მონაწილეობა კნ. ბარბარე ხერხეულიძემ; ამას დაუხმარნენ ელენე ანტონოვსკისა და ელენე ყიფიანი. ამ ქალებმა გადასდგეს ჩვენ ცხოვრებაში უჩვეულებრივო, «საზოგადო აზრის» წინააღმდეგი ნაბიჯი და მით, ერთის მხრივ, ქართული სცენის საქმე გააადვილეს.

ამ წარმოდგენებში თითქმის ყველა მოთამაშე კარგად აღსრულებდა თავის როლს, ქალები ყველანი ჩინებულად თამაშობდნენ და ელენე ყიფიანმა კი სცენის ნიჭიც გამოიჩინა.

ამ წარმოდგენებზედ მაყურებელნი დიდ მხიარულად ატარებდნენ დროს, წარმოდგენის შემდეგ ცეკვა-ტანცაობდნენ და ასე ერთ საღამოს სხვა-და-სხვა გვარად შეექცეოდნენ. ესეთი წარმოდგენები ძალიან მოეწონა ჩვენს საზოგადოებას; რადგან თითქმის ყველანი ერთმანეთის ნაცნობები იყვნენ ხოლმე შეყრილნი და შინაურულად ატარებდნენ დროს უჭიმ-უბრეხლად. სხვა გვარ დროს გატარებას, მაგალითად ლოტოს და იმის მსგავსს, რაღა თქმა უნდა, რომ ესეთი დროს გატარება სჯობია, სადაც სასიამოვნო და სასარგებლო ერთად არიან შეერთებულნი და დროს ატარებინებენ კაცს. ამიტომ სასურველია, რომ ჩვენმა სცენის მოყვარეებმა გვალად განაგრძელონ ამ გვარი შინაური წარმოდგენები; თუ ერთგულად მიჰყვებიან ამ საქმეს, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იმათი შრომიდგან დაიბადება საზოგადო-სახალხო ქართული თეატრი, და ეს უეჭველად უნდა ჰქონდეს მხედველობაში ყველა ქართული სცენის მოყვარეს. სცენის მოყვარენი თუ ერთგულად მიჰყვებიან ამ საქმეს, მაშინ ერთის მხრივ შესაწირავი გაიზდება და მით თანხა რამე გაუჩნდება მომავალ ქართულ თეატრს, მეორეს მხრივაც საზოგადოება შეეჩვევა ქართულ წარმოდგენებს და მისდამი სიყვარული და ლტოლვა ჩაენერგება მას, ასე რომ, თუ ესლა მცირედი შესაწირავის მიცემა ეძნელება მას, მაშინ ბევრსაც ადვილად გაიმეტებს. სხვაგანაც თითქმის ასე მომხდარა თეატრის საქმე და ჩვენში კი, ჩემის ფიქრით, მხო-

ლოდ ამ მხრივ არის მოსალოდნი თეატრის წარმატება. ამიტომ დიდ მადლობას დაიმსახურებენ შთამომავლობისაგან სცენის მოყვარენი, თუ ერთგულად მიჰყვებიან ამ თავისგან აღებულ საქმეს და ყველა მისი წარმატების დაბრკოლებაებს ცოტ-ცოტათი დასთრგუნვენ, — მაშინ იმედი მოგვეცემა, რომ რამდენიმე ხანს უკან რიგიანი ქართული თეატრი გვექნება: ეს დრო მით უფრო მალე მოვა, რამდენიც უფრო ერთგულად ემსახურებიან ისინი თავიანთ საქმეს. იმის იმედიც კი უნდა გვქონდეს, რომ რაკი საზოგადოება ჰნახავს მათს ერთგულს შრომას საზოგადო საქმის სასარგებლოდ, მაშინ უეჭველია თითონაც დაეხმარება მათ.

ამ შინაურ წარმოდგენაში სხვათა შორის მადლობა ეკუთვნისთ: კნ. დარ. შალიკოვისას, თ. რ. ანდრონიკაშვილს და უ. ფეოდოროვს, რომელთაც ორ-ორჯერ ათხოვეს სცენის მოყვარეთ თავიანთ ზალა; აგრეთვე კნ. ბარბარე ბარათაშვილისას, რომელიც დაეხმარა სცენის მოყვარეთ უკანასკნელ წარმოდგენაში; მაგრამ ყველაზედ მომეტებული მადლობა ეკუთვნის კნყ. ბარბარე ხერხეულიძეს, რადგან ყველაზედ მომეტებული მონაწილეობა იმან მიიღო ამ წარმოდგენაებში.—

ამ წარმოდგენაებში რაც ფული შემოსწირეს სტუმრებმა, ის ფული გადიდო ზ. ანტონოვის კომედიების დასაბეჭდად და რაც იმ წიგნების გასყიდვიდგან შემოვა — ის ეკუთვნის ქართულ სცენას — წარმატებისათვის. ვისურვებთ, რომ სცენის მოყვარეთ ერთი ასად აქციონ ჩქარა ეს ფული, რომ ჩქარა მოუღონ ბოლო ამ სცენის უსეირობას და მატანტალაობას და მით დააგვირგვინონ თავიანთ არა-მცირე შრომა. მაშინ თეატრი უფრო უკეთესად მოაგვარებს თავის საქმეს და უფრო მომეტებული სარგებლობის მოტანაც შეეძლება საზოგადოებისათვის.

ახლა ჩვენს ლიტერატურასთან გადავიდეთ. ჩვენი ლიტერატურა დიაღ ნაყოფიერ სასაუბრო საგანს წარმოგვიდგენს, ასე რომ ერთი დიდი წიგნი დაიწერებოდა იმაზედ. წარმოიდგინე, მკითხველო, რამოდენა ასპარეზს წარმოგვიდგენს ჩვენი ლიტერატურის ბურთი-და-მოე-

დანი. ხამი ჟურნალი (მესამე «კრებული» წელს დაიბადა), სამი გაზეთი (მგონია «გუთნის-დედაც» არსებობს კიდევ) – სულ ექვსი დროგამოშვებითი გამოცემა! რას ამბობ, ამოდენა ასპარეზზედ და ამდენს ბაზარში, რასაკვირველია, ბევრი მოქმედება იქნება, ბევრნაირი გრძნობა, გაგება, აზროვნობა და ლტოლვა. ექვსი სხვა და სხვა რიგი სალიტერატურო ორგანო არსებობს, მაშ რაღა თქმა უნდა, რომ სხვა და სხვა ხასიათისანი და სხვა-დ-სხვა გაგებისანიც იქნებიან, რასაკვირველია, ცალკ-ცალკე ბანაკებს შეადგენენ და ყველა ბანაკს თავისებური სროლა ეცოდინება მიზანში და თავისებური საქმის წარმოება; რასაკვირველია, ამ ბანაკებს ეყოლებათ, ცხადად თუ იდუმალ, თავიანთ ბელადები; უეჭველია, როგორც კანონიც მოითხოვს, ბელადის შესახებ ყველა რაზმის კაცი მოწიწებით იმეორებს და ღმერთსავით შეჰყურებს თავის ბელად წინამძღვარს; არც ის არის გასაკვირველი, რომ რაზმში ისეთი დოყლაპიებიც ურევიან, რომ თავიანთ ბელადს პირ-ღია მოუსმენენ ყოველის ფერს—ავსაც და კარგსაც, გონიერსაც და უგონოსაც და თავის «სულის-გლახაკობით» ყველას ერთნაირად ჰყლაპავენ და ბედნიერადაც მიაჩნიათ თავი, რომ ამისთანა გონიერი ბელადი ჰყავსთ.... ეს ყველაფერი საკვირველი არ არის და როგორც ცხოვრების ასპარეზზედ, ისე ლიტერატურის ასპარეზზედაც მოხდება ხოლმე. არც ჩვენი ლიტერატურა დაეღწევა ამ გარემოებას. ასპარეზი დიდი იყო, თუ ძალად გაადიდეს—ამაზედ ჩვენ არას ვამბობთ; მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ამ ასპარეზზედ გაჩნდა ლიტერატურული ბანაკები, ლიტერატურული ქურუმობა, ლიტერატურული მეგობრობა და დოყლაპიობა, და ერთის სიტყვით მრავალი ლიტერატურული რაღაც-რაღაცები. ასე გასინჯეთ ამ უკანასკნელ ჟამს «დროების» ბანაკმა ლიტერატურული «ლოპიანა-ოჩაკა» კი გამოაცხადა.

აბა, მკითხველო, მართალი არა ვსთქვი, რომ ჩვენი ლიტერატურა ძალიან ნაყოფიერი სასაუბრო საგანია? რაც მე ეხლა რაღაცები ჩამოვთვალე—იმაზედ რომ სულ ვრცლად დაიწეროს—ერთი წიგნი კი არა, მგონია, ორი წიგნიც გამოვიდეს.

მართლა, კაცმა რომ ჩამოთვალოს ჩვენი დროგამოშვებითი გამოცემები—ეგონება ქართული ლიტერატურა დიად განათლებული და

ასპარეზიც დიად ვრცელია. ჩვენ არც ერთი არ მიგვაჩნია ნამდვილად, რადგან ორივე კარგა ახლოს გვაქვს გასინჯული. ჩვენი სალიტერა-ტურო ასპარეზი მალის-მალად არის გადიდებული, ხოლო ზოგი გა-მოცემაც დაფუძნებულია ან არსებობს ჟინის დასაკმაყოფილებლად და ბიჭობის გამოსაჩენად. არც მშრომელნი არიან ბევრნი და აქვს გამო-ცემას კი არა, სულ ორსაც ძლივს ეყოფიან. ამას მაშინ დავინახავთ, თუ გადავათვალიერეთ «ცისკარი», «დროების» უკანასკნელი ნომრები და «გუთნის-დედა» (არ ვიცით ეს კიდევ არსებობს თუ არა). მაშასადა-მე, იტყვის მკითხველი, რაღა ახალ-ახალს აფუძნებენო, თუ კი რაცა აქვსთ ჯერ იმისთვისაც ვერ მოუვლიათო? დიაღ მართალია და სწორედ ამ დაჯერებისა იყო ახალი ჟურნალის «კრებულის» გამომცემელი 1869 წელში, როდესაც «მნათობის» რედაქციამ გამოაცხადა «მნათობის» გა-მოცემა. რადგან ამ ორ წელიწადში ჩვენში დროგამოშვებითი გამო-ცემაების გარემოება ერთ-ბეწვაზედაც არ დაწეულა წინ—არც ნივთიე-რებითი დონე მოჭმასტებია და არც თანამშრომელნი, ამიტომ არ შეი-ძლება არ გაიკვირვოს კაცმა, რომ არიან იმისთანა პირები, რომელნიც ერთ და იმავე გარემოების ჟამს სხვის შესახებ სჯიან ერთნაირად და თავიანთ შესახებ კი სხვა ნაირად. სახელდობრ, რომ 1869 წელში «მნათობის» გამოცემა არ იყო საჭირო, მაშინ როდესაც მხოლოდ «ცისკარი» არსებობდა და ბურთი-და-მეიდანი მხოლოდ გაზეთ «დრო-ების» ეპყრა ხელში; ახლა კი 1871 წელში, როდესაც ჟურნალი «მნა-თობიც» არსებობს და სხვა გარემოება ისევ ის არის—«კრებულის» გა-მოცემა დიდ საჭიროებას შეადგენდა. რასაკვირველია, ჩვენ ბოროტ-განზრახვით არ ვამბობთ ამას: ამრავლოს ღმერთმა ქართული წიგნე-ბი,—მაგრამ იმიტომ ვამბობთ მხოლოდ, რომ დავანახვოთ მკითხველს, რომ ზოგი კაცი რა უცნაური სნეულებით არის შეპყრობილი, რომ ერთსა და იმავე ფერს სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა გარემოე-ბაში ხან შავს ეძახის და ხან თეთრს. ჟინიანობა და თავმოყვარე-ობა საშინელი რამ არის კაცის ბუნებაში და ეს არის მიზეზი, რომ სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ნაირად ამღერებს კაცს, რადგან რაც ერთ დროს არგებს და თეთრი ჰგონია, იმან შეიძლება სხვა დროს აწყინოს და შავად ეჩვენოს.....

«კრებულის» გამოცემა დიაღ რომ იგრძნო «დროებამ», რადგან ერთი მისი თანამშრომელი «კრებულის» მოთავე თანამშრომელი შეიქნა—და ამით «დროების» ისეც მცირე მშრომელნი უფრო განაწილდნენ. მაგრამ ჩვენ იმ გარემოებამ უფრო გაგვაკვირვა, რომ «კრებულის» თანამშრომლებში გამოცხადებულია უ. «დროების» რედაქტორი მესხი. ეს გარემოება ცოტა აოცებს კაცს და სხვა-და-სხვა რაღასაც აფიქრებინებს,—სახელდობრ იმას, რომ ან რიცხვის გასადიდებლად არის გამოცხადებული «კრებულის» გამომცემისგან, ან არა და იმას, რომ . . . უ. მ. . . . . როგორც უნდა იყოს უცნაური მოვლინებაა ეს ამბავი, და ჩვენის მხრით კი ამა'ს ვიტყვი, რომ «დროების» რედაქტორმა ისევ თავის გაზეთს მიაპყრას . . . ერთგული ყურადღება . . . ის ყველას ემჯობინება . . . .

. . . . . მართალია იმას შეუძლიან დარწმუნებული იყოს, რომ მისგან ისეც დიდი დ ღირსეული შრომა იქნება "დროებისთვის", რომ იმ გვარი სტატიები აგმარობს მას, როგორსაც უწერს უფ. წკეპლაძე, სახელდობრ თუ გინდ იმისთანა, როგორიც იყო ამ წლის «მნათობის» პირველი წიგნის შესახებ;—მაგრამ, სწორე თუ გინდათ, მკითხველო, საზოგადოებისათვის კი ვერაფერი სამსახური იქნება ამ გვარი სტატიების წერა. მოგონებაზედ, ამ სტატიის შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა არ იქნება ურიგო, რადგან ამით «დროების» რედაქცია ჭლალადებს თავის ძალა-ღონეს. ავტორი წკეპლაძე ამბობს, რომ «დროებამაც» ასე «მნათობისავით» «ფართხალი» რომ დაიწყოსო, მე მოვალედ ვრაცხავ ჩემ თავს ხელი ვკრა და წისლიც მივაყოლოო. ამ სიტყვის წარმოთქმის ჟამს იმას კი აღარ ჰფიქრობს, რომ იმით ჰხატავს თავის . . . . . და უძალო-უღონობას და ის ცხოვრების ჭეშმარიტება სრულებით ავიწყდება, რომ ქვეყანაზედ თვით ჩინებული და მაცხოვრებელი მიზანი მიიღწევა მხოლოდ მრავალი მოთმინებით და გამუდმებული შრომა-ვაი-ვაგლახით; ისიც ავიწყდება იმას, რომ საზოგადოდ ჩვენი ლიტერატურა გაჭირებით არსებობს და თუ ლიტერატურის საქმის მოთავეებმა ასე წკეპლაძისავით იაზრეს—მაშინ ერთ თვალის დახამხამებაში შეიძლება გაჰქრეს ჩვენში ყველა გვარი მწერლობა, რადგან ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ ამ შემუსვრელს ძალას ჰხვდება და ებრძვის ჩვენი ლიტერატურა. ჩვენ კი ვერ მივიღებთ ამ რჩევას, რადგან ამ შემთხვევაში სრულებით წინააღმდეგი გაგებისანი ვართ, მაგრამ... მაგრამ ისა, რომ ეს წკეპლაძის სიტყვები: «დროებას» რომ მოუნდეს ეგეთი ფართხალი» მაშინვე თავს დავანებებთო»—გვაფიქრებინებს . . . . .

არც უფ. სვანიძელის ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი "ლ ო პ ი ა ნ ა-

ობა,, არის ნაკლებად საკვირველი: ლიტერატურაში ეს მოვლინება უფრო დიდ საკვირველებად მიმაჩნია. ლოპიანობა კარგია მუშტი-კრივში, თავისი თუ სხვის გვერდების დასაზელად და საკუთარი ყოჩაღობის გამოსაჩენად. მაგრამ ლოპიანობა ლიტერატორაში—სწორე მოგახსენოთ სამარცხვინო საქმე არის. ჩვენ იმ ნაირად გვესმის ლიტერატურის საქმე, რომ ყოველისფერს, რაც იწერება და იბეჭდება, მსჯელობაში განსაკუთრებით მკითხველი საზოგადოება უნდა იქონიოს და არა თავის საკუთარი პიროვნება, ისე როგორც ლოპიანს აქვს ხოლმე მხედველობაში კრივში გამოსვლის დროს. როდესაც ლიტერატორი-კრიტიკოსი ჰხედავს, რომ შეცდომილ და მავნებელ აზრებს ავრცელებენ საზოგადოებაში, მაშინ იმან იმ აზრის გამავრცელებელი კი არ უნდა გამოიწვიოს: აბა მოდი ვცადოთ ვინ ვაჯობებთო, არამედ თუ კი მართლა შეუძლიან, უნდა აიღოს კალამი, დაურღვიოს მკითხველებს მწერლის შეცდომილი აზრები და ნაცვლად წარუდგინოს თავისი—შეუმცდარი და ნამდვილი. მხოლოდ ეს მოითხოვება კრიტიკოსისაგან, სხვა ამის გარეშე არაფერი.

უფ. სკანდელს შეცდომილად მიაჩნია უფ. ქიქოძის აზრები (სტ. «საქართვ. მოამბეში»)—ძალიან კარგი და პატიოსანი. მაშ აიღოს რაღა კალამი და თუ შეუძლიან თავიდგან ბოლომდის დაურღვიოს ქიქოძეს შეცდომილი აზრები, რომ ამ გვარად წამკითხველები გამოიყვანოს შეცდომილებიდგან. მაგრამ არა; ის ამას ვე.. ახერხებს . . . . და მოუგონია ლოპიანობა, უფიქრია: აბა ერთი დიდგულად დავიძახებ ლოპიანს სიტყვებს: "აბა მუშტის კრივში მნახეთ ვინა ვარო», მერე დავატან ბოლოს: «მაშ გამობძანდით თუ ხალისი გაქვსთო» და მასამ გამოვლენო, ან იქნება სულაც არ გამოვიდნენო—და პირველ შემთხვევაში დროს მოვიგებ და მეორეში—დიდგული გამოძახება მაინც შემრჩებაო. ვაი, ჩვენი ლიტერატურის ბრალი . . . . . იმ მწერლების ხელში რომელნიც საზოგადოების სარგებლობას ანაცვალებენ თავიანთ თავმოყვარეობას და იმ გრძნობებით ხელმძღვანელობენ ლიტერატურის ასპარეზზედ, რა გრძნობებითაც ნამდვილი ლოპიანები. უფ. სკანდელს თუ ასე ესმის ლიტერატურის საქმე, იმედია ჩვენს საზოგადოებას ბევრს სარგებლობას მოუტანს. . . . .

აქ ბევრ სხვა რამეებზედაც მინდოდა მელაპარაკნა შენთან, ჩემო მკითხველო, მაგრამ თუ სხვა დროს შევხვდით როდისმე მე და შენ, მაშინ მოგელაპარაკები სხვა ჩვენი ცხოვრების მოვლინებაებზედ და ჩვენ ლიტერატორებზედაც.

ჭუხელი.

აღარ მახსოვს, მიუგო სანჩომ, რა წამს იმ მნათეს გადავაწერინე იმის მერე მაშინვე დამავიწყდა: ვიფიქრე კიდეც, ამას იქით რადგან ვემა-კებისთვის დამჭირდება მეთქი. მაგრამ თავი კი ისევ მახსოვს: გ ა დ ი-დ ე ბ უ ლ ო ვ ო, თუ მბძანებელოვო, რაღაცა, და ბოლოს ეწერა სიკვ-დილამდის შენი ვარ მგლოვიარე შეხედულობის რაინდიო, და ახლა ამ თავსა და ბოლოს შუა, ვინიცის, რამდენი ათასნაირი გული, სი-ცოცხლე და მშვენიერი თვალები მოვათავსე.

—ეგ კარგი, მოუწონა დონ-კისოტმა, მაგრამ მერე, რა ჰნახე? როდესაც შენ წარსდეგ იმ მშვენიერების მეფესთან, ის რასა საქმობდა? იქნება მარგალიტებს ასხავდა ოქროს ძაფზედ, ან თავისი დატყვევე-ბული რაინდისათვის ოქროს რასმე, მკერვასს მასართმევს ჰკერავდა?

—არა, ბატონო, მიუგო სანჩომ, საქონლის ეზოში შემხვდა და დიკას ანიავებდა.

—შეგცთარა, ის პურის მარცვლები იმის ხელში წვრილ-წვრილ მარგალიტებად გადიქცეოდნენ—სთქვა დონ-კისოტმა—მაგრამ კარგად გაჰსინჯე, თუ არა? როგორი ხორბალი იყო, წმინდა, დასრულებული და თეთრი, თუ არა?

—არა, სუფთა და ნათელი იყო.

—მე შენ დაგარწმუნებ, ჩემო მეგობარო, უთხრა დონ-კისოტმა, რომ იმის ხელში გამოვლილი დიკისა მშვენიერი პური გამოცხვება. მაგრამ, აბა ერთი ეს მითხარ; ჩემი წერილი რომ გამოგართვა, აკოცა თუ არა? თავზედ მიიდო თუ არა? ან რა გამოიხატა ჩემი იმ წიგნისგან მინიჭებული სიხარულის შესაფერი? ღვთის გულისათვის, მითხარ, ნუ მტანჯავ.

—მე რო თქვენი წიგნი მიუტანე, სთქვა სანჩომ, როგორღაც შევატყე, რომ მაშინ იმას თქვენთვის არ ეცალა: გაჩქარებული საქ-მობდა. დამიქნია გასრი და მითხრა: იმანდ დადე, ჩემო საყვარელო, ტომარაზედ; ეხლა არა მცალიან—და საქმეს რომ მოვრჩები, წავი-კითხავო.

—ვიცი, ვიცი, მშვენიერო ქალო, ვიცი მე შენი ეშმაკობა, შეჰ-ყვირა დონ-კისოტმა, შენ გინდოდა დაფარულს ადგილს წაგეკითხნა ის, რომ თვითეული აზრის გამოხატულობით დამტკბარიყავ. მაგ-

რამ, დაასრულე, სანჩო, სთქვი, რას ამბობდა, ან შენ რა უპასუხე? ერთიან გამიმეორე თქვენი ლაპარაკი სიტყვიდგან სიტყვამდის; სთქვი რას უფრო გკითხავდა ის?

—ის არაფერს არამკითხავდა, უთხრა სანჩომ. მე ვუამბე იმას თუ როგორ იტანჯება თქვენი მოწყალება იმის გულისთვის, და ან როგორ ნადირისავით გაგიშვით ამ კლდე-ღრეებში: შიშველი, უჭმელ-უსმელი, ცარიელ ცივ მიწაზედ მგდებარე, და სრულიად ტანჯული და მაწყევარი თქვენის გაჩენის ვარსკვლავისა.

—ეგ შენ ტყუილათ სთქვი, ვითომ მე ჩემს ვარსკვლავს ვსწყევლიდე, შეჰნიშნა დონ-კიხოტმა. პირიქით, მე მარადის ვმადლობ ჩემს ვარსკვლავს და არცა დავცხრები მის მადლობით ვიდრე დასასრულამდე ჩემის ცხოვრებისა, რადგან ღირსი გამხადა ისეთი მაღალი სულის სიყვარულისა, ვითარიც იმყოფების დულსინეა ტობოზელი.

—დიახ, სწორედ მაღალი ქალია, გაიმეორა სანჩომ; მგონია, სამი ვერშოკით კი უნდა იყვეს ის ჩემზედ მაღალი და....

—ეგ შენ საიდგან იცი, ხომ არ დასტოლებიხარ? ჰკითხა დონ-კიხოტმა.

—აი მე იმას როგორ დავეტოლე, მიუგო სანჩომ; მე რომ იმას ვირზედ პურის აკიდებას ვშველოდი, მაშინ დავუახლოვდი და ვნახე, რომ ის ჩემზედ მთელი თავით მეტობდა.

—მართალია განა, სანჩო? რომ მისი ტანის სიმაღლე ეთანასწორება მისი გონების მაღალთა ღირსებათა და მის მშვენიერთ ყოფაქცევათა? მაგრამ აი კიდევ რაზედ დამემოწმები: შენ რომ იმას მიუახლოვდი, სანჩო, მაშინვე მშვენიერი მუშკ-ამბრის სუნი მოგედინა განა. კეთილ-სუნნელებითი ფშვინა გამომდინარებდა განა იმისგან!

—მე სხვა არა ფრის სუნი არ მომდენია იმისაგან, ერთის მეტი; და ისიც მგონია, იმისგან იყო, რომ მუშაობით საშინელი ოფლის ქენში გადასდიოდა.

—შენ უთუოდ სურდო გჭირდა იმ დროს—არწმუნებდა რაინდი—ან თვით შენივე სუნი მოგდენია, ამისთვის რომ მგონია ფრიად დარწმუნებით ვიცი, თუ ვითარ კეთილ-სუნნელოვანებს ის ასკილებს შუა ვარდი, ის ბაღში მოვლილი ია და ის გათქვეფილი მური და ქუნდრუკი.

—ვინ იცის იქნება მართლა ჩემივე სული მომდენოდეს, სთქვა სანჩომ: მართალია, მეც ბევრჯელ ამდის ხოლმე იმისთანა სული, როგორიც სდიოდა თქვენს ქალბატონს დულსინეას, ამაში საკვირველი არა არისრა, და თუ მართლაც მომქდინა ის სული, იმიტომ რომ, ხომ გაგიგონიათ, ერთი ეშმაკი მეორე ეშმაკსა ჰგავს.

—მერე? ჰკითხავდა დონ-კისოტი, პური რომ დაანიავა და გაცხავნა წისქვილში, რაჰქნა ჩემი წიგნი რომ წაიკითხა?

—იმას თქვენი წიგნი სრულებითაც არ წაუკითხავს, მიუგო სანჩომ, ამისთვის რომ იმან, როგორც თითონაც მითხრა, არც იცის კითხვა და არც წერა:—აიღო და სულ ლუკმა-ლუკმად დახია და გადაყარა, რომ არავის წაეკითხა და არ შეეტყო იმის საიდუმლო საქმეები. თქვენი გამოუთქმელი სიყვარული და თქვენი უზომო შეწუხება, ყველაფერი პირად მოვახსენე, და მაზმანა, რომ იმის მაგივრად ხელზედ გაკოცეთ; ამასთანავე იმას თქვენი პირ-და-პირ ნახვის სურვილი აქვს რომ ეხლავ დაანებოთ თავი ამ ჯაგ-ნარიან ადგილს და ტობოზოსკენ გაემგზავროთ. მე თქვენ მოგახსენებთ, რო იმისთვის სიკვდილია თქვენი უნახაობა... მაგრამ იმან რომ გაიგონა ჩემით, რომ თქვენ «მგლოვიარე შესედულობის» რაინდად იწოდებით—ამაზედ ამდენი იცინა და იხარხარა, რომ, ერთი სიტყვით მუცელი ამოიგდებინა. ისიც მკითხე,—ბისკაელი იყო შენთანა მეთქი, თუ არა? იყოვო, მიპასუხა, და ძრიელ პატიოსანი და სასიამოვნო კაი-კაცი ყოფილაო.

—ჰეი, ეს ჯერ ყველაფერი კარგა რიგიანად მიდის, სთქვა დონკისოტმა. აბა ახლა ესეც მითხარი: როგორ გამოეთხოვე შენ იმას? რით დაგასაჩუქრა, რომ იმისთანა კარგი ამბავი მიუტანე თავისი რაინდისაგან? უნდა იცოდე, თუ კი ჯერ არ იცი, სანჩო, რომ ძვირფასი საჩუქრის მიცემა საჭურველთ-მტვირთველთათვის, ქალთათვის, თუ სხვა მოციქულთათვის, რომლებიც ისინი ამბავს რასმე მიიტანენ რაინდებისგან ქალბატონებთან და ქალბატონისაგან რაინდებთან,—არის ძველი და დაურღვეველი რაინდობის ჩვეულება.

—შეიძლება, იყოს ყოვლივე ეგ ჩვეულება, უთხრა სანჩომ, და მართლაც მომწონს ეგ ჩვეულება; მაგრამ ეტყობა, ეგ ჩვეულება ძველ დროში სცოდნიათ, ეხლაკი ძვირფასი საჩუქრების მაგივრად აძლევენ

პატარა პურის ნატეხს და ერთ ლუკმა ახალ ყველს. ამის მეტი დულხინეას ჩემთვის არა მოუციარა და ის ახალი ყველიც მაშინ გამოიმეტა, როდესაც ვეთხოვებოდი მოწნულ ბაკში.

—არა, მე როგორც ვიცნობ, უთუოდ იმ დროს სულად არა ჭქონიარა; თორემ უთუოდ და უთუოდ მეირთვას ნივთს რასმე გაჩუქებდა. მაინც შენ ფიქრი ნუ გექნება, არა დაგეკარგებარა; როდესაც მე თვითონ ვნახავ დულხინეას, მაშინ, როგორც რიგია, საქმეს ისე წავიყვან. მაგრამ იცი, სანჩო, მე რა მიკვირს? შენ სულ ჭაერში გიფრენია მისვლა-მოსვლაზედ: სამ დღეს მთელი ოც-და-ათი მილი (210 ვერსი) გაგივლია. ამის გამო მე ვფიქრობ, რომ უთუოდ ჩემ მფარველ ბრძენ მანქანას ჭაერში უტარებიხარ შენი მგზავრობის დროს. რა საკვირველია ერთი მფარველი მანქანა უთუოდ უნდა მყვანდეს, თორემ მე რაინდობას ვერ ავასრულებდი. და წეღან რომ გითხარ, ნუ გაგიკვირდება; ზოგჯერ თვალთ-მაქცი მანქანა მძინარე რაინდს აფრენს ლოგინიდგან და რაინდს რომ გამოაღვიძებს, ათასი მილის იქით ჭნახავს თავის თავს. უამისოდ რაინდები გაჭირებაში ერთი-ერთმანეთს ვეღარ მიეშველებოდნენ, როგორც მოხდება ხოლმე. მაგალითებრ, ზოგჯერ მომხდარა, რომ ერთი რაინდი სადმე, თუნდ ხომსეთის მთებში, ეომება მღამიობს ან ანდრიაკს, ანუ რომელსამე რაინდს,—ის არის, მოიქანცა, მოუახლოვდა სიკვდილი, ამ დროს, მოულოდნელად, მიფრინდება ღრუბლით ან ცეცხლის ეტლით იმისი მეგობარი რაინდი, რომელიც რამდენიმე საათის წინად იქნება ინგლისშიაც იყო; მაშინვე მიეშველება თავის მეგობარს, გამოიხსნის გაჭირებისაგან; და ისევ იმ საღამოსვე გადაეშვება ინგლისისკენვე, ვახშამს იქა სჭამს და იქვე დაიძინებს, თუმცა ეს ორი მხარე ერთი მეორეზედ ორი ან სამი ათასი მილით არიან ერთმანერთზედ განშორებულნი. ესე ყოველივერი, ჩემო მეგობარო სანჩო, ბრძენი თვალთ-მაქცის საქმე არის. შენც ეგრეთვე, სანჩო, ეჭვი ნუ გექნება, რომ ნამდვილად ჭყოფილხარ ტობოზოში და ესლა იქიდგან მოხდიხარ. მე გარწმუნებ შენ, რომ ჩემი მეგობრის ბრძენი მანქანას ძალით ფრინველსავით გიფრენია, და ეს ისე მომხდარა, რომ თვითონ შენც ვერ შეგინიშნავს.

—შესაძლებელია, მიუგო სანჩომ, ამისათვის რომ როსსინანტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე მიჭქროდა, როგორც იმ ბოშის ვირი, ყურები რომ ვერცხლის ყლარჭუნებით ჰქონდა მორთული.

—რა ვერცხლის ყლარჭუნები, რას მიჭქარავ! შეუტია დონ-კიხოტმა, შენ მიჭქონებიხარ უსილავთ სულთა გუნდს რომელთ დაღალვა არა უწყიან, და როდესაც ცის სივრცეში დათვრინავენ, სხვებსაც აძლევენ თავიანთ შემწეობას და სადაც კი საჭიროა, მსწრაფლად და შეუწუხებლივ გადაათვრინებენ. მაგრამ, ჩემო მეგობარო სანჩო, ამისი კი ვერა გამიგიარა: ჩემი ქალბატონის ბრძანება როგორ უნდა შევასრულო? თუ წავიდე იმასთან,—მაშინ ხომ დავარღვიე აღთქმა, რომელიც მივეცი პრინცესასს! ამასთანავე რაინდები უმეტეს უნდა ცდილობდნენ შეასრულონ ყოველივე თვისი აღთქმანი და არა მისდევდნენ თავიანთ საკუთარს სიამოვნებას და სარგებლობას. რა უნდა ვქნა? ერთის მხრით ჩემი გული მეუბნება: წადი ნახე შენი ქალბატონი; მეორე მხრით მაგონდება ჩემი ვალი და აღთქმა პრინცესასთან. მაგრამ, აი მე რასა ვფიქრობ: მოდი—ჯერ წავალ იმ საშინელ გმირთან, მოვკვეთავ თავს და პრინცესსასაც თავის სამეფოს ჩავაბარებ; შემდეგ ჩემ ვარსკვლავთანაც წავალ და იმედი მაქვს ის განმაცხოველებს მე თვისის ბრწყინვალებით. დაგვიანებისათვის ბოდიშს მოვიხდი, და, დარწმუნებული ვარ რომ, არა თუ არ გამიჯავრდეს, არამედ ჩემთ ღვაწლთ ქება-დიდებითაც აღმავსოს, ვინაიდგან იგინი ადიდებენ დ͠ ადამაღლებენ თვითვე მას, რადგან თვით იგი არს წყარო წარსულთა და მყოობადთა ჩემთა ღვაწლთა და დიდებათა.

—ღვთისმშობელო დედავ! შეჰყვირა სანჩომ, ღმერთმანი, თქვენ სრულ ჭკუაზედ არა ხართ; ერთი მიბძანეთ ცხრამთას იქით რისთვის მისდიხართ? რა ჭკუაში მოგდით, რომ ამისთანა სასძლო-სადედოფლოს თავს ანებებთ რომელიც მზითევში იმოდენა სამეფოს, გამლევთ, რომ სივრცით თითქმის ოცი ათასი მილია, ესე იგი, მთელი ისპანია და პორტუგალია რომ ავიღოთ ერთად, იმაზედაც დიდია და რომელიც ამასთანავე იმისთანა მხარეა, სადაც კაცი ყველა საჭიროებას შეისრულებს. დაჩუმდით, თუ ღმერთი გწამსთ, უფალო რაინდო; ან კი როგორ არა გრცხვენიანთ, რომ მაგაებს ამბობთ. დამიჯერეთ, პირველსავე სოფელში, თუ მღვდელი შეგხვდათ, ჯვარი დაიწერეთ ამ პრინ-

ცესსაზედ, მაგრამ რა საჭიროა მღვდელი? განა ჩვენი უფალი ლეიტენ-ანტე ვერ დაგვწერთ ჯვარს? მადლობა ღმერთს, თქვენო მოწყალებავ, მე ისე უმაწვილი არა ვარ, რომ არ შემეძლოს რჩევა გაგიწიოთ; და ესლა რომ გირჩევთ ამის უკეთესი რაღა შეიძლება. თუ ჩემი არა გჯერ-რათ, ეს ანდაზა სომ გაგიგონია: მიჯობს ცაში წეროს, ხელში წყალ-წყალა მყვანდესო, და, როცა ზეჯუდს გამდევდნენ, შენ გაუშვერდე თითსაო.

—არა, სანჩო, უპასუხა რაინდმა; ჯვარის წერას შენ იმისათვის მირჩევ, რომ იმ მოღალატე გმირის მოკვლის შემდეგ აღვიდე სამეფო ტახტზედ და მოწყალებით აღგავსო, მაგრამ ეს სომ უიმისოდაც შე-მიძლიან, რომ ჯვარი არ დავიწერო. გესმის შენ: წინადვე, ვიდრე იმ გმირს შევებრძოლებოდე, პრინცესსას დაუდებ ქსრეთს პირობას: თუ მე გავიმარჯვო მეთქი, უნდა დამითმოს თავის სამეფოს რამოდენი-მე ნაწილი, ასე რომ ვისაც მინდა, იმას ვაჩუქო ის ნაწილი.... და აბა შენს მეტს ვის რათ ვაჩუქებ.

—ჰო, აბა თუ შჭვიანური სიტყვა გინდათ—ეგ არის, უპასუხა სანჩომ; მაგრამ თქვენო მოწყალებავ, გაისარჯენით, რომ იმ სამეფო-ზედგან ზღვის მხარე ირგუნოთ, ამისათვის რომ გავმართო დაზა-თიანი გემი და ჩემ ქვეშევრდომ ზანგებს, საითაც მენებებოდეს, იქით უკრავდე ხოლმე თავს. მაშ ჯერ თქვენ ქალბატონთან ნუ წაბძანდებით, ვიდრე იმ გმირთან საქმეს არ გაათავებთ, აგრეთვე ღმერთი გადიდებთ და სომ... ჩვენთვისაც სასარგებლოა.

— ეგრე იყოს, სანჩო, მე სრულიად თანახმა ვარ შენ სიტყვე-ბზედ; მაშ ვიდრე დულსინეას ვნახავდეთ, ჯერ წავიდეთ, მოვკლათ ის გმირი. მაგრამ, ვაი შენი ბრალი, თუ ეს ჩვენი ლაპარაკი ვისთვისმე გითქვამს, ან მაგათთვის, რომ თუ დულსინეას არა სურს თავის სა-იდუმლო საქმეების გაქვეყნება, მაშ ჩემის და სხვისა მხრითაც ძრიელ ურიგო იქმნება მაგაების გამოაშკარავება.

— მაშ თუ თქვენ არა გსურსთ თქვენი სიყვარულის გამოაშკა-რევა, რაღასთვის ჰგზავნით ხოლმე დამარცხებულებს დულსინეასთან? მაშ რიღასთვის ატყუბინებთ ყველას, რომ თქვენ ის გიყვარსთ? ან ის უფალნი როგორ მოასხენებენ თქვენი საიდუმლოების დაფარვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც ჰგზავნით ხოლმე დულსინესთან მუხლის მოსადრეკად და პატივ საცემად?

— ოჰ, როგორი მოუქნელი კაცი ხარ, სანჩო, გაუჯავრდა დონ—კისოტი; აქამდის რით ვერ შეიტყე, რომ ეგე ყოველნი განადიდებენ ჩემს მბრძანებელს და აღამაღლებენ მისს დიდებას? სად გინახავს შენ იმისთანა ქალი, რომელსაც ჰყვანდეს რამდენიმე მოგზაური რაინდები და თავი არ მოსწონდეს ამით, რომ იმისთანა რაინდები ჰყვანან, რომელნიც მხოლოდ მის სამსახურს ფიქრობენ და არარა ჯილდოს, არ მოელიან იმისგან, იმისგარდა რომ ჰქონდესთ ნება მის რაინდებად და მსახურებად იწოდებოდნენ.

—ახლა კი მივხდი, მაუგო სანჩომ, ღმერთიც სწორედ მაგ რიგად უნდა გვიყვარდეს: ღმერთი უნდა გვიყვარდეს ღვთის გამოისობით, და არა იმიტო, რომ ჯოჯოხეთში არ ჩავსცვივდეთ; უნდა გვიყვარდეს ღმერთი და ვმსახურებდეთ მას და ჩვენ თითონ არ უნდა ვიცოდეთ ან როგორ უნდა გვიყვარდეს და ან რისთვის.

—ეშმაკიც ვერას გაიგებს ამ კაცისას, შეჰყვირა დონ—კისოტმა; დასწყევლოს ღმერთმა, ზოგჯერ ისეთი რაღაც მოუვლის ხოლმე ამ კაცს, რომ კაცი იფიქრებს უთუოდ სალამანკში აღზრდილაო.

—მაგრამ კითხვა კი ვერ უსწავლიაო, დაუმატა სანჩომ.

ამ დროს იმათ მოესმათ დალაქის ხმა: «მოიცადეთ, უფალო რაინდო დავიღალენით, წყაროსთან პატარა შევისვენოთ».—იმ ადგილს ერთი მშვენიერი წყარო ენახათ დონ-კისოტის მგზავრებს. რაინდმა შეიცადა. ეს სანჩოს ძრიელ იამა: ჯერ იმისთვის, რომ ძალიან დაიღალა სიარულში და მერე იმისთვის, რომ ეშინოდა,—ამდენს რომ გატყუებ ჩემ ბიტონს, არ შემიტყოსო; თუმცა მართალია, იცოდა კიდეც, რომ რასაც ამბობდა, ყველაფერის ძირი კი იყო დულსინეა, რადგან გლეხის გოგო ბრძანდებოდა, მაგრამ ეს იყო ძნელი, რომ სანჩოს, თავის სიცოცხლეში, არსად ენახა ის. კარდენიომ წინანდელი დოროთეას ტანისამოსი ჩაიცვა, რომელიც დიდი სასარბიელო არ იყო, მაგრამ თავის ჩამობდღვნილ ტანისამოსს კიდევ არ სჯობდა. ჩვენი მგზავრები ჩამოსხდნენ წყაროს პირზედ, რომ შენაყრებულ იყვნენ მღვდლისგან

წოდებულ საგმლით. ამ დროს, როდესაც ისინი საუზმეს, თუ სამხარს მიირთმევდენ, გამოჩნდა ერთი ყმაწვილი კაცი; ცოტა შეიფერხა ამ ყმაწვილმა; თვალი გადაავლო ამ ჩვენ მგზავრებს და მერე მივარდა დონ—კისოტთან ტირილით: «ოჰ, თქვენი ჭირიმე, ბატონო გასხომვართ,თუ არა. მე ვინა ვარ? მე ის საწყალი ანდრია გასლავარ, რომელიც თქვენ მუხიდგან ამხსენით»,

დონ—კიხოტმა, რასაკვირველია, იცნო მაშინვე, დაუჭირა ხელი საცოდავ ბიჭს, მიუბრუნდა თავ გამოდებით და უთხრა: «უფალნო! რათა თქვენ დარწმუნდეთ საქმით, თუ ვითარ სასარგებლონი არიან ქვეყანაზედ მოგზაური რაინდები, თუ ვითარ ყოველგან სდევნიან და ჰხშობენ უსამართლოებას და ბოროტებას, რომელთა იქმოდნენ გარყვნილი და ბოროტ მოქმედნი ხალხნი, გეტყვით მე თქვენ, რომ შემთხვევისა გამო გამოვიარე რა ცხსენ და ცხენ ერთი ტყის ახლოს შემომესმა საშინელი ტირილის ხმა. მასვე წამს მომაგონდა ჩემი ვალდებულება და მსწრაფელ მივმართე იმ ადგილს, საიდგანაც მოისმოდა ტირილის ხმა და მუნ ვპოვე ეს ყმაწვილი, რომელიც აწ სდგას თქვენს წინაშე და შეუძლიანცა დაამტკიცოს ჩემი სიტყვების სიმართლე. სარტყელამდის გატიტვლებული მუხაზედ იყო მიკრული და სრული ვინმე გლეხი, ამის აღა, სცემდა უღმერთოდ მათრახს და აძრობდა ტყავს. ამ საშინელებამან შესძრა გული ჩემი, და ვკითხე იმ უღმერთო გლეხს იმ უღმრთო ცემა-ტყეპის მიზეზი. იმან მომიგო, ეს ყმაწვილი ვითომც ყოფილიყოს მისი ყმა და სცემდა მას რომლისამე თვისი საქმის წახდენისათვის. «სტყუვისო», შემომბღავლა ყმაწვილმა: იმისათვის მცემსო, რომ ჩემს ჯამაგირს ვსთხოვო». ბიჭის პატრონმა თავის გასამართლებლად, წაიბუტბუტა რაღაცა, მაგრამ მე რა მივიღე პასუხი მისი, უბრძანე მას, რომ აეხსნა ხიდგან და მიეცა ფიცი, რომ უთუოდ ჩააბარებდა კუთვნილ ჯამაგირს, ასე რომ გროში არ დააკლო, თითქმის სარგებელიც მიეცა. მართალს ვამბობ, თუ არა, ანდრია? მიუბრუნდა და ჰკითხა ბიჭს. შენ ეს კარგად უნდა გახსოვდეს. ჰსთხე, როგორ უბრძანე შენს აღას, და ან იმან როგორი პირობა მომცა, რომ აღასრულებდა ჩემს ბრძანებას. სთქვი ყველა დაურიდებლად, რაც როგორ ყოფილა; კარგად შეიტყონ ამ ჩემმა მეგობრებმაც, თუ ვითარ სასარგებლონი არიან სხვა და-სხვა ადგილებში მოგზაური რაინდები.

«მნათობი» ამ 1871 წელში გამოდის იანვრიდგან ყოველ თვე-თითო წიგნის სივრცე იქნება შვიდიდგან ათ დიდ თაბახამდის.

ამ 1871 «მნათობის» ფასი:

მთელი წლისა—გაგზავნით ყველა ალაგებში შვიდი მანეთი. ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება, გარნა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში, სასულიერო სემინარიაში, ყოფ. სემინარიის პროფესორის გიორგი იოსელიანის სახელზედ. აგრეთვე უ. ნ. ალადათოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში; უ. გერასიმე კალანდარიშვილთან სასულიერო სასწავლებელში. (ქუთაისის ხელის მომწერლებმა, ვისაც «მ ნ ა თ ო ბ ი» დაჰკლდეს, უ. კალანდარიშვილთან მოიკითხონ).

გამ. ივ. ელიოზიშვილ. რედ. ნ. ავალიშვილი.